მასწავლებელი

№6(91), 2022

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
თამთა კობახიძე, მაია ჯალიაშვილი,
მანანა ბოჭორიშვილი,
მაია მენაბდე, მაია ფირჩხაძე,
გურამ მეგრელიშვილი,
ლელა კოტორაშვილი,
ქეთევან კობალაძე,
თინათინ ზარდიაშვილი,
ინა იმედაშვილი, ნინო ლომიძე,
ლევან ალფაიძე, ცირა ბარბაქაძე,
ირმა კახურაშვილი,
ნასტასია არაბული,
შორენა ტყეშელაშვილი,
დიანა ანფიმიადი, ირმა ტაველიძე

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 8-374

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ნატო ინგოროყვა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი საინტერესო პორტალს ამზადებს – „განათლების ელექტრონულ სახლს“.

პორტალი იმით არის განსაკუთრებული, რომ აქ თავს მოიყრის ყველა ის საგანმანათლებლო რესურსი, რაც კი მასწავლებელს, სკოლის ადმინისტრაციას, მოსწავლეს ან მშობელს სჭირდება, ამიტომ პორტალზე ოთხი ძირითადი სკოლაა: **დირექტორის, მასწავლებლის, მოსწავლისა** და **მშობლის.** ოთხივე მათგანი თავისი სპეციფიკის შესაბამის ქვემენიუებად იშლება.
თითოეულ სკოლას აქვს რამდენიმე ძირითადი ფანჯარა: **საკითხავი მასალა, ვიდეორესურსი, სავარჯიშო, ვებინარი, პრეზენტაცია** და სხვ.

მნიშვნელოვანი ფანჯარაა **გამჭოლი კომპეტენციები**, რომელიც დემოკრატიულ კულტურას, ციფრულ მოქალაქეობას, მდგრად განვითარებას, წიგნიერებას მოიცავს.

მთავარ გვერდზე გამოტანილია **მარეგულირებელი დოკუმენტები,** რომლებიც განათლებას უკავშირდება, **განათლების კვლევის ცენტრი,** სადაც თავს მოიყრის კვლევები განათლების საკითხებზე და იმ **რესურსების** ჩამონათვალი, რომლებსაც უკვე ელექტრონულად თუ ნაბეჭდი სახით გამოსცემს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

პორტალს ექნება ინგლისური და აფხაზურენოვანი ვერსიები, სოციალურ ქსელში გაზიარდება და ფეისბუკზე დაუკავშირდება მასწავლებლის სახლს. ექნება თავისი იუთუბ არხიც.

რესურსების მრავალფეროვნებასთან ერთად, პორტალი სერვისებსაც გვთავაზობს, მაგალითად, სხვადასხვა ტიპის ტრენინგების ჩატარების შესაძლებლობას გვაძლევს. მათ შორისაა თვითრეგულირებადი ტრენინგებიც, რომლებიც MOODLE–ის ან ედექსის ბაზაზე განხორციელდება. ამავე ბაზაზე შესაძლებელი იქნება ფორუმ-დისკუსიების გამართვა, რაც პორტალს დინამიკურს და ინტერაქციულს გახდის.

პორტალს დაუკავშირდება მასწავლებლის პორტფოლიო. ავტორიზაცია-რეგისტრაციის გავლის შემდეგ მასწავლებელს გაეხსნება პირადი გვერდი, რომელზეც ასახული იქნება მონაცემები მისი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის შესახებ, უკვე **განხორციელებული** და სამომავლოდ **დაგეგმილი აქტივობები.**

გარდა საერთო სივრცეში თავმოყრილი რესურსების ხიბლისა, პორტალი მიმზიდველია მენიუს სიმარტივით, დინამიკურობითა და ინტერაქციულობით. ის არ არის მხოლოდ რესურსების საცავი ან ბიბლიოთეკა; ის რეფლექსიისა და უკუკავშირის საშუალებასაც იძლევა, რადგან ფორუმ-დისკუსიის, ონლაინ კონსულტაციის, პირდაპირი ვებინარებისა და ტრენინგების ფუნქციებიც აქვს.

პორტალი 2023 წლის იანვრიდან ამუშავდება სატესტო რეჟიმში და გვჯერა, სასკოლო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სივრცედ იქცევა.

საგანმანათლებლო რესურსი

მანანა ბოჭორიშვილი

13 ინტეგრირებული სწავლების მოდელები

საგანთა შორის მკაფიო კავშირების დამყარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამა სიღრმისეული სწავლების ერთ-ერთ გზად მოიაზრება.

მაია მენაბდე

16 გზა ინტელექტუალურ თამაშამდე

თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ ვიცი, არც სათაურში ნახსენები ეს თამაშია ჩემი აღმოჩენა, არც მისი სასწავლო მიზნით გამოყენება – ჩემი მიგნება. უბრალოდ, ძალიან მომინდა, აღმეწერა სერიოზული თამაშისთვის მზადების პროცესი, რომელიც, ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე თამაში (არადა, ბავშვების მიზანი სწორედ თამაში იყო) და დაინტერესებულ პირთათვის გამეზიარებინა გამოცდილება გამზადებული რესურსებითურთ.

ლელა კოტორაშვილი

35 ტური ბავშვობაში

აკვირდებით, როგორ გადის თქვენი მოსწავლეებისა თუ შვილების ბავშვობის დღეები?
დარღვეული ძილის რეჟიმი, გაიშვიათებული საუბარი და სიცილი, მომატებული აგრესია, გაღიზიანება – ალბათ, ჩვენი დროის ბავშვების ყოველდღიურობა გეცნოთ. წიგნის კითხვა, მეგობრებთან ერთად ყოფნა – ბოლოს ყველა გზა მაინც მობილურ ტელეფონთან მიდის და ვფიქრობ, ყველაზე დიდი გატაცებით დროს ვირტუალურ სამყაროში ატარებენ.

ინა იმედაშვილი

45 ყოჩაღ, შენ ნამდვილად იმსახურებ დაფნის გვირგვინს!

და აი, მოსწავლემ ძალიან კარგად შეასრულა თქვენი, მასწავლებლის დავალება. დროა, შეაქოთ – ზეპირი განმავითარებელი კომენტარი ხომ ასე მნიშვნელოვანია მისი მოტივაციისა და თვითშეფასების ამაღლებისთვის. როგორც წესი, ვამბობთ ხოლმე: ყოჩაღ! ძალიან კარგია! სუპერ! შენ მშვენივრად გაართვი თავი დავალებას! შესანიშნავია! ბრწყინვალეა!

ნინო ლომიძე

47 როგორ დავწერო ანალიზი – გზამკვლევი, ნიმუშები

ანალიზის უნარის განვითარება მნიშვნელოვანია აზროვნების განვითარებისთვის. ეს გახლავთ გაგების, აღქმა-გააზრების, კვლევის, დაკვირვების, შეცნობისა და შემეცნების უნარების განმავითარებელი მეთოდი. ყველა ეს უნარი ადამიანს სჭირდება სოციალიზაციისა და თვითრეალიზაციის ნებისმიერ გამოვლინებაში.

მოსაზრება

მაია ჯალიაშვილი

9 დროის კვალდაკვალ

ახალი თაობა მინიმალისტურობით, პრაქტიკულობითა და რეალისტურობით გამოირჩევა. მოზარდებს მოსწონთ მრავალფეროვნება, ინდივიდუალიზმი, გამორჩეულობა. შესაბამისად, სასკოლო სივრცე უნდა იძლეოდეს საშუალებას, მოსწავლეებმა თავი კომფორტულად იგრძნონ. ისინი მედიაწიგნიერებითაც გამოირჩევიან. ამერიკელ განათლების ექსპერტთა კვლევების მიხედვით, კომპიუტერთან მჯდარი ბავშვი წუთში საშუალოდ სამ სხვადასხვა ონლაინ მოქმედებას ასრულებს.

გურამ მეგრელიშვილი

31 პირველი შვილობის თავგადასავალი

რომელი შვილი ხართ ოჯახში? პირველი, მეორე, მეხუთე? გაიხსენეთ, რამდენი ფოტო გაქვთ ბავშვობისა თქვენ და თქვენს დედმამიშვილს. საინტერესო ამბავია?

გაკვეთილი

თინათინ ზარდიაშვილი

42 მაგალითები ბიოლოგიის სწავლებისთვის

მაგალითებით სწავლების მიზანია, მოსწავლეს რთული პრობლემის გადაჭრა ასწავლოს. მეთოდი საშუალებას გვაძლევს, საკითხი რეალურ სიტუაციას დავუკავშიროთ და მოსწავლეს კონკრეტული საკითხის სწავლის საჭიროება დავანახოთ.

ლევან ალფაიძე

50 როგორ სწავლობენ თანამედროვე მონადირე-შემგროვებელთა საზოგადოებაში მცხოვრები ბავშვები სკოლის გარეშე

ადამიანთა კულტურა უპრეცედენტოა, რადგან იგი დაგროვებითი და თანმიმდევრულია. ჩვენ ვაგროვებთ ცოდნას არსებული უნარებისა და ინფორმაციის შეკრებით და განვითარებით, ვიყენებთ ამ ცოდნის კომბინაციებს და ვშობთ ახალს.

სარჩევი

ნასტასია არაბული

27 დიალოგები ფსიქოგანათლებაზე – ადგილი, სადაც კითხვებზე პასუხებს ადვილად იპოვით

დიანა ანფიმიადი

28 დამოუკიდებელი რესპუბლიკის დამოუკიდებელი ლიტერატურის გაკვეთილებისთვის

ირმა ტაველიძე

29 სხვა „დინამო“

შორენა ტყეშელაშვილი

30 რეპეტიტორთა ძიებაში – ჩრდილოვანი განათლების ნაცნობი მხარე

სკოლის მართვა

თამთა კობახიძე

4 ცვლილებების მენეჯმენტი და მისი გავლენა განათლების პოლიტიკაზე

მაინც რას ნიშნავს ცვლილებების მენეჯმენტი? იგი მოიცავს ყველა საშუალებას, რომელიც მიმართულია სტრატეგიების, სტრუქტურებისა და სისტემების თანამდევი მოქმედებების ინიციირების, დაგეგმვისა და განხორციელებისკენ. ეს გულისხმობს ყველა იმ აქტივობის დაგეგმვასა და განხორციელებას, რომელიც მენეჯმენტსა და დასაქმებულ პირებს შესაძლო ცვლილებებისთვის მოამზადებს.

მშობელი

ქეთევან კობალაძე

39 როგორი შვილების აღზრდა სურს მშობელს

ბავშვებს და მოზარდებს ცხოვრებაში მრავალგვარი ტკივილი ხვდებათ. ნუ ეცდებით სევდიანი და გულნატკენი შვილის გამხნევებას მისი ღირსებებისა და ძველი წარმატებების შეხსენებით. ნურც წარუმატებელი გასული სასწავლო წლის გამო წამოაძახებთ საყვედურს. უბრალოდ, დაუსვით მართებული კითხვები – კითხვები, რომლებიც თქვენს შვილს საკუთარ სამყაროში ჩაახედებს.

პრობლემა

მაია ფირჩხაძე

22 როგორ გადავწყვიტოთ სასწავლო ამოცანები სკოლის ბიბლიოთეკის დახმარებით

ბიბლიოთეკა კულტურულ-საგანმანათლებლო, დამხმარე სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოსწავლეების შემეცნებითი საქმიანობის მართვაში, თვითორგანიზებისა და თვითგანათლების უნარების გამომუშავებაში.

კომპეტენციები

ცირა ბარბაქაძე

53 მეტაფორული ბარათები და დრუდლები სწავლებაში

ჩვენი ცნობიერების აისბერგის დაფარული ნაწილი ძალიან ჰგავს ფილმს, რომელიც ჯერ არ გაგვიშვია ეკრანზე. გაცნობიერება კი ხილულს ხდის ჩვენს დაფარულს. ამისთვის მოვიმარჯვოთ კინოპროექტორი და თეთრ ეკრანზე გავუშვათ ჩვენი ფილმი. მაგრამ როგორ მოვახერხოთ ეს, თუ ისიც კი არ ვიცით, რომ ფილმები/ამბები სადღაც, ქვეცნობიერის რომელიღაც უჯრაშია ჩაკეტილი?

ციფრული წიგნიერება

ირმა კახურაშვილი

55 საშიშია თუ არა ბავშვისთვის ბლოგერობა

ონლაინ-ცხოვრება დღეს რეალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ამას ვერ გავექცევით. ამიტომ ექსპერტები მშობლებს ურჩევენ, მიუდგნენ მას, როგორც რაღაც ისეთს, რაც მათი შვილისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია.

თამთა კობახიძე

ცვლილებების მენეჯმენტი და მისი გავლენა განათლების პოლიტიკაზე

მაინც რას ნიშნავს ცვლილებების მენეჯმენტი? იგი მოიცავს ყველა საშუალებას, რომელიც მიმართულია სტრატეგიების, სტრუქტურებისა და სისტემების თანამდევი მოქმედებების ინიციირების, დაგეგმვისა და განხორციელებისკენ. ეს გულისხმობს ყველა იმ აქტივობის დაგეგმვასა და განხორციელებას, რომელიც მენეჯმენტსა და დასაქმებულ პირებს შესაძლო ცვლილებებისთვის მოამზადებს.

ჩვენს დროში ცვლილებები ორგანიზაციათა საქმიანობის განუყოფელ ნაწილად იქცა. ტექნოლოგიებთან ადაპტირება, სამუშაოს მოცულობის, სამუშაო სივრცისა და გარემოს ადაპტირება, შინაარსობრივი ცვლილებები ორგანიზაციული სტრუქტურისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ახლებურ გააზრებას მოითხოვს. სწორედ აქ იჩენს თავს ცვლილებების მენეჯმენტის როგორც დისციპლინის მნიშვნელობა.

ცვლილებების მენეჯმენტი როგორც დისციპლინა 50-იანი წლებიდანაა აღიარებული. ინსტიტუციებმა და ორგანიზაციებმა დიდძალი თანხა ჩადეს ამ მიმართულებით ტრენინგებსა და ვორქშოფებში, კონსულტაციებსა და მარეგულირებელი დოკუმენტაციის შექმნაში, რათა თავიანთი საწარმოების პროდუქტიულობა გაეზარდათ. ტერმინი „ცვლილებების მენეჯმენტი“ (change management) ინგლისურენოვან სივრცეში გაჩნდა და 1930-იან წლებში აშშ-ში ჩატარებული კვლევები დაედო საფუძვლად: ჰარვარდის პროფესორები იკვლევდნენ ქარხნებში დასაქმებული პერსონალის შრომის ნაყოფიერების ზრდის ფაქტორებს. კვლევის თანახმად, პერსონალის შრომის ნაყოფიერება მეტად იზრდებოდა, როდესაც დასაქმებულები მეტ ყურადღებას და დაფასებას გრძნობდნენ. ლიტერატურაში ეს დამკვიდრდა ჰოთორნის ეფექტის (Hawthorne Effect) სახელწოდებით, რაც ორგანიზაციებისთვის პიროვნებათა მნიშვნელოვნების ხაზგასმას გულისხმობს.

პერსონალის ფაქტორის მნიშვნელოვნების დამადასტურებელ კიდევ ერთ არგუმენტად გამოდგება 1970-1980-იან წლებში იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოებში დასაქმებულ პირთა კვლევა. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ იაპონური საწარმოები ამერიკულსა და ევროპულთან შედარებით უფრო წარმატებულები იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ კვლევის პერიოდში ტექნოლოგიური განვითარებით ჩამორჩებოდნენ ზემოაღნიშნულ ქვეყნებს. ამის განმაპირობებელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი დასაქმებულთა გუნდური სულისკვეთება და კმაყოფილება აღმოჩნდა. მენეჯმენტის თეორიებში დამკვიდრება დაიწყო მოსაზრებამ, რომ წარმატებას არა მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესი, არამედ თანამშრომელთა მოტივაციაც განაპირობებს.

მაინც რას ნიშნავს ცვლილებების მენეჯმენტი? იგი მოიცავს ყველა საშუალებას, რომელიც მიმართულია სტრატეგიების, სტრუქტურებისა და სისტემების თანამდევი მოქმედებების ინიცირების, დაგეგმვისა და განხორციელებისკენ. ეს გულისხმობს ყველა იმ აქტივობის დაგეგმვასა და განხორციელებას, რომელიც მენეჯმენტსა და დასაქმებულ პირებს შესაძლო ცვლილებებისთვის მოამზადებს.

ცვლილებების მენეჯმენტი დაკავშირებულია პროექტებსა და პროცესებთან, რათა ორგანიზაციები გახდნენ უფრო პროდუქტიულები, უკეთესები და მოქნილები. საგანმანათლებლო დაწესებულებებს, გარდა ტექნოლოგიური პროგრესისა, დიდ მოთხოვნებს უწესებენ გარე მარეგულირებლები და გლობალური სტანდარტებიც. აქედან გამომდინარე, ცვლილებების განხორციელება ძირითადად საჭირო ხდება შემდეგი მიმართულებით:

- ინოვაციების დანერგვის სტრატეგია;
- პროფესიული განვითარება;
- ტექნოლოგიები;
- გლობალიზაცია;
- მართვის დეცენტრალიზაცია;
- ხარჯების შემცირება.

ამ ფონზე ცვლილებების მენეჯმენტი არის სისტემატური და გამიზნული მოქმედება, რათა უპასუხოს ორგანიზაციის სურვილს, განახორციელოს ცვლილება, განსაზღვროს ახალი სტრატეგია და იყოს მეტად პროდუქტიული.

ცვლილებების მენეჯმენტს როგორც პროცესს ბევრი საერთო აქვს პრაქტიკის კვლევასა და პროექტების მენეჯმენტთან. წლების განმავლობაში დიდ კორპორაციებში მიმდინარე პროცესებმა აჩვენა, რომ გატარებული ცვლილების/რეფორმის/რეორგანიზაციის რეალური მიზნები შესაძლოა მიუღწეველი დარჩეს. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

პირველი და უმნიშვნელოვანესი საკითხია მენეჯერების/მმართველების მიერ ცვლილებისთვის პერსონალის მომზადება. ხშირად მმართველ რგოლს ავიწყდება, რომ დაქირავებულია ის ადამიანი, რომელიც წყვეტს, სურს თუ არა რაიმე სახის ცვლილება საქმიანობაში. გარდა ამისა, რა შედეგი შეიძლება მოიტანოს პროცესმა, ამას დასაქმებული აღიქვამს პერსონალურად, უკავშირებს თავის ცხოვრებასა და მომავალს. ადამიანები ძირითადად ეთანხმებიან ისეთ ცვლილებებს, საიდანაც ექნებათ შანსი, სამომავლოდ ბევრი პირადი სიკეთე მიიღონ. ყველა გლობალური თუ ლოკალური რეფორმის დროს მენეჯმენტს ავიწყდება, რომ წარმატების გზა გადის დასაქმებულების კეთილ ნებაზე, შეასრულონ ესა თუ ის სამუშაო ახლებურად.

მეორე ფაქტორი ფსიქოემოციური დამოკიდებულების გათვალისწინებაა. არგუმენტირებული მსჯელობა და ცვლილების აუცილებლობის ლოგიკური დასაბუთება ხშირად არ ჭრის მათზე, ვის გამოცდილებაშიც ცვლილება ნეგატიურ ემოციებსა და შედეგებთანაა დაკავშირებული. არ აქვს მნიშვნელობა, ეს ბავშვობაში სკოლის შეცვლით იყო გამოწვეული თუ სამსახურში მენეჯმენტის ცვლილებით – ადამიანი მნიშვნელოვანწილად სწორედ გამოცდილების საფუძველზე განეწყობა კონკრეტული საკითხისადმი დადებითად ან უარყოფითად.

მესამე და გადამწყვეტი თავად მენეჯერების დამოკიდებულებაა – მმართველი რგოლი ყოველთვის ფიქრობს, რომ უკეთ იცის, რა სჭირდება

დასაქმებულს. ამგვარი დამოკიდებულება ცვლის დასაქმებულთა განწყობას, ქმნის კიდევ ერთ წინააღმდეგობას რეფორმის განხორციელების გზაზე. მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, რომ ადამიანების სუბიექტური აღქმა უმთავრესია ცვლილებისადმი განწყობის ჩამოყალიბებისას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვაჩვენებს განსხვავებას მენეჯერებისა და დასაქმებულების დამოკიდებულებებს შორის:

მმართველი რგოლის ხედვა	დასაქმებულის ხედვა
ცვლილებები კარგია, ისინი საშუალებას გვაძლევს, მოვერგოთ თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს.	ცვლილებები ცუდია, მათ მოაქვთ არასტაბილურობა, შფოთვა და დროის კარგვა.
დაზოგვა მოგების წინაპირობაა.	თუ ინსტიტუცია დაზოგავს, ამით ჩემი შემოსავალი შემცირდება.
ოპტიმიზაცია კარგია ორგანიზაციის განვითარებისა და სამუშაო ადგილების სტაბილურობისთვის.	ოპტიმიზაციის შედეგად მე შესაძლოა სამსახური დავკარგო.
მუდმივად ერთ ადგილზე ყოფნა წამგებიანია ორგანიზაციისთვის.	მუდმივად ერთ ადგილზე ყოფნა სტაბილურობას ნიშნავს.

ცხრილი მკაფიოდ აჩვენებს რეალურ განსხვავებას გადაწყვეტილების მიმღები და აღმასრულებელი რგოლების დამოკიდებულებებს შორის. აშკარაა, რომ ამგვარი აცდენის შემთხვევაში რეფორმა/ცვლილება ვერცერთი მხარისთვის ვერ იქნება წარმატებული. თეორიაში აღნიშნულია, რომ ცვლილებების 70% ორგანიზაციებში წარუმატებელია, ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს.

2007 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, წარუმატებლობის მიზეზების სიის სათავეში მერყევი გარემო, ბუნდოვანი მიზნები და პროცესები, კომუნიკაციის მხრივ მენეჯერების არასაკმარისი კომპეტენცია მოექცა. საინტერესო შედეგებს იძლევა 2012 წლის კვლევაც, რომელიც ყურადღებას ამახვილებს დასაქმებულების განწყობასა და ემოციურ მდგომარეობაზე. კვლევის თანახმად, ცვლილებები ხშირად საშიშროებად აღიქმება და არა შესაძლებლობად, შესაბამისად, მომავლის შიში, მენტალური მიუღებლობა, შეჩვეულ გარემოსთან დამშვიდობება და პირადი მდგომარეობის გაუარესება ჩამონათვალის სათავეშია. საუბრობენ ისეთ მნიშვნელოვან პიროვნულ ფაქტორებზეც, როგორიცაა ფსიქოლოგიური მზაობის ნაკლებობა („არ მინდა, არ გავაკეთებ“, „არ შემიძლია ამის გაკეთება“) და ხელოვნურ ბარიერებზე, რომლებიც ადამიანებს არგუმენტად მოჰყავთ ნებისმიერი სიახლის ინიციირების დროს („იცით, ჩვენთან ასე არ გამოვა, რადგან...“).

როგორც ვხედავთ, ადამიანების ემოციური დამოკიდებულება ცვლილებების მიმართ ყველა ქვეყანაში ერთნაირია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიკითხოთ: რა უნდა გავითვალისწინოთ გლობალური თუ ლოკალური ცვლილებების დაგეგმვისას? რა მიდგომები არსებობს? როგორ შევცვალოთ ადამიანების ნეგატიური გამოცდილება და დავარწმუნოთ ცვლილების აუცილებლობაში?

როგორც აღვნიშნეთ, რეალობისგან შორს არ ვიქნებით, თუ ცვლილებების დაგეგმვის პროცესსა და პრაქტიკის კვლევას შორის მსგავსებას დავინახავთ. თეორიის განვითარებასთან ერთად შემუშავდა გარკვეული მიდგომები, რომელთაგან ერთ-ერთი კურტ ლევინის შრომებს ეფუძნება. სწორედ ლევინის სამი ნაბიჯი, ჯონ კოტერის წარმატების რვა კრიტერიუმი და ვილფრიდ კრუგერისა და ბახის მიზნის მიღწევის ხუთი ფაზაა პროცესის წარმართვის ის ძირითადი ეტაპები, რომლებსაც ორგანიზაციაში ცვლილებების დაგეგმვის დროს ითვალისწინებენ.

კურტ ლევინის სამსაფეხურიანი მოდელი წარმოადგენს ცვლილებების პროცესის აღწერას და გვთავაზობს სირთულეების დაძლევაში მხარდაჭერას. ის 1940-იან წლებში შემუშავდა. მოდელის უკეთ გააზრებისთვის წარმოიდგინეთ, რომ გვაქვს ყინულის კუბი; ჩვენი მიზანია, მას ფორმა შევუცვალოთ – სამკუთხა პრიზმად ვაქციოთ, ოღონდ ისე, რომ სტრუქტურა იგივე დარჩეს. რას გავაკეთებთ ამისთვის? ყველაზე ლოგიკური გზა ყინულის გადნობა და ხელახლა, ახალი ფორმით გაყინვაა. ამ პროცესში ლევინი განასხვავებს მოწინააღმდეგე და მამოძრავებელ ძალებს, რომლებიც ცვლილების ყველა ეტაპზე ინდივიდის განსხვავებულ ქცევას განაპირობებს. საწყის ეტაპზე დიდია წინააღმდეგობის ძალა, რადგან მოსალოდნელი ცვლილება შესაძლოა შიშს აღუძრავდეს ადამიანს. მეორე ეტაპზე წინააღმდეგობის ძალა უფრო მეტად იზრდება და ცვლილებით გამოწვეული მტკივნეული გადაწყვეტილებები უარყოფითად აისახება დასაქმებულთა შრომის ნაყოფიერებაზე. ცვლილების დასასრულს კი, სტა-

ბილურ გარემოში, უკვე გატარებული ცვლილება და წარსულში დარჩენილი გამოცდილება აღარ წარმოადგენს საშიშ და უარყოფით ემოციებთან დაკავშირებულ აქტივობას – პერსონალის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილი ხდება (გალღობა, ფორმის შეცვლა, გაყინვა).

პირველ ეტაპზე ლევინი ხაზს უსვამს ორგანიზაციული კლიმატის შეცვლის აუცილებლობას და ისეთი გარემოს შექმნას, სადაც თანამშრომლებს მოტივაცია ექნებათ, სრულფასოვნად ჩაერთონ პროცესებში. მეორე ეტაპი უფრო მენეჯერებისთვის წარმოადგენს გამოწვევას. მათ, გარდა იმისა, რომ თავიანთ სფეროში კომპეტენტურები უნდა იყვნენ, უნდა ჰქონდეთ ცოდნა ცვლილებების მართვისა და დაგეგმვის თვალსაზრისითაც, რათა შეძლონ იმ საფრთხეებისა და წინააღმდეგობების დაძლევა, რომლებსაც დასაქმებულების სკეპტიციზმი, გულგრილობა და შიშები იწვევს.

ამ მოდელის უპირატესობად შეიძლება დასახელდეს ადამიანური ემოციების მნიშვნელობის ხაზგასმა, თუმცა დღემდე ბუნდოვანია, რატომ აყენებს წინააღმდეგობას ფოკუსში ცვილილების საპირწონედ, ნაცვლად მისი პოზიტიური წარმოდგენისა. ლევინმა წარმოადგინა მოდელი, რომელიც შემდეგ დაიხვეწა კონკრეტული ნაბიჯებისა და პროცესების აღწერის კუთხით კოტერთან და კრუგერსა და ბახთან.

კოტერი თავის რვასაფეხურიან მოდელში აკონკრეტებს და ავითარებს ლევინის მოდელს. ცვლილებების მენეჯმენტის თეორიაში ეს მოდელიც აღიარებულია და მას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საფუძვლები აქვს:

1. **განცდა, რომ აუცილებელია ცვლილება** – მენეჯრებისა და დასაქმებულებისთვის უნდა შეიქმნას ისეთი ვითარება, რომ მათ გაუჩნდეთ ცვლილების აუცილებლობის შეგრძნება;
2. **მენეჯერთა გუნდის ჩამოყალიბება** – ადამიანების გაერთიანება და კომპეტენტური გუნდის შექმნა;
3. **ხედვისა და მისიის ჩამოყალიბება** – გააზრებული მისია ზრდის რეფორმის წარმატების შანსს;
4. **ხედვისა და მისიის გაზიარება** – დასაქმებულებისთვის მიზნების გაცნობა, ამ მიზნების შესახებ ნათელი და მკაფიო წარმოდგენის შექმნა, მათი დარწმუნება;
5. **მოტივაცია** – ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც თანამშრომელთა მოტივაციას აამაღლებს;

ადამიანების ემოციური დამოკიდებულება ცვლილებების მიმართ ყველა ქვეყანაში ერთნაირია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიკითხოთ: რა უნდა გავითვალისწინოთ გლობალური თუ ლოკალური ცვლილებების დაგეგმვისას? რა მიდგომები არსებობს? როგორ შევცვალოთ ადამიანების ნეგატიური გამოცდილება და დავარწმუნოთ ცვლილების აუცილებლობაში?

6. **მოკლევადიანი მიზნებისა და შედეგების წარმოდგენა** – ნათელი მიზნების გაზიარება და მიღწეული წარმატების აღიარება, რაც გაზრდის ცვლილების პროდუქტიულობას;
7. **მიღწეული მიზნების განმტკიცება და ახლის დასახვა;**
8. **მიღწეული ცვლილების ორგანიზაციულ სტრუქტურაში ჩაშენება.**

კოტერის მოდელის უპირატესობა მისი ნაბიჯების სიცხადეა. მისი ნაკლოვანებაა ის, რომ ჯერ არ არსებობს ამ მოდელის შედეგიანობის საკმარისი ემპირიული მტკიცებულება. 2002 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, რვიდან ექვსი საფეხურის ეფექტიანობის დამადასტურებელი ემპირიული მტკიცებულებები მოიძებნა, ხოლო მეხუთე და მეშვიდე საფეხურის პოზიტიური გავლენის დასტური კვლევამ ვერ აღმოაჩინა. კოტერი თავადაც მიანიშნებს ნათელი მიზნებისა და ხედვის მნიშვნელოვნებაზე, მაგრამ მის მოდელს აკლია ადამიანური ქცევის, ემოციებისა და გამოცდილების ასპექტების გათვალისწინება. ამიტომ მნიშვნელოვანია, ყოველი გადაწყვეტილების მიღების დროს გავითვალისწინოთ სამეცნიერო მტკიცებულება, რომელიც შეიძლება არსებობდეს დარგობრივად და დრო, ფინანსები და ადამიანური რესურსი დავზოგოთ. ცვლილებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მოდელის შერჩევისას აუცილებელია ემპირიულად დასაბუთებული მიდგომების გამოყენება, რაც უფრო მეტად ზრდის წარმატების მიღწევის შანსს.

ლევინისა და კოტერის მოდელების შეჯამებისას შეიძლება ითქვას, რომ როგორც ადამიანური, ისე სტრუქტურული ფაქტორები უმნიშვნელოვანესია ცვლილების დაგეგმვა-განხორციელების დროს. ამის შეჯამება სცადეს კრიუგერმა და ბახმა ხუთსაფეხურიან მოდელში, რომელიც ცვლილების განხორციელების პროცესს შემდეგნაირად წარმოადგენს:

ფაზა 1 – ინიციატივა: შიდა და გარე შეფასებისას გამოვლინდება საჭიროებები. პარალელურად გააქტიურდება მენეჯმენტსა და დასაქმებულებში მოტივაციის ასამაღლებელი აქტივობები;

ფაზა 2 – კონცეფცია: მიზნები მკაფიოდ გაიწერება, სტრატეგიები შემუშავდება ერთობლივად და ამ მიზნების მიღწევის გზები განისაზღვრება კონკრეტული ინდიკატორების მეშვეობით;

ფაზა 3 – მობილიზაცია: მიმდინარეობს აქტიური მუშაობა დასაქმებულებთან მათი ფსიქოემოციური მდგომარეობისა და გამოცდილების გათვალისწინებით, რათა პროცესისადმი ნდობა და ინტერესი გავუღვივოთ.

ფაზა 4 – განხორციელება: ცვლილების გატარების ეტაპი. ყოველ ნაბიჯზე ხდება მიღწეული შედეგების გაანალიზება და შეცდომების გასწორება.

ფაზა 5 – განმტკიცება: შედეგების შეჯამება და სამომავლო ცვლილებებისადმი ემოციური მზაობის განმტკიცება.

ეს მოდელი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს განსახორციელებელი ნაბიჯების შესახებ და ადამიანურ ფაქტორებსაც ითვალისწინებს, რაც მენეჯერს დამაბრკოლებელი გარემოებების განეიტრალების საშუალებას აძლევს. ცვლილებების დაგეგმვის დროს ერთ-ერთი ყველაზე რთული რამ სწორედ დასაქმებულთა იმ ემოციური ფონისა და განწყობის გადალახვაა, რომელიც ყველა ქვეყანაში მსგავსია – შიში და წინასწარ შექმნილი ნეგატიური დამოკიდებულება. ასეთ დროს თამაშში შემოდის ფსიქოლოგია, რომელიც ამტკიცებს, რომ ნებისმიერი საკითხისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისას ადამიანი წარსული გამოცდილებით ხელმძღვანელობს. როგორი იყო თქვენი გამოცდილება რაიმე ცვლილების მიმართ? თუ ასეთ დროს ნეგატიური ემოციები მძლავრობს, სავარაუდოდ, ყველა მომავალი ცვლილების მიმართ ნეგატიურად იქნებით განწყობილი და მენეჯერის მიერ თავს მოხვეულ დავალებებს მხოლოდ ფორმალურად შეასრულებთ.

არ შეიძლება არ შევნიშნოთ ცვლილებების თეორიის მსგავსება მსოფლიო სისტემების თეორიასა და იმ კვლევებთან, რომლებიც განათლებაში კონკრეტული რეფორმების წარუმატებლობის მიზეზებს იკვლევს. ცხადია, როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებთა და შემსრულებელთა მოლოდინები და აღქმები განსხვავებულია, ეს კი იძლევა განსხვავებულ შედეგებს ცვლილებების განხორციელების დროს, რომელთა 70% წარუმატებელია. ამიტომაა მნიშვნელოვანი, ნებისმიერი გადაწყვეტილება დაეფუძნოს სამეცნიერო ცოდნასა და უახლეს კვლევებს, რომლებიც მხოლოდ დამხმარე რგოლს წარმოადგენს ახალი ცოდნის შექმნისა და სისტემების გაუმჯობესების საქმეში.

დროის კვალდაკვალ

მაია ჯალიაშვილი

დროის კვალდაკვალ სიარული, მისი აჩქარებული მაჯისცემის მიყურადება ყოველი ადამიანისთვის, საზოგადოებისა თუ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი მასწავლებლისთვის, რომელსაც პროფესიული ვალდებულება და პასუხისმგებლობა უკარნახებს, მომავლისკენ იყუროს. წარსულის გამოცდილება ის საიმედო ფუნდამენტია, რომელსაც აწმყოში მიმდინარე მოქმედებები, ფიქრები თუ განზრახვები ეფუძნება, მაგრამ მთავარი მაინც მომავალია, რომელიც შეუმჩნევლად, ყოველწამიერად იბადება და ყველას შეახსენებს ცვლილების საჭიროებას.

ჩვენს საზოგადოებაში მონოტონურობა და ერთფეროვნება ის შემაფერხებელი გარემოებებია, რომლებმაც სასწავლო პროცესი შეიძლება რუტინად აქციოს. ამგვარი ყოველდღიურობა ღლის და ფიტავს ადამიანს, მით უმეტეს – სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც სწორედ სასკოლო ასაკში ეცნობიან საკუთარ თავსა თუ სამყაროს, პირველ ნაბიჯებს დგამენ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და აზროვნების გზაზე. სასურველია, მასწავლებლებმა ყოველდღიურად იზრუნონ იმაზე, რომ ეს ერთფეროვნება როგორმე დაძლიონ – ამას ხომ ნებისმიერი საგნის სწავლებისას შეიძლება მიაღწიონ.

დროთა განმავლობაში, განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სტანდარტების მიხედვით, იცვლება თემები, საკითხები, რომლებიც სახელმძღვანელოშია, რასაც ბუნებრივად უნდა მოჰყვეს საგაკვეთილო ყოველდღიურობის გადახალისება, თუმცა, სამწუხაროდ, ხშირად ასე არ ხდება. სასკოლო ცხოვრებაში თანაბრად მნიშვნელოვანია სწავლებაცა და ურთიერთობაც, ის გარემოებები, სოციალური თუ სულიერი კონტექსტები, რომლებიც სასწავლო პროცესში იქმნება. საზოგადოდ, დღეს, ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში, დროის ასეთი აჩქარების პირობებში, ერთსა და იმავე თემაზე დიდხანს ფიქრი თუ აზროვნება მოსწავლეს უჭირს, ამიტომაც გაკვეთილზე თუ შინ, დავალების შესრულებისას, კონცენტრირების ობიექტები უნდა შეიცვალოს. გარკვეული დრო უნდა დაეთმოს სხვადასხვა თემასა თუ საგნის მომზადებას. ადრე მიიჩნეოდა, რომ ერთდროულად რამდენიმე ამოცანის შესრულება მხოლოდ კომპიუტერს შეეძლო, ადამიანისთვის კი ეს რთული იყო, რადგან ბევრი ენერგია ეხარჯებოდა, ყურადღება ეფანტებოდა, მაგრამ, ისტორიას თუ გავიხსენებთ, იყვნენ ამ თვალსაზრისითაც გამორჩეული ადამიანები, მაგალითად, იულიუს კეისარს შეეძლო ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება თუ სხვადასხვა ტიპის პრობლემებზე ფიქრი.

საზოგადო წარმოდგენით, ორი განსხვავებული ამოცანის შესრულებისას გონება თითქოს ორდება, იბნევა და ვერცერთ დავალებას სრულყოფილად ვერ ასრულებს. ერთი შეხედვით, მართლაც ასეა, მაგრამ სამყარო იცვლება, ტექნოლოგიურმა პროგრესმა, გაჯეტების ეპოქამ ადამიანი ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთებასაც შეაჩვია. ყოველდღიურობაც მრავალამოცანიანი გახდა. დღეს ასაკოვან ადამიანებს ახალგაზრდებზე მეტად უჭირთ ამასთან შეჩვევა, მოზარდებს კი უფრო მოხერხებულად და მოქნილად შეუძლიათ საშინაო დავალების შესრულება ისე,

სწავლა, ცოდნის მიღება და მორალურ-ზნეობრივი აღზრდა, ფასეულობების შემეცნება ხომ განუყოფელია. ამ პროცესში კი ანალიტიკურთან ერთად ემოციური ინტელექტიც ყალიბდება, რომელიც აუცილებელია პიროვნების განვითარებისთვის.

ახალი თაობა მინიმალისტურობით, პრაქტიკულობითა და რეალისტურობით გამოირჩევა. მოზარდებს მოსწონთ მრავალფეროვნება, ინდივიდუალიზმი, გამორჩეულობა. შესაბამისად, სასკოლო სივრცე უნდა იძლეოდეს საშუალებას, მოსწავლეებმა თავი კომფორტულად იგრძნონ. ისინი მედიაწიგნიერებითაც გამოირჩევიან. ამერიკელ განათლების ექსპერტთა კვლევების მიხედვით, კომპიუტერთან მჯდარი ბავშვი წუთში საშუალოდ სამ სხვადასხვა ონლაინ მოქმედებას ასრულებს.

ახალი თაობა მინიმალისტურობით, პრაქტიკულობითა და რეალისტურობით გამოირჩევა. მოზარდებს მოსწონთ მრავალფეროვნება, ინდივიდუალიზმი, გამორჩეულობა. შესაბამისად, სასკოლო სივრცე უნდა იძლეოდეს საშუალებას, მოსწავლეებმა თავი კომფორტულად იგრძნონ. ისინი მედიაწიგნიერებითაც გამოირჩევიან. ამერიკელ განათლების ექსპერტთა კვლევების მიხედვით, კომპიუტერთან მჯდარი ბავშვი წუთში საშუალოდ სამ სხვადასხვა ონლაინ მოქმედებას ასრულებს.

რომ თან საყვარელ მუსიკასაც უსმინონ და ჩათში მეგობრებსაც ესაუბრონ.

XXI საუკუნეში დაბადებული მოზარდები, ე. წ. Z თაობა, სრულიად განსხვავებულად უყურებს ცხოვრებას. ერთ ბლოგზე ამ თაობის წარმომადგენელი წერს: „თაობა Z-ს არ ეშინია ხმის ამოღების, საკუთარი აზრის ღიად გაცხადების, თავს არ არიდებს უთანასწორობასა და სხვა მტკივნეულ თემებზე საუბარს... დიდი ძალისხმევა აღარ გჭირდება, რომ საზოგადოებას შენი ხმა გააგონო, უფრო და უფრო მეტი იწყებს საუბარს. არსებობს პლატფორმები, რომლებიც საშუალებას გაძლევს, რამდენიმე წამში მილიონობით ადამიანზე მოახდინო ზემოქმედება. ჩვენც ხანდახან ამ პლატფორმებს ჭკვიანურად ვიყენებთ. მარტინ ლუთერ კინგსა და როზა პარკსს ტიკტოკი არ ჰქონიათ, GEN Z-ს – აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ აქტივისტის როლი ყველას შეუძლია მოირგოს და თავისუფლად გამოხატოს ის, რისიც სჯერა და სწამს“.

ახალი თაობა მინიმალისტურობით, პრაქტიკულობითა და რეალისტურობით გამოირჩევა. მოზარდებს მოსწონთ მრავალფეროვნება, ინდივიდუალიზმი, გამორჩეულობა. შესაბამისად, სასკოლო სივრცე უნდა იძლეოდეს საშუალებას, მოსწავლეებმა თავი კომფორტულად იგრძნონ. ისინი მედიაწიგნიერებითაც გამოირჩევიან. ამერიკელ განათლების ექსპერტთა კვლევების მიხედვით, კომპიუტერთან მჯდარი ბავშვი წუთში საშუალოდ სამ სხვადასხვა ონლაინ მოქმედებას ასრულებს.

მეცნიერთა შორის არ არის ერთიანი აზრი იმის შესახებ, კარგია ეს თუ ცუდი მოზარდისთვის. ტრადიციული სკოლა უფრო სწორხაზობრივია ამ თვალსაზრისით, ერთ ამოცანაზე კონცენტრირებული. მულტიამოცანებით მოაზროვნე მოზარდებისთვის კი რთულია ისეთ გარემოსთან შეჩვევა, რომლის რიტმიც თანამედროვესგან განსხვავდება. ისინი ხომ დაბადებისთანავე იწყებენ ცხოვრებას მულტიმედია გარემოში, ინფორმაციის ნაკადებში. თუმცა მოზარდებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მრავალი ამოცანის ერთდროულად შესრულება ზოგისთვის უკვე ჩვეულებრივია, სხვები ამას დროდადრო მიმართავენ. თანამედროვე კვლევებმა ისიც აჩვენა, რომ ბავშვებს, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე საქმეს აკეთებენ, ე.წ. ოპერატიული, ხანმოკლე მეხსიერება უფრო მეტად აქვთ განვითარებული, თუმცა მათ მიერ შესრულებული დავალება მეტი შეცდომითა და ნაკლები ხარისხით გამოირჩევა. ზომიერება აქაც მნიშვნელოვანია.

კარგი იქნება, გაკვეთილზეც იყოს გათვალისწინებული შემდეგი ნიუანსები:

- ერთდროულად დამუშავდეს რამდენიმე ამოცანა, ოღონდ არა სინქრონულად, არამედ პარალელურად, ისე, რომ მოსწავლის ყურადღება ერთიდან მეორეზე გადაერთოს;
- ეს მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს, ერთდროულად ჩაერთოს სხვადასხვა საქმეში, განსხვავებული პრობლემების გადაჭრაში, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში გადაერთოს ხან ერთ, ხან მეორე ამოცანაზე;
- მასწავლებელმა ეს ამოცანები შეიძლება წინასწარ დაგეგმოს, რათა მარტივი და რთული პრობლემები ერთმანეთს შეენაცვლოს;
- კარგი იქნება პრობლემების დამუშავების პროცესში მრავალფეროვანი ფოტო-, აუდიო- და ვიდეომასალის გამოყენება;
- სწავლების ეს მოდელი განსხვავდება სწორხაზობრივი მოდელისგან. ახალ თაობას მოსწონს ეს მრავალამოცანიანი გარემო, რადგან ციფრული სამყაროს უნარები აქვს განვითარებული. სწრაფად ცვალებად ვითარებას ამგვარად უფრო აუწყობს ფეხს;
- უნარი, რომ გონებამ შეძლოს ერთი საგნიდან თუ თემიდან მეორეზე სწრაფად გადართვა, შეიძლება განვითარდეს. აქაც მნიშვნელოვანია დაგეგმვა, მიზნების დასახვა, მთავრისა და მეორეხარისხოვნის გარჩევა, მოქნილი რეაგირება შეცვლილ სიტუაციაში.

მოსწავლეს უნდა გამოუმუშავდეს ჩვევა, რომ საშინაო დავალების შესრულებისას უმჯობესია, რიგრიგობით გაამახვილოს ყურადღება ამოცანებზე. ერთდროულად გახსნილი რამდენიმე ბრაუზერი, პარალელურად სოციალურ ქსელში აქტივობა, რა თქმა უნდა, ყურადღებას ფანტავს და შესრულებული დავალების ხარისხსაც დაბლა სწევს. საჭიროა მეცადინეობის დროს შესვენებების ხანგრძლივობის გაზრდაც, მაგალითად, 25 წუთი დაეთმოს მეცადინეობას

და შემდეგ 15 წუთი – დასვენებას.

ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებლად გასათვალისწინებელი გარემოება ისიცაა, რომ თანამედროვე მოზარდები მკვეთრად არ ყოფენ სამყაროს რეალურად და ვირტუალურად. ისინი ვირტუალურ სივრცეს წარმატებით იყენებენ არა მხოლოდ გართობისთვის, არამედ სწავლისა და განვითარებისთვისაც. უამრავი ვიდეოლექცია სხვადასხვა თემაზე, თავისუფლად ხელმისაწვდომი პროგრამები, უფასო ონლაინკურსები ბევრ მოსწავლეს თვითგანვითარების საუკეთესო საშუალებას აძლევს. მასწავლებელიც უნდა ცდილობდეს, დროის კვალდაკვალ იაროს და მოსწავლეებს არ ჩამორჩეს. დღეს ონლაინშეკვეთებმა შესაძლებელი გახადა ათასი რამის კეთება შინიდან გაუსვლელად. ახლა ინფორმაციის მოსაპოვებლად მოზარდებს ტელეფონი, კომპიუტერი და ტელევიზორი აქვთ, თუმცა ამ უკანასკნელს, როგორც ცნობილია, ყველაზე ნაკლებად იყენებენ. ვირტუალური რეალობა ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

დღევანდელი მოზარდები აქტიურად იყენებენ ე.წ. ინტერნეტენას. მათთვის ყველაფერი ვიზუალიზებულია, ფიქრებიცა და ემოციებიც. ისინი ხშირად მხოლოდ სიმბოლოებით გამოხატავენ თავიანთ განწყობას თუ დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხის მიმართ. დანახვა მათთვის წაკითხვასა და მოსმენაზე მნიშვნელოვანი გახდა. ამიტომ მასწავლებელი უნდა ეცადოს, გაკვეთილზე ხშირად გამოიყენოს ვიზუალიზებული მასალა. ეს შეიძლება მოსწავლეების მონაწილეობითვე გააკეთოს – ხშირი პრეზენტაციები, სლაიდების შექმნა... ამგვარი დავალებები მოსწავლეებმა შეიძლება როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილებში ან ჯგუფურად შეასრულონ.

დაკვირვებები ცხადყოფს, რომ თანამედროვე მოზარდები უფრო ინდივიდუალისტები არიან, ვიდრე წინა თაობის წარმომადგენლები. მათ თავიანთი მეს, მისწრაფებების, ინტერესების, მიმდინარე მოვლენებისადმი სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვა სხვადასხვა სოციალური ქსელისა თუ პლატფორმის მეშვეობით შეუძლიათ. მასწავლებელიც უნდა შეეცადოს, განურჩევლად აკადემიური მოსწრებისა, პატივი სცეს თითოეულს როგორც უნიკალურ ადამიანს. ისინი უფრო პრაგმატულნი არიან, ნებისმიერი საქმის დაწყებისას თავიდანვე განსაზღვრავენ, რა გამოადგებათ ცხოვრებაში და რა – არა, ამიტომ შეიძლება არ იზრუნონ ზოგად განათლებაზე, დრო არ დახარჯონ იმაზე, რაც არ აინტერესებთ.

დღეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით მრავალი ექსპერიმენტული სკოლა იქმნება, რომლებიც ცდილობენ ტრადიციული სასწავლო სტრუქტურებისა და იერარქიების შეცვლას, ახალი მეთოდების დანერგვას. ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ილონ მასკის მიერ 2014 წელს დაარსებული ორიგინალური ექსპერიმენტული სკოლა, სახელწოდებით „ვარსკვლავებისკენ“ („Ad Astra“). მასკი უკმაყოფილო იყო ჩვეულებრივ სკოლაში შვილების სწავლა-განათლებით, ამიტომ თავის სკოლაში გააუქმა ტრადიციული კლასები, რომლებშიც ბავშვები ასაკის მიხედვით ნაწილდებოდნენ. ამის სანაცვლოდ მან შექმნა ჯგუფები, რომლებშიც მოსწავლეები უნარებისა და ინტერესების მიხედვით განაწილდნენ. ილონ მასკი ფიქრობს, რომ სკოლაში ხშირად მეორეხარისხოვან და წვრილმან დეტალებს ბევრ დროს უთმობენ, ნაცვლად იმისა, რომ არსებითი პრობლემების გადაწყვეტაზე ფიქრს მიაჩვიონ მოზარდები. მაგალითად, თუ ძრავის შეკეთებას ასწავლი, მთავარი მისი შეკეთების გზების ძიება უნდა იყოს და არა ქანჩის, ჭანჭიკისა თუ სხვა საშუალებების დაწვრილებით აღწერა.

სასწავლო გარემოსა და პროგრამების ნებისმიერი ტრანსფორმაცია, საბოლოო ჯამში, მაინც მასწავლებელზეა დამოკიდებული. მისი პროფესიული პასუხისმგებლობა განსაზღვრავს, როგორ განხორციელდება სწავლის პროცესი შეცვლილ ვითარებაში. პედაგოგი ხომ, უპირველესად, შემოქმედებითი პიროვნებაა. ის არის მოსწავლეთა ყოველდღიური სასკოლო ცხოვრების ორგანიზატორი. სწავლის ინტერესის გაღვივება დიდწილად პედაგოგზეა დამოკიდებული, რომელსაც ევალება, იყოს მაგალითი თავდაჯერებულობისა, დამოუკიდებლობისა, თავისუფლებისა. მის კომპეტენციებს განსაზღვრავს თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობაცა და გამოყენებაც.

დღეს ჭკვიანი რობოტები აღარავის უკვირს. ბაზარზე ხელმისაწვდომია პატარა რობოტი-მასწავლებლები, რომლებიც ბავშვებს ხატვას, ციფრების წერას, მათემატიკური ამოცანების ამოხსნასა და ინგლისურად წერა-კითხვას, მართლწერას მარტივად და სახალისოდ ასწავლიან. ალბათ, მალე ქართულ ენაზეც „ამეტყველდებიან“. რამდენად წარმოსადგენია, მათ სკოლაშიც ჩაანაცვლონ მასწავლებლები? სხვათა შორის, ჩატარებულია გამოკითხვები, რომელთა მიხედვითაც, მოსწავლეებს სურთ არა უემოციო რობოტ, არამედ ცოცხალ პედაგოგთან ურთიერთობა. მართლაც, მასწავლებლის ემოციების მრავალფეროვანი სპექტრი, ჟესტ-მიმიკისა თუ ხმის ტემბრის განუწყვეტელი ცვალებადობა და მოდულაციები არ შეიძლება დაპროგრამდეს, რადგან ისინი სწორედ ცოცხალ დიალოგურ ურთიერთობაში წარმოიქმნება. სწავლა, ცოდნის მიღება და მორალურ-ზნეობრივი აღზრდა, ფასეულობების შემეცნება ხომ განუყოფელია. ამ პროცესში კი ანალიტიკურთან ერთად ემოციური ინტელექტიც ყალიბდება, რომელიც აუცილებელია პიროვნების განვითარებისთვის.

მანანა ბოქორიშვილი

ინტეგრირებული სწავლების მოდელები

საგანთა შორის მკაფიო კავშირების დამყარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამა სიღრმისეული სწავლების ერთ-ერთ გზად მოიაზრება. გამოყოფენ ინტეგრირებული სწავლების რამდენიმე მოდელს:

1. **მულტიდისციპლინურს;**
2. **ინტერდისციპლინურს;**
3. **ინტრადისციპლინურს;**
4. **ტრანსდისციპლინურს.**

ინტრადისციპლინურ მოდელს ერთ დისციპლინაში შემავალ საგნებს შორის კავშირების დასამყარებლად იყენებენ (მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნები, სადაც კავშირები მყარდება ბიოლოგიას, ქიმიასა და ფიზიკას შორის). თემატურ კავშირთან ერთად ყურადღება ექცევა საერთო უნარ-ჩვევების ინტეგრირებულ განვითარებასაც.

ინტერდისციპლინურ მოდელში აქცენტი დაისმის ინტერდისციპლინური უნარების განვითარებასა და ცოდნის მრავალმხრივ გააზრებაზე.

ტრანსდისციპლინური მოდელი მოსწავლეთა ინტერესებზე დაყრდნობით იგება და პასუხობს მათ მიერ დასმულ კითხვებს. აღნიშნული მოდელით სწავლისას მოსწავლეები ყველაზე ეფექტურად ივითარებენ ცხოვრებისეულ კონტექსტთან მჭიდროდ დაკავშირებულ უნარ-ჩვევებს და სიღრმისეულად გაიაზრებენ მიღებულ ცოდნას, რადგან საგნებს შორის მანძილი მინიმუმამდე მცირდება.

მულტიდისციპლინური მიდგომა საგნების თემატურ გაერთიანებას გულისხმობს. დისციპლინები შეიძლება გაერთიანდეს როგორც თემის, ისე უნარებისა და დამოკიდებულებების გარშემოც. სწავლება მიმდინარეობს სხვადასხვა დისციპლინის ფარგლებში, თუმცა თითოეული გაკვეთილი ქმნის ერთგვარ ჯაჭვს, ანუ ერთმანეთის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს შერჩეული თემის ამოწურვამდე. თუ სასწავლო ფოკუსს რომელიმე ცნების გააზრებისკენ მივმართავთ, ამ შემთხვევაშიც ინტეგრაციის პროცესში ჩართული ყველა საგანი მისივე შინაარსის ფარგლებში შეეცდება ცნების მნიშვნელობის გააზრებას.

მულტიდისციპლინური მოდელით შექმნილი სასწავლო კურიკულუმი უმეტესად ფოკუსირებულია თემატურ კავშირებზე. იგი სიღრმისეულ ცოდნას გადასცემს საგნობრივი სწავლების ფორმატში. ტრანსდისციპლინური მოდელისგან განსხვავებით, დისციპლინური ცოდნა და უნარ-ჩვევები პრიორიტეტულია. თუმცა მასწავლებელი სწავლების პროცესში აქაც ფასილიტატორის როლს ირგებს. რაც შეეხება ინტეგრაციის ხარისხს, მიიჩნევა, რომ განსაკუთრებით მჭიდრო ინტეგრაცია ტრანსდისციპლინურ და ინტერდისციპლინურ მოდელებს ახასიათებს, თუმცა საგნობრივ სწავლებაზე **ორიენტირებულ საგანმანათლებლო სივრცეს მულტიდისციპლინური მოდელი ყველაზე კარგად ერგება.**

რაც შეეხება ინტეგრაციის ხარისხს, მიიჩნევა, რომ განსაკუთრებით მჭიდრო ინტეგრაცია ტრანსდისციპლინურ და ინტერდისციპლინურ მოდელებს ახასიათებს, თუმცა საგნობრივ სწავლებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სივრცეს მულტიდისციპლინური მოდელი ყველაზე კარგად ერგება.

გთავაზობთ ნიმუშს, სადაც თავისუფლად შეგიძლიათ დაამატოთ აქტივობები და ამით შემოიტანოთ ახალი საგანი, ან დაამატოთ აქტივობები და ამა თუ იმ საგნის/საკითხის სწავლების დონე/სიღრმე გაზარდოთ.

დავეხმაროთ ცასწავალას/ან ნებისმიერ პერსონაჟს

საგნები – მათემატიკა, ქართული, ხელოვნება

მათემატიკის საკითხი – რიცხვები 1-დან 1000-მდე

ქვესაკითხები:

1. ათეულები;
2. ათეულების შეკრება;
3. ათეულების გამოკლება;
4. უახლოესი ათეულები და ოცეულები;
5. რიცხვები 21-დან 30-მდე;
6. რიცხვები 30-დან 1000-მდე;
7. რიცხვების შედარება;
8. უახლოესი ათეულები, ოცეულები და ხუთეულები.

მისაღწევი შედეგები სტანდარტიდან:

მათ.დაწყ.(I).1, 2, 3, 13

საგანი – ქართული ენა და ლიტერატურა

მისაღწევი შედეგები სტანდარტიდან:

ქართ.დაწყ.(I).13. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადგენს პრაგმატულ ტექსტებს, სათანადოდ აფორმებს მათ მოდელის შინაარსობრივი და სტრუქტურულ-კომპოზიციური მახასიათებლების გათვალისწინებით;
- ადგენს პირადი გამოცდილების ამსახველ ტექსტს მითითებების/დამხმარე საშუალებების გათვალისწინებით.

21-ე საუკუნის მისაღწევი შედეგი

პრობლემის გადაჭრა; კრიტიკული აზროვნება, მედიაწიგნიერება

აქტივობა 1 – დავეხმაროთ ცასწავალას

ყველამ კარგად იცით გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „ცასწავალა“. წარმოიდგინე, რომ სასამართლოს შემდეგ ცასწავალა გაკოჭეს და ბორკილებზე დაადეს ბოქლომი, რომლის გახსნასაც რიცხვების გამოცნობა სჭირდება.

ცასწავალას გასათავისუფლებლად მიმავალ მამაც ბიჭს გზად ფერია შეხვდა, რომელსაც დახმარება სთხოვა. ფერიას შეუძლია, მხოლოდ მინიშნებები მისცეს, რათა ბიჭმა ბოქლომის გასაღებად საჭირო რიცხვების გამოცნობა შეძლოს.

დაეხმარე მამაც ბიჭს.

აქტივობა 2 – პირველი მინიშნება „ჯადოსნური კვადრატი“

შეავსე კვადრატი ისე, რომ ყველა სვეტის, სტრიქონისა და დიაგონალის ჯამი იყოს 18-ის ტოლი. უნდა **დაიმახსოვრო შუა უჯრაში ჩაწერილი რიცხვი.**

7		3
		5

აქტივობა 3 – მეორე მინიშნება



დააკვირდი სქემას და გამოიანგარიშე, რამდენი სმ-ით მაღალია დათო მასწავლებელი პატარა ანიზე. მიღებული შედეგიც ჩაინიშნე, რადგან ის ბოქლომის გასაღები კოდის შემდეგი რიცხვია.

აქტივობა 4 – მესამე მინიშნება

ყველა დავალება შეასრულე, **იპოვე მიღებული რიცხვებიდან უმცირესი და დაიმახსოვრე.**

1) თორნიკე 36 კგ-ს იწონის, გიორგი მასზე 9 კგ-ით მსუბუქია, ლაშა კი – გიორგიზე 10 კგ-ით მძიმე. რამდენი ათეულია მათი საერთო მასა?

2) დაწერე ყველა რიცხვი 50-დან 25-მდე, ამ რიცხვების ჩათვლით. შემდეგ გადახაზე ზოგი რიცხვი ისე, რომ დარჩენილთაგან ყოველი რიცხვი წინაზე 5-ით ნაკლები იყოს. სულ რამდენი რიცხვი დარჩა გადასახაზი?

3) თუ ერთნიშნა რიცხვს მარცხნიდან მივუწერთ ციფრ 5-ს, რამდენით გაიზრდება თავდაპირველი რიცხვი?

4) 60-დან 80-ის ჩათვლით კენტი რიცხვი უფრო მეტია თუ ლუწი? რამდენით?

5) თუ 83-ის უახლოეს ხუთეულს გამოაკლებ 35-ის უახლოეს ათეულს და 32-ის უახლოეს ოცეულს, მიიღებ...

6) დაწერე ყველა ის ორნიშნა რიცხვი, რომლის ციფრთა ჯამია 17. იპოვე მათ შორის სხვაობა.

აქტივობა 5 – მეოთხე მინიშნება

იპოვე მოცემულ სქემაზე რიცხვები, ასევე – სხვაობა უდიდეს რიცხვსა და უმცირეს რიცხვს შორის. რამდენი ათეულია მიღებულ რიცხვში? **დაიმახსოვრე ეს რიცხვი.**



აქტივობა 6 – მეხუთე მინიშნება

ანა ყოველ საღამოს სეირნობს სახლიდან მოედნამდე, მოედნიდან პოლიციამდე და ისევ უკან ბრუნდება. რამდენ მეტრს გადის ანა ყოველ საღამოს? მიღებული რიცხვის ბოლო ციფრი დაიმახსოვრე. ბოქლომის გასაღები კოდის ბოლო რიცხვიც ეგ არის.



თუ ამ მინიშნებებს სწორად გამოიყენებ, შენ გექნება ბოქლომის გახსნისთვის საჭირო რიცხვების კომბინაცია!

აქტივობა 7 – წერილი ცასწავალას

დავალების პირობა – მისწერე წერილი ცასწავალას და უამბე, რა გზა გაიარე, რა დაბრკოლებები გადალახე, რომელი მინიშნებები იყო მარტივი და რომელი – რთული. შეგიძლია, დახატო ილუსტრაციები. ნაშრომი დიდი ფორმატის ფურცელზე შესრულებული წარმოადგინე.

პრეზენტაციისას:

- იმსჯელე, როგორ შეავსე „ჯადოსნური კვადრატი“ და რა იყო ამოსაცნობი ციფრი.
- რომელი მათემატიკური ოპერაციების შესრულება დაგჭირდა?
- იმსჯელე დავალებების შესრულების სტრატეგიაზე.
- აღნიშნე, რომელი ციფრებისგან შედგებოდა ბოქლომის კოდი.

პრეზენტაციაში ხაზგასმით ისაუბრე:

- როგორ შეიძლება შეიცვალოს რიცხვის მნიშვნელობა, თუ ციფრებს ადგილს შევუცვლით და რას უნდა მიექცეს ყურადღება შედარებისა და ანგარიშის დროს (მ.წ.3.4.);
- რა ოპერაციებია საჭირო გამოანგარიშებისთვის და რაოდენობის დასადგენად და როგორ გვეხმარება სტრატეგიის შერჩევა, რათა გამოთვლები ვაწარმოოთ იმის მიხედვით, ზუსტი გამოთვლაა საჭირო თუ მიახლოებითი (მ.წ.5);
- გამოთვლების შესრულებისას საჭიროა თუ არა მოქმედებების თანმიმდევრობის დაცვა და რატომ (მ.წ.5);
- საჭიროა თუ არა რიცხვში ციფრების ადგილმდებარეობის მნიშვნელობის ცოდნა (მ.წ.6);
- რა გაგიჭირდა დავალების შესრულების დროს.

თავისუფლად შეგიძლიათ, ამ აქტივობებს დაუმატოთ სხვებიც, შემოიტანოთ ახალი საგანი და ამა თუ იმ საგნის/საკითხის სწავლების დონე/სიღრმე გაზარდოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ინტეგრირებული გაკვეთილები – http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2021/10/Mastsav-leblis-Tsigni-2021-2-web.pdf
2. https://tryengineering.org/ka/teachers/teacher-resources/
3. თ. შოშიაშვილი, თ. კვირკველია, მ. დევდარიანი, მათემატიკა, მესამე კლ., 2018 წ.

მაია მენაბდე

გზა ინტელექტუალურ თამაშამდე

თამაში „რა? სად? როდის?“ და ვაჟა-ფშაველას შემოქმედება

თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ ვიცი, არც სათაურში ნახსენები ეს თამაშია ჩემი აღმოჩენა, არც მისი სასწავლო მიზნით გამოყენება – ჩემი მიგნება. უბრალოდ, ძალიან მომინდა, აღმეწერა სერიოზული თამაშისთვის მზადების პროცესი, რომელიც, ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე თამაში (არადა, ბავშვების მიზანი სწორედ თამაში იყო) და დაინტერესებულ პირთათვის გამეზიარებინა გამოცდილება გამზადებული რესურსებითურთ.

თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ ვიცი, არც სათაურში ნახსენები ეს თამაშია ჩემი აღმოჩენა, არც მისი სასწავლო მიზნით გამოყენება - ჩემი მიგნება. უბრალოდ, ძალიან მომინდა, აღმეწერა სერიოზული თამაშისთვის მზადების პროცესი, რომელიც, ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე თამაში (არადა, ბავშვების მიზანი სწორედ თამაში იყო) და დაინტერესებულ პირთათვის გამეზიარებინა გამოცდილება გამზადებული რესურსებითურთ.

მე-11 კლასის პროგრამა დახუნძლულია უმნიშვნელოვანესი მწერლების ნაწარმოებებით. პანდემიისას გაგარეულებულ, საკლასო ოთახში ჯდომას გადაჩვეულ, ჯგუფურ- და წყვილებში მუშაობა აკრძალულ, მიზეზთა გამო ისევ ჰიბრიდულ რეჟიმში მსწავლელ, პირბადეების მიღმა დამალულ მეთერთმეტე კლასელებს მე-19 საუკუნის ლიტერატურას რომ ვასწავლიდი, ვერაფრით ვიშორებდი უკმარისობის მტანჯველ განცდას, რომ ისე ვერ ვასწავლე, ისე ვერ დავანახე, ისე ვერ განვაცდევინე, როგორც საჭირო იყო. უმრავლესობა რაღაცნაირად უღიმღამოდ, აუნთებლად მომყვებოდა. არადა, მეორე სემესტრი თითქმის იწურებოდა. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება დავასრულეთ, მაგრამ მაინც ვერ ვეშვებოდი, ეს უკმარისობის განცდა არ მიშვებდა, ისევ ვუტრიალებდი.

რეგულაციები ბოლომდე მოიხსნა და აი, მაშინ ვიფიქრე, რომ „რა? სად? როდის?“ უშველიდა ამ საქმეს. ანკეტი იყო ის, რომ კლასში რამდენიმე მოსწავლეს ჰქონდა ამ თამაშში ქალაქის დონეზე მონაწილეობის გამოცდილება და, შესაბამისად, გამარჯვების ამბიციაც. პირობა იყო ასეთი: მასალის დამუშავებაში, კითხვების მომზადებაში ჩაერთვებოდა მთელი კლასი, მერე კი მსურველებისგან მოთამაშეთა 5-6-კაციანი გუნდები შეიქმნებოდა. გადაწყდა, პარალელური კლასების მოსწავლეებს შეეჯიბრებოდნენ. ვეცდები, სტატიაში მთელი პროცესი გავწერო ნაბიჯებად.

ნაბიჯი I – შევარჩიეთ ნაწარმოებები, რომლებსაც დაამუშავებდნენ თამაშისთვის. ესენი იყო პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“. შეეძლოთ, ჩაერთოთ ვაჟა- ფშაველას ბიოგრაფიაც, მოგონებები მასზე.

ნაბიჯი II – მოსწავლეებს გავაცანი მოგონებები ვაჟა-ფშაველაზე წიგნიდან: „ვაჟა-ფშაველა, 156 ამბავი“ (გამომცემლობა „არტანუჯი“), რამდენიმე ამბავი გაკვეთილზევე წავიკითხეთ და ვიმსჯელეთ. შინ დაბრუნებულმა, უკვე წაკითხულ მოგონებებს დავუმატე ახლებიც, ავუტვირთე ონლაინჯგუფში და დავალებად მივეცი, აერჩიათ ნებისმიერი მოგონება და მოემზადებინათ მეორე დღისთვის 2-3 შეკითხვა, რომლებსაც კლასს დაუსვამდნენ. ეს მცირე აქტივობა კარგი სტარტი აღმოჩნდა სერიოზულ სამუშაოზე გადასასვლელად, რადგან გაკვეთილზე მოსწავლეებმა თავად განსაზღვრეს, რომელი კითხვა იყო ჩვენი თამაშის შესაფერისი (რომელიც მოითხოვდა ინტუიციას + ერუდიციას + ლოგიკას) და რომელი, უბრალოდ, ფაქტობრივ ცოდნაზე გათვლილი ან სამსჯელო, ჩვეულებრივი

სტრუქტურისა. ამ მსჯელობა-გადარჩევამ მოსწავლეებს უფრო ცხადი წარმოდგენა შეუქმნა, რა კუთხით უნდა ეფიქრათ, ემუშავათ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებზე. *კონკრეტულად: კითხვა ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ პასუხის გამოცნობა ზოგადი განათლებისა და ლოგიკის დახმარებით იყოს შესაძლებელი. ამისთვის კითხვის შემდგენელმა უნდა მიმართოს პარალელებს, მინიშნებებს, ასოციაციებს, დაიხმაროს ნაწარმოების ეპოქალურ-კულტურული კონტექსტი, მწერლის საკვანძო, საყრდენი შეხედულებები.*

რადგან ზუსტად ვიცოდით, რომელ ნაწარმოებებზე მუშაობდნენ სხვა კლასის ბავშვები, დავუშვით ფაქტობრივ ცოდნას მორგებული შეკითხვებიც.

ნაბიჯი III – უკვე შესწავლილ პოემებს ცალ-ცალკე დავუთმეთ დრო, რათა ხელმეორედ გადაეხედათ, დაემუშავებინათ და კითხვები მოემზადებინათ. კითხვებს ამზადებდნენ ინდივიდუალურად, შინ, მიგზავნიდნენ წინასწარ. მე ვახარისხებდი, ჩემ მიერ მოფიქრებულ 1-2 კითხვასაც ვუმატებდი და მეორე დღეს ვაჩაღებდით გუნდურ თამაშს კლასში. ეს იყო ერთდროულად კითხვების დატესტვის რეჟიმიც და მოთამაშეთა წვრთნაც. პარალელურად ვმსჯელობდით საკვანძო საკითხებზეც. ასე დავამუშავეთ სამივე ნაწარმოები ცალ-ცალკე ხელმეორედ. განსაკუთრებით მიხაროდა, რომ პროცესში ჩაერთნენ ის ბავშვებიც, რომლებიც მანამდე დიდად არ იწუხებდნენ თავს სწავლით და, შეიძლება ითქვას, ახლა უფრო გაიაზრეს და მოიხიბლნენ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებით.

საერთო ჯამში, ბავშვებმა საკმაოდ ბევრი სხვადასხვა სირთულისა და სტილის კითხვა მოიფიქრეს. როცა კითხვების ბანკი უკვე მზად გვქონდა და სამივე ნაწარმოებზე გავიარეთ შიდასაკლასო მომზადება, შევიმუშავეთ კონკრეტული წესები, რომელთა მიხედვითაც წარვმართავდით თამაშს. თავიდანვე გადავწყვიტეთ, რომ მაქსიმალურად, რამდენადაც სასკოლო ფორმატი მოგვცემდა საშუალებას, მიგვემსგავსებინა ორიგინალური თამაშისთვის, რათა ის მუხტი და ატმოსფერო რეალურ სივრცეში გადმოგვეტანა. ფორმატი ასეთი იყო: ჯერ ერთი კლასი ჩაუტარებდა თავისი კითხვებით მეორე კლასს თამაშს, მერე კი როლები შეიცვლებოდა.

თამაშის წესები ორიგინალური თამაშიდან გადმოვიტანეთ, მაგრამ შემოკლების, საჩვენოდ მორგებისა და ინტერპრეტაციის შემდეგ ასეთი სახე მიიღო:

- თამაშში მონაწილეობს 2 გუნდი: ჯერ ერთი თამაშობს, მერე – მეორე. თამაშს უძღვება მოწინააღმდეგე გუნდი.
- კითხვები შეადგინეს თავად მონაწილეებმა, ამიტომ მოწინააღმდეგე გუნდს კითხვებითაც უპირისპირდებიან: თუ მოაზროვნეები სწორად უპასუხებენ დასმულ კითხვას, ისინი ეუფლებიან ქულას.
- თუ მოაზროვნეთა პასუხი მცდარია, ქულა ერიცხება მოწინააღმდეგე გუნდს.
- პასუხის სისწორეს განსაზღვრავს თამაშის წამყვანი. საკამათო ან არასაკმარისი კონკრეტიკის შემცველი პასუხის დროს წამყვანს შეუძლია, კონსულტაციისთვის მიმართოს სტუდიაში დამსწრე ნებისმიერ პირს (როგორც წესი, მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სტუმრებს). ქულის ჩათვლა-არჩათვლის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს თამაშის ორგანიზატორი მასწავლებელი.
- თითო თამაში შედგება **12 კითხვისგან.** ამათგან ერთ-ერთია „შავი ყუთის“ კითხვა და ერთიც „ბლიცი“, რომელშიც 3 კითხვა თამაშდება. წამყვანი მოაზროვნეთა გუნდს უსვამს კითხვებს. ჩვეულებრივ კითხვებზე პასუხის მოსაფიქრებლად მათ 1 წუთი ეძლევათ, ბლიცის კითხვებისთვის კი – 20-20 წამი. ბლიცის სექტორში გასამარჯვებლად გუნდმა სწორი პასუხი უნდა გასცეს სამივე კითხვას. თამაში გრძელდება კითხვების ამოწურვამდე.
- მოაზროვნეებს უფლება აქვთ, უპასუხონ დასმულ კითხვას მოსაფიქრებელი წუთის გამოუყენებლად **(ე.წ. ვადამდელი პასუხის წესი).** პასუხის სისწორის შემთხვევაში მოაზროვნეები იღებენ მოსაფიქრებლად **დამატებით წუთს,** რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ ამავე თამაშის მომდევნო რაუნდებში.
- თამაშის მსვლელობისას მოაზროვნეებს ერთხელ შეუძლიათ ისარგებლონ **დარბაზის დახმარებით.** ძირითადი განხილვის წუთის ან, ბლიცის შემთხვევაში, 20 წამის გასვლის შემდეგ გუნდის კაპიტანს შეუძლია აიღოს დარბაზის დახმარება. დარბაზის დახმარების

პასუხის სისწორეს განსაზღვრავს თამაშის წამყვანი. საკამათო ან არასაკმარისი კონკრეტიკის შემცველი პასუხის დროს წამყვანს შეუძლია, კონსულტაციისთვის მიმართოს სტუდიაში დამსწრე ნებისმიერ პირს (როგორც წესი, მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სტუმრებს). ქულის ჩათვლა-არჩათვლის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს თამაშის ორგანიზატორი მასწავლებელი.

აღება არ შეიძლება, როცა მოაზროვნეების გუნდი იგებს ან როცა ანგარიში საყაიმოა, აგრეთვე – რაუნდში „ბლიცი“.

- დამსწრეებს ეძლევათ 20 წამი მოთამაშე გუნდის დასახმარებლად. ისინი მოაზროვნეებს სთავაზობენ საკუთარ ვერსიებსა და მოსაზრებებს. ამის შემდეგ გუნდმა კითხვას პასუხი უნდა გასცეს. დარბაზის დახმარებაში მონაწილეობა შეუძლია დარბაზში მყოფ ყველა პირს.
- ორივე გუნდის თამაშის დასრულების შემდეგ ხმათა უმრავლესობით გამოვლინდება **დღის მოაზროვნე.**

დარბაზში მაყურებლის სტატუსით მყოფი ნებისმიერი პირი კარნახის მცდელობისთვის გაძევებული იქნება დარბაზიდან, ხოლო მოაზროვნე მოიხსნება თამაშიდან.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ, ჩვეულებრივი თამაშისგან განსხვავებით, მონაწილეები კითხვას ეკრანზეც ხედავდნენ, რაც მათ აღქმასა და ფიქრში ეხმარებოდა.

ნაბიჯი IV – ისევ ერთობლივი მუშაობით შევარჩიეთ კითხვების ბანკიდან, ჩვენი აზრით, თამაშისთვის საჭირო საუკეთესო 12 კითხვა და ბავშვებმა ისინი სლაიდებზე გადაიტანეს. როგორც უკვე აღვნიშნე, ვცდილობდით, მაქსიმალურად შეგვექმნა თამაშის ატმოსფერო, ამიტომ დასაწყისსა და ფინალს მუსიკით ვაფორმებდით. ამ მუსიკას ადვილად იპოვით YouTube-ში. ორიგინალური თამაში რამდენიმე მუსიკალური კომპოზიციითაა გაფორმებული, მაგრამ ჩვენ ეს ავარჩიეთ: https://www.youtube.com/watch?v=Q_0TOx20eSc&list=PL0nE0bBtKU1Ezn9JSV8MdTfNEwlLNwcmg

კითხვების დასმის შემდეგ ვრთავდით ელექტრონულ წამმზომსაც. იუთუბზე სხვადასხვა ფორმატისა და გახმოვანების წამმზომებს იპოვით. ჩვენ ეს გამოვიყენეთ: https://www.youtube.com/watch?v=r9jQBN4Dfug

მრავლად მოიპოვება ბუს ფიგურები და დეკორატიული აქსესუარებიც ბუს გამოსახულებით, რომ საუკეთესო მოაზროვნეს გადასცეთ.

ნაბიჯი V – უშუალოდ თამაშის პროცესია, რომლის სწორად, ზედმეტი ხმაურის გარეშე და საინტერესოდ წარმართვა მრავალ წვრილმანზეა დამოკიდებული.

მაგალითად, მნიშვნელოვანია, თამაშის ორგანიზებაში ჩართული იყოს რამდენიმე მოსწავლე, რომლებსაც განაწილებული ექნებათ ფუნქციები (წამყვანი; ის, ვინც ეკრანს, მუსიკას, დროსა და სლაიდებს გააკონტროლებს; ის, ვინც „შავ ყუთს“ შემოიტანს და ა.შ.), რათა შექმნილმა ქაოსმა ყურადღება არ გაუფანტოს თამაშის მონაწილეებს. წამყვანი უნდა კითხულობდეს მკაფიოდ და სწორი ინტონაციებით; სჭირდება ცოტაოდენი არტისტიზმიც, რომ თამაშში თავის დროზე შექმნას დაძაბულობა ან, პირიქით, განმუხტოს. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე გუნდის წევრია, არ უნდა იყოს მიკერძოებული, რათა მოთამაშეებს უსამართლობის განცდა არ გაუჩნდეთ.

ასევე კარგი იქნება, მაყურებლები ბევრი არ იყოს, რადგან დარბაზის მაქსიმალური ყურადღება, წესების დაცვა და მხარდაჭერა მნიშვნელოვანია მოთამაშეებისთვის.

წერილის ბოლოს გთავაზობთ კითხვებს, რომლებიც შეგიძლიათ, გამოიყენოთ თქვენს მოსწავლეებთან, მხოლოდ სანიმუშოდ, რადგან კითხვებზე მუშაობა, ტექსტში კირკიტი და პირობის ჩამოყალიბებაზე ფიქრი უფრო მეტს აძლევს ბავშვებს, ვიდრე მზა კითხვებზე დაფიქრება და პასუხის პოვნა.

1. **„ალუდა ქეთელაურის“** ერთ-ერთ ეპიზოდში ალუდამ x „გასინჯა“. დაასახელეთ x, თუკი გეტყვით, რომ მოაზროვნე ცხი ლაის აზრით, „ცხოვრება x-ია, ხოლო სიკვდილი – გამოღვიძება“.
პასუხი: სიზმარი

2. პოემა **„სტუმარ-მასპინძელში“** მთავარი სტუმრის, ზვიადაურის, გამოჩენამდე ერთი „ცოტა ხნის“ სტუმარი ჩნდება. მას „სძინავს დაფიქრებულის სახითა“, ის „ყურს უგდებს არე-მარესა“ და „გულ-ლაღობს სანახავითა“. პოემა **„ბანტრიონში“** კი ვაჟა ამბობს, რომ ის „ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი“. რის შესახებ ამბობს ამას მწერალი?
პასუხი: ნისლი

3. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებში „სტუმარ-მასპინძელი“, როდესაც ორი მთავარი პერსონაჟი

ერთმანეთს ელაპარაკება, არის ასეთი ციტატა: *„აი, ეს ჩემი ოჯახი, ჩემი X და სახლია"*. რა სიტყვა არის შეცვლილი X-ით, თუ გეტყვით, რომ ის ერთდროულად აღნიშნავს ყველაზე არასასურველ ადგილსაც და ყველაზე საიმედოსაც? იმასაც დავამატებთ, რომ ამ ბოლო მნიშვნელობით გვხვდება ანდაზაში, რომელიც გვასწავლის, რომ ახლობელი ადამიანი სახიფათოც შეიძლება აღმოჩნდეს.

პასუხი: ციხე

4. ვაჟა-ფშაველა თავისი გმირების გრძნობებზე საუბრისას ხშირად იყენებს მეტაფორებს.
„მუცალს არ სწადის სიკვდილი, ფერს არა ჰკარგავს X-ისა";
„გაჯავრდა ქეთელაური, ფერი დაიდვა X-ისა".
ამ ორი ფრაზის დასასრულებლად დაასახელეთ არსება, რომელიც ფიგურირებს გოდერძი ჩოხელისა და ჰერმან ჰესეს ნაწარმოებების სათაურებში.

პასუხი: მგელი

5. როდესაც ვაჟა ჩამოვიდა თბილისში, მისმა მეგობრებმა გაუმართეს ქეიფი და მწერალმა სანდრო შანშიაშვილმა დახატა კარიკატურა, რომელზეც ასახულია გოლიათი ვაჟა. ამ კარიკატურას აქვს წარწერა: **„ძლივს შეამჩნიეს ეს X ადამიანი"**.
ყურადღება, შეკითხვა: დაასახელეთ X ერთი სიტყვით.

პასუხი: პატარა

6. **მას** წარმართები აღმერთებდნენ, ქრისტიანებმა ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოდ აიღეს და ეს სიმბოლო ბიბლიაში შეიტანეს; ესპანელებმა ის თავიანთი ტრადიციის განუყოფელ ნაწილად აქციეს; ქართველი გლეხი კი ორნაირად იყენებდა მას: როგორც მთავარ დამხმარეს სოფლის მეურნეობაში და ისე, როგორც ალუდამ გამოიყენა.
დაასახელეთ **ის**, თუ გეტყვით, რომ მისი ამ სახით გამოყენება ალუდასთვის დამღუპველი აღმოჩნდა.

პასუხი: კურატი, ხარი

7. მინდია ამბობს:
„გზა-კვალი არ ამერევა,
ყოველმხრივ ვიცი სავალი.
დღესავ მოგივათ მინდია,
სანამ დაბრძანდეს მრავალი".
დაასახელეთ, რა არის ყველაზე გავრცელებული სახელი იმისა, რასაც მინდია „მრავალს" უწოდებს, თუკი გეტყვით, რომ ძველი ბერძნები მას **ეტლს** უწოდებდნენ, ჩინელები – **ჩრდილოეთის კოვზს**, სანსკრიტიდან კი მისი სახელი ითარგმნება როგორც **„შვიდი ბრძენი"**.

პასუხი: დიდი დათვის თანავარსკვლავედი

8. *„ჩამოდგა საღამოს ჟამი,*
მთიდამ მზის სხივი ჩამოხდა,
სიბნელე მოიპარება,
სინათლეს ... ..."
ციტატის დასასრულებლად დაასახელეთ ორი სიტყვისგან შემდგარი ფრაზეოლოგიზმი.
საქმე გაგიადვილდებათ, თუკი ელდარ შენგელაიას ლეგენდარული ფილმის, „შერეკილების", ცნობილ დიალოგს გაიხსენებთ, სადაც მთავარი გმირი ამავე მნიშვნელობის მქონე სხვა ფრაზეოლოგიზმებს ჩამოთვლის:

„– აუუ, ჩაბარდა პატრონს...
– რომელ პატრონს?
– გევიდა გაღმა...
– სად გაღმა?
– მარილზე!“

9. *„ოცი წელია მწყემსად ვარ*
თუშეთს, უცხოსა მხარესა,
და ფშავის ხევის სტუმარსა
მარტო ვხედავდი მთვარესა.
საბაროდ გადმამავალთა
ამბავს ვკითხავდი წეროთა, -
რა წერილობას გაგვიწევს,
****** ზე ამბავი ვწეროთა?“*
აღადგინეთ გამოტოვებული სიტყვა, თუ გეტყვით, რომ ეს სტრიქონები ფუჭ, ამაო მოქმედებას გამოხატავს. დავამატებ იმას, რომ ის ბუნებრივ მოვლენებს უკავშირდება და პოეზიაში ხშირად არის სისპეტაკისა და მარტოსულობის, მიუსაფრობის სიმბოლო.
პასუხი: თოვლზე

10. მოისმინეთ ნაწყვეტი „სტუმარ-მასპინძლიდან“:
„წავიდა გახარებული,
შეატყობინა ყველასა.
X-ის საჯდომი თუ იცის,
მეტი რა უნდა Y-სა?“
დაასახელეთ X-ც და Y-ც, თუკი გეტყვით, რომ ერთი საფრანგეთის ეროვნული ცხოველია, მეორე კი – ალჟირის.
პასუხი: მამალი, მელა

11. დაასახელეთ ის, რაც ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთ პოემაში გვხვდება, თუკი გეტყვით, რომ ბავშვობაში ის ყველასთვის კარგად ნაცნობია და ალბათ, წარმოდგენილიც გვყავს საში-შად, საზიზღრად, თუმცა, მიუხედავად ამისა, პოემის კითხვისას მისი გამოჩენა გვიკვირს. ის „ვეფხისტყაოსანშიც“ გვხვდება - მთავარი გმირი გაიმარჯვებს მათზე და მიიღებს სასურ-ველს.
პასუხი: დევი

12. „დღემ დაიხურა X,
მთებმა დახუჭეს თვალები,
აღარ შფოთობენ საფლავში
გმირთ ოფლის მღვრელი ძვალები“
თქვენი მიზანია, დაასახელოთ X, თუკი გეტყ-ვით, რომ ის, გარდა ამ მონაკვეთში მოცემული მნიშვნელობისა, დღესდღეობით ფართოდ გამოიყენება, სხვადასხვა ქსოვილისგანაა დამზადებული და ხელს გვიწყობს, თავიდან ავირიდოთ ის, რამაც ჩვენი ცხოვრება სრუ-ლიად შეცვალა.
პასუხი: პირბადე

13. როგორც ვიცით, მოგება და წაგება ძმები არიან. ახლა თქვენ უნდა გამოიცნოთ ზუსტად ასეთი წყვილი, რომელიც ვაჟა-ფშაველასთან გვხვდება და პირდაპირ უკავშირდება ადამი-ანის ქმედებას.
მკითხველებმა კი ვიცით, რომ თუ ერთი უფრო მეტად ზემოქმედებს მეორეზე, ამას საბო-ლოოდ ცუდი შედეგი მოჰყვება.
იმასაც აღვნიშნავთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დასახელებულია არა ორი, არამედ სამი. დაასახელეთ ეს წყვილი, თუკი გეტყვით, რომ ერთ-ერთი მათგანი ადამიანის ორგანოცაა.
პასუხი: გული და გონება

14. ახლა თქვენ უნდა დაასახელოთ **ის**, რაც ვაჟა-ფშაველას ორ პოემაში გვხვდება და გამო-იყენება თემისათვის მნიშვნელოვან დროს. ერთ პოემაში ჩვენ დასაწყისში ვეცნობით პერსონაჟს, რომელიც მარტო აკეთებს ამას, ხოლო მეორეში ამას დასასრულისკენ აკეთებს მთავარი პერსონაჟი, რის გამოც ყველას უკმაყოფილებას გამოიწვევს. ის, რაც თქვენ უნდა დაასახელოთ, გვხვდება „დავითიანშიც”, თუმცა ამ ქმედების მთავარი საგანი არა აქვს, რის გამოც ძალიან წუხს და მის მაგივრად სხვა რამეს მოიმოქმედებს.
პასუხი: მსხვერპლშეწირვა

15. „მაღლა დაგიცდა, ბეჩავო,
კენჩხას არა სჭირს ძვლისასა“.
ვაჟა თავის ლექსებს ხშირად ურთავს გან-მარტებებს. სიტყვა **„კენჩხა“** დიალექტიზმია და ლიტერატურაში თავისი შესატყვისი აქვს. თქვენი მიზანია, დაწეროთ მისი მნიშვნელობა, თუკი გეტყვით, რომ ის 29 ძვლისგან შედგება. გარდა ამისა, ყველაზე ძველი X, რომელიც შე-მორჩენილია, უარყოფს ერთ-ერთ რელიგიურ თეორიას. დაასახელეთ, რაზეა საუბარი.
პასუხი: თავის ქალა

16. ერთ-ერთი პოემის დასაწყისში ვაჟა-ფშაველა ახალი პერსონაჟის შემოყვანისას იყენებს

საინტერესო **სიტყვას**. ეს პერსონაჟი დაღლილი და შორი გზიდან მოსულია, ხოლო ეს გამოსაცნობი სიტყვა თითქოს მიანიშნებს მის კავშირს სამშობლოსთან.
იგივე სიტყვა იმავე მნიშვნელობით (მხოლოდ პირველი ასოა განსხვავებული) რამდენჯერმე გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“. ძირითადად ავთანდილი უწოდებს საკუთარ თავს, რათა ამით გამოხატოს, რა გზა გამოიარა.
მოგვიანებით სიტყვამ შინაარსი იცვალა და დღესდღეობით დამკვიდრებული მნიშვნელობით ეს ზედსართავი სახელი ახასიათებს სულხან-საბას იგავის ერთ-ერთ პერსონაჟს, რომელიც ფიქრებში გაერთო და ოცნებამ „დაღუპა“.
გამოიცანით სიტყვა.
პასუხი: ღარიბი, ყარიბი

17. ვაჟა-ფშაველა თავის ერთ-ერთ პოემაში ახსენებს იმას, რაც ახლა შავ ყუთში დევს. ორ პერსონაჟს შორის იმართება დაძაბული დიალოგი და ერთ კითხვაზე პასუხისას გმირი იყენებს სწორედ ამ სიტყვას. ესაა ნივთი, რომელიც სხვადასხვა ქსოვილისგან მზადდება. ნიკო ფიროსმანის ერთ ძალიან ცნობილ ნახატში ის მრგვალი და ყვითელია, ფილმ „შერეკილებში“ კი თეთრია და მელოდიის ფონზე ჩანს, თუ როგორ აფრიალებს მას ქარი. ყურადღება, კითხვა – რა დევს შავ ყუთში?
პასუხი: ქუდი

18. თქვენ წინაშეა ნიკო ფიროსმანის ნახატი, რომელზეც გამოსახულია ის, რაც ვაჟა-ფშაველასაც აქვს გამოყენებული თავის ერთ-ერთ პოემაში. დაასახელეთ ნაგულისხმევი საგანი, თუკი გეტყვით, რომ ნაწარმოებში ის ღირსებას უსვამს ხაზს.
პასუხი: ლეჩაქი, ჩიქილა

19. მაშინ, როდესაც ალუდა თემს უამბობს, რა გადახდა თავს ქისტებთან ბრძოლისას, ვაჟა-ფშაველა ახალგაზრდებზე ამბობს:
„ხევსურთა *ახალ-უხლები*
გადაიქციან „X-ადა“,
ავად შაჰხედნეს ალუდას,
შაუძრახნიან *ხმელადა“*.
სიტყვა, რომელიც X-ით შევცვალეთ, მრავალწლოვანი ხეხილოვანი მცენარეა. მის ნაყოფს მიირთმევენ, მისგან ასევე ამზადებენ თხევად მასას სხვადასხვა მწვანილთან ერთად და ჰქვია იგივე, რაც მცენარეს. დაასახელეთ სიტყვა, რომელიც შევცვალეთ X-ით.
პასუხი: ტყემალი

20. „ზოგჯერ ავდარი დადგება,
ზოგჯერ მზე ბრწყინავს, დარია.
რა უყვათ, ბევრი უნახავ
...– აშლილი მკვდარია!
ბევრჯელ წასულა საჭალოდ
დახოცილთ სისხლის ღვარია“.
სიტყვა, რომელიც გამოტოვებულია მოცემულ მონაკვეთში, ერთგვარი პატიოსნების სიმბოლოა. აკა მორჩილაძესთან კი ის ერთი მხიარული ისტორიით გვამახსოვრდება, რომელიც აკაკი წერეთლის მამას გადახდა თავს. დაასახელეთ, რაზეა საუბარი, თუკი გეტყვით, რომ ერთ-ერთი ესპანელი სიურრეალისტი მხატვარი თითქმის ყველასთვის სწორედ ამით იყო დასამახსოვრებელი.
პასუხი: ულვაში

21. ახლა თქვენ უნდა გამოიცნოთ ის, რაც საქართველოს ისტორიისთვის ნამდვილად არ არის უცხო. ერთი ცნობილი პიროვნება კი ამბობდა, ქართველებს რომ არ ჰყოლოდათ X, უძლეველები იქნებოდნენო. დაასახელეთ ეს სიტყვა, თუკი გეტყვით, რომ ვაჟა-ფშაველას სამივე პოემაში მას თითქოს იარლიყად იყენებენ, სამართლიანად თუ უსამართლოდ რომ მიაკრან პერსონაჟებს.
პასუხი: მოღალატე

22. **ის** მაღალია და მყარი. ვაჟას მიხედვით, პირველი, რაც **მისი** დანახვისას თვალში მოგვხვდება, სხეულის ერთ-ერთი ნაწილია, რომელსაც მის პოემებში სხვა დატვირთვაც აქვს. სხეულის ეს ნაწილი შემდეგი საუკუნის მწერალთან დასჯის ერთ-ერთ მეთოდსა და დიდ ტაძარს ერთდროულად უკავშირდება. არ გთხოვთ, დაასახელოთ სხეულის ეს ნაწილი. 1 წუთის შემდეგ ზუსტად დაგვიწერეთ, თუ რა ერქვა იმას, რასაც მთაში თურმე ერთგვარი საკიდის ფუნქციაც ჰქონდა.
პასუხი: ქავი

მაია ფირჩხაძე

როგორ გადავწყვიტოთ სასწავლო ამოცანები სკოლის ბიბლიოთეკის დახმარებით

ბიბლიოთეკა კულტურულ-საგანმანათლებლო, დამხმარე სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოსწავლეების შემეცნებითი საქმიანობის მართვაში, თვითორგანიზებისა და თვითგანათლების უნარების გამომუშავებაში.

ბიბლიოთეკა კულტურულ-საგანმანათლებლო, დამხმარე სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოსწავლეების შემეცნებითი საქმიანობის მართვაში, თვითორგანიზებისა და თვითგანათლების უნარების გამომუშავებაში. ბიბლიოთეკის მასალები ავსებს და ამდიდრებს სახელმძღვანელოებს, სასწავლო რესურსებს, უზრუნველყოფს საინფორმაციო რესურსებზე წვდომას და უადვილებს მოსწავლეს, წარმატებით უპასუხოს არა მარტო „რატომ?“ და „რა?“ – კითხვებს, არამედ კითხვასაც: „როგორ?“

ბიბლიოთეკის მუშაობას ბიბლიოთეკარი წარმართავს. ის მნიშვნელოვანი პერსონაა. მას ციფრული ტექნოლოგია ვერ შეცვლის. სკოლის ბიბლიოთეკარს შეუძლია, მოსწავლის ყველაზე აქტიური მხარდამჭერი იყოს საინფორმაციო წიგნიერების უნარების გამომუშავებაში, რაც, ერთი მხრივ, გულისხმობს მოსწავლის მიერ ინფორმაციის მიღების, მოპოვების, გაცნობის მოთხოვნილების აღიარებას (ანუ იმის გაგებას, რომ ახალი ინფორმაცია გჭირდება), მეორე მხრივ კი ინფორმაციის ინტერპრეტაციის უნარს, რაც ყველა საგნის შესწავლისთვის მნიშვნელოვანია.

სასურველია, ბიბლიოთეკის გამოყენებით დავალებების შესრულებას მოსწავლეები სწავლის დაწყებით საფეხურზე-ვე მივაჩვიოთ. ეს გაამდიდრებს მათ უნარებს და გაამრავალფეროვნებს ინფორმაციის მოპოვების გზებს. ასეთ გაკვეთილებზე მასწავლებელი ფასილიტატორია, ბიბლიოთეკარი – დამხმარე კონსულტანტი. მოსწავლეები კი დამოუკიდებლად დაამუშავებენ ინფორმაციას, დაახარისხებენ, შეადარებენ და დასკვნებს გამოიტანენ.

საჭიროა მხოლოდ, ასეთი გაკვეთილი დაიგეგმოს, მასწავლებელი წინასწარ გაეცნოს ბიბლიოთეკის კატალოგს და მოიპოვოს ინფორმაცია ფონდში არსებული წიგნების, ალბომების, მოგზაურთა ჩანაწერების, სასწავლო-შემეცნებითი რესურსების და სხვათა შესახებ. ეს მოსწავლეების შემოქმედებითობას და ინიციატივიანობას გაზრდის და მათ სასწავლო ამოცანების საინტერესოდ გადაწყვეტაში დაეხმარება.

მასწავლებელმა ისე უნდა წარმართოს საქმიანობა, მათ შორის – კომპლექსური ხასიათის დავალებებზე მუშაობაც, რომ მოსწავლემ ბიბლიოთეკის სივრცე აქტიურად გამოიყენოს.

მაგალითისთვის გაგიზიარებთ საკუთარ გამოცდილებას.

VI კლასი, საგანი – „ჩვენი საქართველო“, თემა – „კახეთი“

შეფასების ინდიკატორები: მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- კახეთის მხარის ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა (**საზ. მეც. დაწყ. (II). 3**);
- რუკის ლეგენდაში მოცემული პირობითი ნიშნების საშუალებით რუკაზე დატანილი ინფორმაციის წაკითხვა (**საზ. მეც. დაწყ. (II). 4**);
- ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მნიშვნელობის გაცნობიერება ინდივიდისა და საზოგა-

დოების განვითარებისთვის (**საზ. მეც. დაწყ. (II). 12**);

- კახეთის განვითარებისთვის მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციებისა და სხვა ტრადიციული და ამჟამინდელი პროფესიებისა და საქმიანობების მნიშვნელობისა და საჭიროების გააზრება (**საზ. მეც. დაწყ. (II). 6**);
- ინიციატივის გამოვლენა, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის დაგეგმვა (**საზ. მეც. დაწყ. (II). 7**);
- კახეთის ბუნების ღირშესანიშნაობათა გააზრება და პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა (**საზ. მეც. დაწყ. (II). 13**).

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები: ხალხი, მდებარეობა, გარემო (გეოგრაფია, რუკა/ადგილის გეგმა; საზღვარი; ბუნებრივი რესურსები, ლანდშაფტი (ბუნებრივი), რელიეფი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე; **ეკონომიკა** (პროფესია, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები); **კულტურული მრავალფეროვნება** (კულტურული მემკვიდრეობა, ტრადიცია/ინოვაცია, ტრადიციული ყოფითი საქმიანობები).

სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები: რა ვიცით საქართველოსა და მისი მხარეების შესახებ? რა შეიძლება გავიგო საქართველოს ამა თუ იმ მხარის შესახებ რუკაზე დატანილი პირობითი ნიშნების საშუალებით (რესურსი, ძეგლი, ბრძოლის ადგილი, ქალაქი, მდინარე, ტბა, მთა, ბარი)? რატომ არის საქართველოს ამა თუ იმ მხარეში გავრცელებული ესა თუ ის ტრადიციული საქმიანობა და მეურნეობის დარგი? რატომ განსხვავდება საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე სხვადასხვა ნიშნით (მაგ., სამზარეულო, წეს-ჩვეულებები)? რომელი ცნობილი მოგზაურების სახელები უკავშირდება საქართველოს ამა თუ იმ მხარეს? როგორ შეიძლება მივიღოთ მონაწილეობა ამა თუ იმ მხარისთვის აქტუალური პრობლემების (მაგ., კულტურული მემკვიდრეობის დაცვა) გადაჭრაში?

მუშაობის ფორმა: ჯგუფური

შეფასების სისტემა: სოლო-ტაქსონომია

კომპლექსური დავალების პირობა: წარმოიდგინე, რომ კორესპონდენტი ხარ და კახეთის მხარის შესახებ მასალებს აგროვებ. ამ მიზნით უპირველესად სკოლის ბიბლიოთეკას ესტუმრე. ბიბლიოთეკარის დახმარებით მოიპოვე ამ თემაზე მასწავლებელის მიერ შემოთავაზებული ლიტერატურა, რომლის შესწავლით მიიღებ პასუხებს შენთვის მნიშვნელოვან კითხვებზე.

ამ მიზნით:

I ეტაპზე:

ა) ენციკლოპედიებში გაეცანი მითითებულ საინფორმაციო ტექსტებს კახეთის მხარის შესახებ;

ბ) დაალაგე და დანომრე ისინი შინაარსის მიხედვით.

II ეტაპზე:

ა) იპოვე „საქართველოს ატლასი მოზარდთათვის“ და

ბიბლიოთეკაში მუშაობა წიგნის მიმართ ინტერესს უღვივებს მოსწავლეებს, სწავლის შედეგი უფრო ადვილად მისაღწევი ხდება, ამიტომ ეს კომპონენტი შეგვიძლია უფრო აქტიურად ჩავრთოთ სასკოლო ცხოვრებასა და პრაქტიკულ საგაკვეთილო საქმიანობაში და რეალურად შევქმნათ მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო სკოლაში.

გაეცანი ინფორმაციას კახეთის ღირსშესანიშნაობების შესახებ;

ბ) ეს ინფორმაცია შეადარე საინფორმაციო ტექსტებიდან მიღებულ ინფორმაციას კახეთის მხარის შესახებ და შესაბამისად გადანომრე.

III ეტაპზე:

ა) გაეცანი წიგნებში – „საქართველო და ქართველები“ და „საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია“ გადმოცემულ ინფორმაციას კახეთზე;

ბ) ამოიწერე ეს ინფორმაცია, დაუკავშირე შენთვის ნაცნობ ინფორმაციას და ნომერი მიანიჭე. რა გაიგე ახალი კახეთზე? მოიყვანე არგუმენტი.

IV ეტაპზე:

ა) იპოვე ალბომში „ქრისტოფორო კასტელი და საქართველო“ დაცული ინფორმაცია XVI-XVII საუკუნეების საქართველოში მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების შესახებ;

ბ) დაუკავშირე ეს ინფორმაცია კახეთში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების შესახებ უკვე ნაცნობ მასალას;

გ) გამოიტანე დასკვნა, რამდენად ტრადიციული კულტურაა მევენახეობა და მეღვინეობა კახეთში;

დ) უპასუხე შეკითხვას: „როგორ წარმოგიდგენია მომავალში ამ დარგის განვითარება კახეთში?“

ე) მოამზადე პოსტერი „მეღვინეობა კახეთში“ და მასში ასახე მიღებული დასკვნები.

V ეტაპზე:

ა) ბიბლიოთეკაში დაცული სასკოლო სახელმძღვანელოებისა და რუკების გამოყენებით კახეთის კონტურულ რუკაზე დაიტანე: კახეთის მხარე და მისი ქალაქები; მოსაზღვრე მხარეები; მუნიციპალიტეტების ცენტრები; ავტომაგისტრალები; ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები; მევენახეობა-მეღვინეობისა და მეურნეობის სხვადასხვა დარგის ცენტრები; ვირტუალურად იმოგზაურე კახეთის რომელიმე ცენტრიდან თბილისში და კონტურულ რუკაზე დაიტანე შესაბამისი მარშრუტი.

ბ) რუკას დაურთე ლეგენდა.

VI ეტაპზე:

ა) „მსოფლიოს გეოგრაფიულ ატლასში“ იპოვე ევროპის რუკა და სტიკერით მონიშნე, სად მდებარეობს ამ რუკაზე კახეთი;

ბ) მოხაზე ევროპისა და აზიის საზღვრები;

გ) იმსჯელე, რით შეიძლება დააინტერესოს კახეთმა ევროპიდან ან აზიიდან ჩამოსული ტურისტი;

დ) როგორ ფიქრობ, რა როლი შეიძლება შეასრულოს კახეთის ეკონომიკაში მეურნეობის ტრადიციულმა დარგებმა, მათ შორის – მეღვინეობა-მევენახეობამ?

VII ეტაპზე:

ყველა მასალა შინაარსის მიხედვით კიდევ ერთხელ დანომრე, გააკეთე სარჩევი და შემდეგ წარუდგინე

სურ. 1. სკოლის ბიბლიოთეკაში

თანაკლასელებს – გააკეთე პრეზენტაცია მოპოვებული მასალების მიხედვით. პრეზენტაციაში ყურადღება გაამახვილე შემდეგ საკითხებზე:

- რა გაიგე მნიშვნელოვანი კახეთის ადგილმდებარეობის, მეურნეობის, კულტურის, ტრადიციებისა და ღირსშესანიშნაობების შესახებ?
- რამ დაგაინტერესა ყველაზე მეტად?
- რისი გაგება/მონახულება მოგინდებოდა კახეთში ექსკურსიის დროს?

მსჯელობისას მოიყვანე მტკიცებულებები და არგუმენტები.

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

ა) რა მოგცა ამ მასალაზე მუშაობამ? როგორ დაგეხმარა ბიბლიოთეკა დავალების შესრულებაში?

ბ) თავიდან რომ აკეთებდე, რას შეცვლიდი?

რესურსები

I ეტაპის დავალების შესასრულებლად: მუსხელიშვილი დ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980, გვ. 447

II ეტაპის დავალების შესასრულებლად: „საყმაწვილო ენციკლოპედია“, გვ. 97 და გვ. 121; საქართველოს ატლასი მოზარდთათვის, გვ. 30, „კახეთი“, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2005

III ეტაპის დავალების შესასრულებლად: „საქართველო და ქართველები“ (საკითხავი წიგნი), რედ. ზაზა აბაშიძე, თბილისი, 2013, გვ. 66; თოფჩიშვილი რ. „საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია“, თბილისი, „უნივერსალი“, 2010, გვ. 109-111

IV ეტაპის დავალების შესასრულებლად: ალბომი „ქრისტოფორო კასტელი და საქართველო“, გვ. 169

პოსტერის მომზადებისას გაითვალისწინეთ შემდეგი რეკომენდაციები: 1. უნდა ეხებოდეს კონკრეტულ თემას; მასზე ასახული უნდა იყოს პრობლემა – გადაჭრის გზა, მიღწეული შედეგები, დასკვნა და რეკომენდაციები; 2. მნიშვნელოვანია ორგანიზებულობა – უნდა იკითხებოდეს

სურ. 2. საინფორმაციო ტექსტების ნიმუში

– საინფორმაციო ხასიათის ტექსტები კახეთზე

ქართველთა წინაპარს ქართლოსს ხუთი შვილი ჰყავდა: მცხეთოსი, გარდაბოსი, კაჩოსი, კუხოსი. მამის გარდაცვალების შემდეგ შვილებს მისისამყოფელი დაუნაწილებელიათ: კახოს რგებია მიწა-წყალი „კავკასიასა და კახეთის მთასშორის, არაგვიდან ვიდრე ტყეტბამდე რომელ არს სახელგარ ჰერეთისა“.

- კახეთი მდიდარია როგორც მეტალურგიული წარმოებისათვის საჭირო ნედლეულით, ისე ნოყიერი ნიადაგებით, ნიადაგიდან მოყვანილი საფარით - ტყის მასივებით, სამოვრებით და წყლის რესურსებით. ყველაფერ ეს ზომიერ ჰავასთან ერთად, ადამიანის საცხოვრებლად და მისი სამეურნეო ცხოვრების განვითარებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

- კახეთი დაწინაურებული მეურნეობის ქვეყანა იყო. კახეთში განსაკუთრებით მაღალგანვითარებას მიაღწია მეღვინეობა-მეღვინეობამ. დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებით გავრცელებულია რქაწითელი და საფერავი, ასევე მანავის მწვანე.

- კახეთში განსაკუთრებით განვითარებული იყო მესაქონლეობა. ამ მხრივ გამოირჩეოდა პანკისის ხეობა, რომელიც ცნობილი იყო თავისი მდიდარი ტყეებით, სადაც ლორისთვის მოიყვანდნენ უხვად საკვები. კახეთში მაღალ დონეზე იყო მეაბრეშუმეობაც.

- კახეთის ტერიტორიაზე ეკვსი დაცული ტერიტორიაა - ბაწარას, ბაბანეურის, მარიამჯვრის და ვაშლოვანის ნაკრძალები, თუშეთისა და ლაგოდეხის ეროვნული პარკები. თითოეული მათგანი ბუნების მოყვარულთა საყვარელ ბუნებისმეტყველებს სთავაზობს.

- ეს მხარე მდიდარია სხვადასხვა პერიოდის ძეგლებითა და მრავალფეროვანი ბუნებით. აქ ნახავთ უძველეს ნამოსახლარებს, გამორჩეულ ტაძრებს, ციხე-კოშკებს, ულამაზეს ტყეებს, ჩანჩქერებს, ალპურტბებს, ვრცელ ველებსა და აფერადებულ უდაბნოსაც კი.

- კახეთი საინტერესო მხარეა თავისი კულტურისა და წეს-ჩვეულებების მხრივ. აღსანიშნავია კახური ფოლკლორი. ცნობილია კახური მრავალხმური, ნიშნაური, ურმული, მაყრული, და სხვ. „ჩაკრული“ კი სამყაროს გაიგონო. როგორც მოგეხსენებათ ქართული ფოლკლორის ეს მნიშვნელოვანი ნიმუში კოსმოსში გაიგზავნა.

- უგემრიელესი კახური სამზარეულო. აქ განსაკუთრებით პოპულარული ხორცის კერძები. ტრადიციული კერძებია: ნალმუნე, ბეწვური, მწვადი, ხაშლამა, ჩაქფული, ჩიბირთმა და სხვ.

- კახეთი ღვინის მხარეა, მას გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოს ღვინის წარმოებაში. ამ მხარეში 200-მდე სალვინე ჯიშია აღწერილი. განსაკუთრებით პოპულარული ჯიშებია: რქაწითელი, კახურ-მწვანე, ხიხვი, ქისი და საფერავი.

-კახეთი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. მას დასავლეთიდან ქართლი ესაზღვრება, ჩრდილოეთიდან რუსეთის ფედერაცია (დაღესტანი), რომლისგანაც კავკასიონის ქედითა გამოყოფილი, სამხრეთიდან კი აზერბაიჯანი. კახეთის მხარე მოიცავს მდინარე ივრის შიდა და ქვემო-დინებისა და მდინარე ალაზნის აუზს.

–კახეთის ცალკეულ მხარეებს ეწოდება გარეკახეთი (მდინარე ივრის შუა წელი), ქართიჯა (მდინარე ივრისა და ალაზნის ქვემო წელს შორის), შიდა კახეთი (მდინარე ალაზნის მარჯვენა სანაპირო) და გალავანი (მდინარე ალაზნის მარცხენა სანაპირო).

მიმდევრობით (არა ქაოსურად); 3. სასურველია ვიზუალური მასალის გამოყენება, რომელიც „ჰყვება ამბავს“; 4. დატანილი უნდა იყოს მნიშვნელოვანი და საკვანძო საკითხები; 5. სასურველია, მასზე მხოლოდ ორი-სამი ფერი იყოს გამოყენებული; 6. სათაური უნდა იყოს საინტერესო, სათაურის ქვეშ აუცილებელია ავტორის მითითება; 7. შესაძლებელია პოსტერის ზომის შერჩევა (ხშირად იყენებენ ფლიპჩარტის ზომის პოსტერებს –A2).

V ეტაპის დავალების შესასრულებლად: 1. VI კლასის სახელმძღვანელო „ჩვენი საქართველო“ გვ. 8-43; 3. საქართველოსა და კახეთის მხარის კონტურული რუკები.

VI ეტაპის დავალების შესასრულებლად: ბიბლიოთეკარის მიერ შეთავაზებული „მსოფლიოს გეოგრაფიული ატლასი“ – Atlante geografico del mondo Copertina flessibile , 2010

მოსწავლეებმა აქტიურად ითანამშრომლეს ბიბლიოთეკართან (სურ. 1), ინტერესით იმუშავეს ყველა ეტაპზე და მიღებული პროდუქტები ერთმანეთს გააცნეს (სურ. 2, 3). დასასრულს მადლობა გადაუხადეს ბიბლიოთეკარს

შემდეგ მოსწავლეები დაასურათებენ.

ბიბლიოთეკაში მუშაობა წიგნის მიმართ ინტერესს უღვივებს მოსწავლეებს, სწავლის შედეგი უფრო ადვილად მისაღწევი ხდება, ამიტომ ეს კომპონენტი შეგვიძლია უფრო აქტიურად ჩავრთოთ სასკოლო ცხოვრებასა და პრაქტიკულ საგაკვეთილო საქმიანობაში და რეალურად შევქმნათ მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო სკოლაში.

სურ. 3. მოსწავლეთა ნამუშევრები

(ავტორები: როლანდ თოფჩიშვილი, ელენე მეძმარიაშვილი, ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი), გამომცემლობა „კლიო“, 2018; 2. თ. დვალი, კ. კახაძე, კ. ფიცხელაური, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. I, თბ. 2013,

სასიამოვნო გარემოსთვის და სკოლის ბიბლიოთეკის მიმართ ისეთი ინტერესი გაუჩნდათ, რომ შემდეგი შეხვედრის თემა უკვე ბიბლიოთეკართან ერთად შეარჩიეს. გადაწყდა, მომავალი შეხვედრა ისტორიული კონტექსტის მხატვრული წიგნის წაკითხვას დაეთმოს, რომელსაც

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

ჩემი შვილის ერთ მეგობარს ჰიპერაქტიურობის დიაგნოზი აქვს – მისთვის ტანჯვაა საკლასო ოთახში ერთსა და იმავე მდგომარეობაში დიდხანს ყოფნა, ხშირად იმპულსურად მოქმედებს, რასაც მასწავლებლები უწესობად ან უსაქციელობად აღიქვამენ და, საზოგადოდ, ყურადღების დეფიციტის გამო საზოგადოებაში მიღებული წესების დაცვაც უჭირს. დროდადრო მშობლებს უწევთ, აუხსნან გარშემო მყოფებს, რისი ბრალია მისი ქცევა, თუმცა არც ეს არის ადვილი – საზოგადოებას დიდად არ უყვარს ისეთი ადამიანები, რომლებიც უმრავლესობას არ ჰგვანან, განსხვავებულად იქცევიან და, მით უმეტეს, განსხვავებული საჭიროებები, ბიორიტმი და ქცევითი ფორმულები აქვთ.

ცოტა ხნის წინ ერთი გადასარევი ლექცია შემომხვდა ამ თემაზე – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი წლებია ამზადებს ფსიქოგანათლებაზე დიალოგების სერიას, რომელსაც ჯანა ჯავახიშვილი უძღვება და სწორედ მისი ერთ-ერთი სტუმარი საუბრობდა იმაზე, როგორ უჭირთ მასწავლებლებს ჰიპერაქტიურ ბავშვებთან ურთიერთობის სწორი ფორმების პოვნა, როგორი მაღალია რისკი, ასეთი ბავშვები დარჩნენ საგანმანათლებლო პროცესის მიღმა და როგორ ზრდის გარდატეხის ასაკში და მერეც, ზრდასრულობისას, ხიფათის რისკს ამ დიაგნოზის უგულებელყოფა. ალბათ ასეთი მსჯელობების მოსმენაც გვჭირდება არასპეციალისტებს, რომლებსაც ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების ღრმა ცოდნა არ გამოგვარჩევს, მაგრამ ადამიანების ბედი გვადარდებს და ვცდილობთ, სანამ ვინმეს ხელს ვკრავთ, ჯერ მისი პრობლემების წარმომავლობა გავარკვიოთ. ამ წერილსაც იმისთვის ვწერ, რომ მასწავლებლებს და მშობლებს ვურჩიო ეს გადასარევი რესურსი, რომელიც აკადემიურად, მშვიდად და გასაგებად გვიხსნის სხვადასხვა პრობლემის არსს და ქცევის მეთოდებს.

[აქ](#) არაპროფესიონალებისთვის ბევრ კითხვაზე იძებნება პასუხი, დაწყებული იმით, რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ბავშვისთვის მუცლის ტკივილი ან ზურგში სიმძიმის შეგრძნება სტრესის გამოხატულება, დამთავრებული იმით, შეიძლება თუ არა, დიაგნოზი იყოს სიყვარული ან ბედნიერება. აქვეა კვებითი აშლილობები, სიზმრების ენა, სიყვარულის ტრავმა, ბრაზის მართვა, ომის გამოცდილებებთან გამკლავების გზები და პროფესიული გადაწვის საფრთხეები.

ფსიქოგანათლებაზე საუბრები სასწავლო რესურსადაც კი შეიძლება გამოიყენონ მასწავლებლებმა. მაგალითად, ამ სერიის ერთ-ერთი პირველი ეპიზოდი, რომელიც ფსიქიატრიაში ქანქარას პრინციპს შეეხება, ისტორიის გაკვეთილზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმის საილუსტრაციოდ, როგორი სხვადასხვანაირი იყო დამოკიდებულება ადამიანის ჯანმრთელობისა და საჭიროებების მიმართ სხვადასხვა ეპოქაში.

https://www.youtube.com/watch?v=68CfZp4_-CU

სასწავლო რესურსად შეიძლება იქცეს იკიგაის შესახებ ლექციაც, რომელიც ბედნიერი და ხანგრძლივი ცხოვრების იაპონურ საიდუმლოს და ამ თემაზე არაიაპონელი ავტორების დაწერილ წიგნს ეხება. ბავშვებისთვის იკიგაის გაცნობა და მისი საშუალებით იაპონურ კულტურაზე მსჯელობა, სხეულებრივი პრაქტიკებისა და სკოლის სიახლოვეს მცხოვრები მოხუცების ცხოვრების წესის კვლევა სხვადასხვა საგნის (ისტორია, ლიტერატურა, გეოგრაფია, სპორტი) მასწავლებლებისთვის თავისუფლად შეიძლება იქცეს ექსპერტიმენტული გაკვეთილის ჩატარების სტიმულად. იკიგაი ბავშვების ინტერესების აღმოსაჩენადაც შესანიშნავი გზაა, ვინაიდან იკიგაის, ანუ არსებობის არსის საპოვნელად მნიშვნელოვანია პასუხის გაცემა კითხვებზე, რომლებიც სამყაროსადმი ადამიანის დამოკიდებულებას, მის უნარებსა და გატაცებებს ეხება.



ДИАНА АНФИМИАДИ

დამოუკიდებელი რესპუბლიკის დამოუკიდებელი ლიტერატურის გაკვეთილებისთვის

1918-1921 წლების დამოუკიდებლობაზე დღეს ბევრს ვლაპარაკობთ. ქართული ლიტერატურის კურიკულუმიც, საბედნიეროდ, გვაძლევს ამ საამაყო ამბების კიდევ და კიდევ გახსენების, მოსწავლეებთან ერთად განხილვის, ლიტერატურული ტექსტებისა თუ ისტორიული წყაროების წაკითხვის საშუალებას.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია ის ლიტერატურული ეპოქა, რომელიც 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობასთან ერთად დაიწყო.

ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი სწორედ ლიტერატურული ჯგუფებისა და ორდენების არსებობაა. სხვადასხვა გემოვნების, მსოფლმხედველობის ავტორები ერთი ესთეტიკის გარშემო ერთიანდებოდნენ, წერდნენ, კითხულობდნენ, მართავდნენ საღამოებსა და შეხვედრებს, თარგმნიდნენ უცხო ენებიდან და ჰქონდათ თავიანთი გამომცემლობები თუ ჟურნალ-გაზეთები. ვინ იყვნენ ისინი? ნიჭიერი, იდეებითა და შთაგონებით სავსე, თავისუფლებისმოყვარე ადამიანები, რომელთაც სურდათ, ევროპული ხელოვნება საქართველოში შემოეტანათ.

ეს მრავალფეროვნება მართლაც გაოცებას იწვევს! 1919 წლის 28 დეკემბერს არტისტული საზოგადოების (ახლანდელი რუსთაველის თეატრის) სარდაფში გახსნილი კაფე „ქიმერიონი“ ყველა დარგისა თუ მიმდინარეობის ხელოვანთა თავშეყრის ადგილად გადაიქცა. კაფეს მოსახატად რუსეთის საიმპერატორო თეატრის მხატვარი სერგეი სუდეიკინი მიიწვიეს, ხოლო მის მხარდამხარ მუშაობდნენ დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, კირილე ზდანევიჩი, ზიგა ვალიშევსკი, მოგვიანებით – მოსე და ირაკლი თოიძეები. თუმცა ლიტერატურულ საღამოებსა და იუბილეებს მხოლოდ სახელოვნებო კაფე და კამერული სივრცეები კი არა, დიდი თეატრებიც მასპინძლობდნენ. იმართებოდა ლიტერატურული დისკუსიები, რითაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ლიტერატურული პერიოდიკა. შეიძლება ითქვას, არც მანამდე, არც მერე არ ყოფილა საქართველოს ლიტერატურული საზოგადოება ასეთი არტისტული, ბოჰემური, მრავალფეროვანი და თავისუფალი.

ქუთაისში დაარსებული „ცისფერყანწელთა“ პოეტური ორდენი 1918 წლიდან თბილისში აგრძელებს მოღვაწეობას. იწყება დიდი „გადმოსახლება“: გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, შალვა აფხაიძე, ნიკოლო მიწიშვილი, რაჟდენ გვეტაძე, ლევან მეუნარგია, ალი არსენიშვილი, სანდრო ცირეკიძე, გიორგი ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი და შალვა კარმელი (გოგიაშვილი)... ეს ძალიან მჩქეფარე, იდეებითა და შთაგონებით აღსავსე პერიოდია. ისინი წერენ, იბეჭდებიან, კითხულობენ, განიხილავენ... გამოდის მათი პერიოდული ორგანოები: „ცისფერი ყანწები“, „მეოცნებე ნიამორები“, „ბარრიკადი“, „კირჩხიბი“, „შვილდოსანი“.

დიდი წარმატებით ჩაიარა მათმა პირველმა საღამომ თბილისში და სულ მალე ამ პოეტურმა ორდენმა ქართულ მწერლობაში ერთგვარი ჰეგემონის როლიც მოირგო.

როგორც ერთ-ერთი ცისფერყანწელი, შალვა აფხაიძე წერს, „განთავისუფლებულ საქართველოში ხელოვნების რენესანსის სათავე ახალმა სკოლამ – სიმბოლიზმმა დაიკავა ხელში. იგი სხვა გზას ვერ აირჩევდა“.

გრიგოლ რობაქიძე „ფანტასტურს“ უწოდებს 1918-1920 წლების თბილისს: „თბილისი გახდა პოეტების ქალაქი, კაფე „ინტერნაციონალში“ იგი კიდეც გამოაცხადეს პოეტების ქალაქად. ტფილისი შეიქნა ფანტასტური“.

„ცისფერყანწელთა“ სიმბოლისტური ტექსტების გარდა, ამ პერიოდთან არის დაკავშირებული ქართული დადაიზმის, ფუტურიზმის, იმპრესიონიზმისა და ექსპრესიონიზმის განვითარებაც. სწორედ ამიტომ იყო თბილისი საოცარი, ეკლექტური ქალაქი. აქ 1918 წლიდან დასახლდნენ რუსეთიდან ბოლშევიკურ რევოლუციას გამოქცეული ფუტურისტებიც: ალექსეი კრუჩენიხი, იგორ ტერენტიევი, ძმები ილია და კირილე ზდანევიჩები, ვასილ კამენსკი, სერგეი სუდეიკინი და ზიგმუნდ ვალიშევსკი. ისინი მართავდნენ საღამოებს თბილისის კაფეებში, გამოსცეს ჟურნალებიც: „ზაუმნიკების კომპანია 410“, „ფუტურისტების სინდიკატი“ და „Футурвсеубежище“. ზდანევიჩი „ფანტასტიკურ დუქანში“ ატარებდა კონფერენციების ციკლს ფუტურიზმზე. მალე ქართველმა ფუტურისტებმაც თქვეს თავიანთი სიტყვა და პირველი შეკრება მოაწყვეს – გამოსცეს მანიფესტი „საქართველო – ფენიქსი“.

„ფანტასტურ“ თბილისში სხვა ლიტერატურული დაჯგუფებებიც მოღვაწეობდნენ. ამ პერიოდთანაა დაკავშირებული „აკადემიური მწერლობის კავშირის“ ჩამოყალიბებაც, რომლის ბირთვს შეადგენდნენ კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე მაყაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი და სხვები.

ზოგჯერ სხვადასხვა გაერთიანებასთან ერთად, თუმცა უფრო მარტო მოღვაწეობდა გალაკტიონ ტაბიძე, რომელიც იმ პერიოდის მთავარი ლიტერატურული ფიგურაა. სიმბოლურია, რომ ქართული პოეზიის საუკეთესო კრებული „არტისტული ყვავილები“ სწორედ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის წლებში გამოიცა. წიგნს მრავალი გამოხმაურება მიეძღვნა.

დამოუკიდებლობამოპოვებულ საქართველოში ხშირად იმართებოდა ლიტერატურული საღამოები: ხან „ფანტასტიკურ დუქანში“, „ქიმერიონსა“ თუ „არგონავტების ნავში“, ხანაც თბილისისა და სხვა ქალაქების თეატრების სცენაზე. საინტერესოა, რომ სხვადასხვა ესთეტიკისა და მიმდინარეობის ავტორები არა მხოლოდ ერთ ლიტერატურულ სივრცეში მოღვაწეობდნენ, არამედ საერთო ლიტერატურულ საღამოებსაც მართავდნენ და ერთმანეთის ჟურნალებშიც იბეჭდებოდნენ.

პერიოდიკა კი მართლაც მდიდარი და მრავალფეროვანი იყო! მარტო ჩამონათვალი რად ღირს: „შვილდოსანი“, „მეოცნებე ნიამორები“, „ბარრიკადი“, „ბუნება და ხელოვნება“, „მომავალი“, „თეატრი და ცხოვრება“, „თეატრი და მუსიკა“, „პარნასი“, „პრომეთე“, „სახალხო საქმე“, „შვიდი მნათობი“, „თოლაბურასის სარტყელი“, „ARS“, „ფენიქსი“, „კურანტები“, „არლეკინი“, „ტფილისი“, „ცისარტყელა“, „41°“, „კავკაზსკი ვესტნიკი“, „დღე“...

ამ წლებთანაა დაკავშირებული მწერალთა ორგანიზაციების გაერთიანება პროფესიული საკითხების მოსაგვარებლად. მნიშვნელოვან ამოცანებს შორის იყო გოლოვინის პროსპექტისთვის რუსთაველის სახელის დარქმევა, რუმინეთიდან ბესიკ გაბაშვილის ნეშტის გადმოსვენება და სხვა. 1919 წლის 16 ივნისს გამართულმა მწერალთა საბჭოს სხდომამ განიხილა საკითხები: 1. მემორანდუმის გაგზავნა მთავრობისათვის მწერალთა ფონდის შესაქმნელად; 2. რესტორან „ანონაში“ მხატვრული კლუბის გახსნა; 3. ევროპაში მწერლების გაგზავნა. მალე მწერალთა კავშირმა ქალაქის გამგეობისგან შეიძინა რესტორანი „ანონა“ და იქ მოაწყო კაფე-რესტორანი და კლუბი „ქიმერიონი“. მოგვიანებით გამართულ კონფერენციაზე დაფუძნდა პოეზიის დღე, მწერალთა ორგანიზაციას ეწოდა მწერალთა კავშირი.

ირმა ტაველიძე

სხვა „დინამო“

რისთვისაა ლიტერატურა, თუ მკითხველამდე არ მივიდა? ამაზე განსაკუთრებით ზრუნავდა არა მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა, არამედ ცალკეული ორგანიზაციებიც. საგანგებოდ გამოიყო დაფინანსება ახალი წიგნების შესაძენად და სახალხო ბიბლიოთეკების ფონდის გასამდიდრებლად. საბიბლიოთეკო კომისიის თავმჯდომარე იყო ექვთიმე თაყაიშვილი, მდივანი – ანა სოლოღაშვილი. კომისიამ შეადგინა მუშაობის გეგმა. თაყაიშვილმა თავის მოხსენებაში აღწერა შესაძენი ფონდი, სადაც კავკასიის შესახებ 2050 წიგნი იყო დაცული და მათთან ერთად – სხვა ლიტერატურაც, სულ – 2607 ეგზემპლარი. პარლამენტის ბიბლიოთეკამ 40 ათას მანეთად შეიძინა ეს ფონდი.

მკითხველისა და ავტორის ურთიერთობა არასდროს ყოფილა ისეთი მჭიდრო, როგორიც იმ წლებში: იმართებოდა საავტორო და საიუბილეო საღამოები, ლიტერატურული პერფორმანსები, შეხვედრები, განხილვები, დისკუსიები, ახალი ნაწარმოებების საჯარო კითხვა, რასაც ზოგჯერ ცხარე კამათი მოჰყვებოდა ხოლმე...

26 მაისი, დამოუკიდებლობის დღე. მზიანი, საზეიმო დღეა, ყველა გარეთაა, ადამიანებს სახე ბედნიერებისგან გაცისკროვნებიათ. ამ დღის დოკუმენტური კადრებიდან ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც ისაა, როგორ ხვდებიან მკითხველს დამოუკიდებელი საქართველოს პოეტები, ბედნიერი, მხიარული, განათებული, ამაყი სახეებით, როგორ მონაწილეობს ქართული ლიტერატურა ამ მნიშვნელოვან მოვლენაში, რასაც დამოუკიდებლობის დღესასწაული ჰქვია.

ვხვდებოდი, რომ წიგნში ის დამხვდებოდა, რაც არსად წამეკითხა. მითხრეს – აქ მოთხრობილი ისტორიები, წარსულის სურათები ყველა მკითხველისთვისაა, სულერთია, სპორტი აინტერესებს თუ არაო. გასული საუკუნის 80-იანებში, ჩემი მოსწავლეობის წლებში, ფიზკულტურის გაკვეთილები ზედმეტად და უსარგებლოდ მიმაჩნდა, დავალებების ხეირიანად შესრულება არ გამომდიოდა, სპორტული დარბაზის კედელთან ჩამოკიდებულ ბაგირებს კი შიშით შევცქეროდი ხოლმე. ათ თხზულებას დავწერდი, ათი წიგნის შინაარსს მოვყვებოდი, ოღონდ იქ არ შემეხედა.

არც ისე დიდი ხანია, რაც სპორტისადმი დამოკიდებულება შემეცვალა და ყოველდღიური ვარჯიში ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა. მათიც უკეთესად მესმის, ვინც იმთავითვე ამ გზას ადგება და, მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, ჯიუტად აგრძელებს სიარულს. სპორტული საზოგადოებისა თუ საფეხბურთო კლუბის ამბები ადრე რომ მცირედაც არ დამაინტერესებდა, ახლა მნიშვნელოვან საკითხავად მეცა. თუმცა წიგნი, რომელსაც ვკითხულობ, წარსულის თავშესაქცევი ჩხრეკა არ არის – დიდ, მტკივნეულ თემებს ეხება – პირველ რიგში, სპორტისა და პოლიტიკის კავშირს.

დავით ჯიშკარიანის „ბუცები და ტყავის ჩექმა. თბილისის „დინამო“ ჩეკისტების კლუბიდან ეროვნულ სიმბოლომდე (1925-1953)“ დასამახსოვრებელი ნაშრომია, რომელსაც დროგამოშვებით უნდა მიუბრუნდე და ფაქტების, თვითმხილველთა მონათხრობების მიღმა გახედვა, ახალი კავშირების დაძებნა სცადო. როგორც ავტორი გვარწმუნებს, ფიზკულტურა პოლიტიკური ცხოვრების ნაწილი იყო და საბჭოთა იდეოლოგიისგან განყენებულად მისი განხილვა მართებული არ არის. დამაეჭვებელი არაფერია – ერთ სამწუხარო მაგალითს მეორე მოჰყვება.

1926 წლისთვის „დინამო“ სრულიად ჩეკისტების სპორტული საზოგადოება იყო“. ამავე წლის „ზარია ვოსტოკა“ კი ბერიას სიტყვებს აქვეყნებს: „თუ დასჭირდება წითელ არმიას, ის საკმაო რაოდენობის ბრწყინვალე მსროლელებს „დინამოში“ იპოვის“. „ლავრენტი ბერია უბრალოდ კი არ მონაწილეობდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ მუშაობაში, არამედ უფრო აქტიურადაც იყო ჩართული საფეხბურთო ცხოვრებაში, – ვკითხულობთ წიგნში. – ხანდახან ის მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობაშიც კი შედიოდა, რათა უშუალოდ მოედანზე გაეწია კონტროლი რეფერის მოქმედებებისათვის“. საუკუნის წინანდელი წესებიდან თუ მათი სახეცვლილი ვარიანტებიდან ბევრი რამ შეიძლება წარმოუდგენელი მოგეჩვენოს, მაგრამ არის რაღაც, რაც უბრალოდ გაქვავებს, აზროვნების უნარს გიკარგავს.

წელს წელი მიჰყვება და სიტუაცია უფრო და უფრო ძნელად გასაძლები ხდება. როგორც ავტორი გვიხსნის, თბილისის „დინამო“ და მისი ფეხბურთელები რეპრესიების მსხვერპლნიც იყვნენ და მონაწილეებიც. შინსახკომის თანამშრომლები, „გამოძიების სასტიკი მეთოდებით თავზარს რომ სცემდნენ დაპატიმრებულებს“, ზოგჯერ – ალბათ იმავე დღესაც – „წარმატებით აგორებდნენ ბურთს მოედანზე“. წიგნში ფეხბურთელების სახელები და გვარებიცაა – მათი, ვინც დაპატიმრებებშიც მონაწილეობდნენ და გამოძიების პროცესშიც. მაგალითად, ლევან აბაშიძე რამდენჯერმე მომხსენებელიც ყოფილა შინსახკომის განსაკუთრებული სამეულის სხდომაზე. ერთ დღეს კი მასაც წარუდგინეს მძიმე ბრალდება – შინსახკომში გამოვლენილ შეთქმულებაში მონაწილეობა. „წარმატებული ფეხბურთელისა და შინსახკომელის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს ელიტარული და გამორჩეული ჩეკისტები, მისი ყოფილი კოლეგა და თანაკლუბელი, ასევე ფეხბურთელი კონსტანტინ სავიცკი და გიორგი პარამონოვი აწარმოებდნენ“. ადვილი დასავიწყებელი აღმოჩნდა მისი სპორტული მიღწევები, პარტიისთვის გაწეული სამსახური.

გამოძიების მსვლელობისას ხშირია პატიმარზე „ფიზიკური ზემოქმედება“, ფეხბურთელები კი ამასაც არ ერიდებიან – უცნობებს, ნაცნობებს თუ სულაც თავიანთ თანაგუნდელებს აღიარებითი ჩვენების მოსაპოვებლად დაუნდობლად აწამებენ. „ფეხბურთელობა მათთვის ბარიერი არ ყოფილა ამ საქმეში. უფრო პირიქით, რეპრესიების დროს გამოძიება და საქმის წარმოება გამომძიებლის მხრიდან ფიზიკურ ძალას და გამძლეობასაც მოითხოვდა“, – წერს დავით ჯიშკარიანი.

ადვილად წასაკითხი წიგნი ნამდვილად არ არის. კიდევ ერთხელ გვახსენებს, რა საშიშია, როცა თავის გადასარჩენად ყველაზე მთავარის დათმობას თანხმდები, როცა გგონია, რომ ხელისუფლებასთან გარიგებით მიღწეულ წარმატებას ფასი აქვს. საშიშია წარსულის არცოდნაც, ათწლეულების წინანდელი ტკივილის დავიწყებაც.

„ვეძებ IV კლასის მოსწავლეებისთვის ინგლისური ენის მასწავლებელს, ბინაზე მისვლით, კვირაში ორი დღე. პირობები მომწერეთ პირადში“.

„მეექვსეკლასელი ბიჭისთვის გვჭირდება მათემატიკის რეპეტიტორი, რომელიც იქნება სტუდენტი და კომაროვის კურსდამთავრებული. გაკვეთილები მხოლოდ ონლაინ. ასევე სასურველია, შეეძლოს ფიზიკაში მომზადებაც (ეს უკვე სამომავლოდ, მე-7 კლასიდან)“.

„გამარჯობა. ვეძებ მეშვიდე კლასის გოგონასთვის მათემატიკის ძლიერ პედაგოგს ვაჟა-ფშაველას ტერიტორიაზე“.

„ვეძებთ მასწავლებელს მეორეკლასელი გოგონასთვის. მომზადება გვჭირდება ინგლისურში, ქართულში და მათემატიკაში. ბინაზე მისვლით“.

„მოვამზადებ პირველიდან მეხუთე კლასამდე ბავშვებს ყველა საგანში, ბინაზე მისვლით. დამიკომენტარეთ ან მომწერეთ პირადში“.

„გამარჯობა. აბიტურიენტი ეძებს მასწავლებელს მათემატიკაში, ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებლად“.

„ვეძებ ინგლისურის კარგ მცოდნეს, მე-8 კლასელ ბავშვს რომ დაეხმაროს გაკვეთილის მომზადებაში. წაკითხოს, გამოკითხოს კვირაში 2-3 დღე. შეიძლება იყოს სტუდენტიც, წერეთლის მიმდებარე ტერიტორიაზე რომ იაროს და ერთ თვეში ახლის ძებნა არ მომიწიოს. ბიუჯეტი - 120 ლ“.

„მოგესალმებით! ვამზადებ მათემატიკასა და ფიზიკაში შესანიშნავი შედეგებით და დიდი გამოცდილებით. გახლავართ ფიზიკა-მათემატიკური სკოლა კომაროვიდან. უკვე მესამე წელია, ვმოგზაურობ მსოფლიოს გარშემო მათემატიკური თუ ფიზიკური ოლიმპიადების დამსახურებით. სასწავლო წელს ჩემი ორი მოსწავლე ჩაირიცხა კომაროვის სკოლაში, ხოლო ერთი – ვეკუას სკოლაში.

შედეგზე ვაგებ პასუხს, როდესაც მოსწავლე მომყვება და მოწადინებულია. ვამზადებ ონლაინ პლატფორმაში ან ჩემთან მოსვლით. ვიცი საკუთარი შესაძლებლობები და ხარისხი, შესაბამისად, ფასი იქნება ხარისხის, ცოდნის და შედეგების პროპორციული. დეტალებზე გაგესაუბრებით“.

ფეისბუკის დახურულ ჯგუფში, სადაც მასწავლებლებს ეძებენ და სადაც მასწავლებლები მოსწავლეებს პოულობენ, ყოველდღიურად ქვეყნდება განცხადებები



ШОРЕНА ТУЕШЕЛАШВИЛИ

რეპეტიტორთა ძიებაში – ჩრდილოვანი განათლების ნაცნობი მხარე

რეპეტიტორის მოძებნის მიზნით. ეძებენ მასწავლებლებს პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით თითქმის ყველა საგანში. ეძებენ ქართულის, მათემატიკის, ინგლისურის, ისტორიის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ფრანგულის, გერმანულის მასწავლებლებს. ეძებენ პრაქტიკოს მასწავლებლებს, სტუდენტებს, რომლებიც მოერგებიან მოსწავლის პირობებს, ბიუჯეტს, დროს, განრიგს, მიაკითხავენ სახლში ან გაკვეთილს ჩაუტარებენ ონლაინ სასწავლო პლატფორმაზე, კვირაში სამჯერ, ორჯერ ან ერთხელ. წინადადება ბევრია და არჩევანის გაკეთება ჭირს. ცოტა იღბალიც გჭირდება, რომ კარგი მასწავლებელი იპოვო – რეპეტიტორობის კანდიდატთა სია საკმაოდ გრძელია და მცირე ინფორმაცია მათ შესახებ ბევრს ვერაფერს გეუბნება.

რეპეტიტორთა უმეტესობა საცდელ გაკვეთილს უფასოდ ატარებს. ეს შესაძლებლობა რეპეტიტორის მაძიებელსაც ეხმარება იმის გადაწყვეტაში, განაგრძოს თუ არა ძიება უკეთესი მასწავლებლის საპოვნელად. რეპეტიტორები, რომლებსაც რეზიუმე შეუდგენიათ, უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებენ, მეტი შანსი აქვთ, მათზე შეაჩერონ არჩევანი. რეზიუმეში აღწერილია რეპეტიტორის გამოცდილება, მოცემულია ინფორმაცია მიღწევებზე, სწავლების მეთოდოლოგიაზე, გაკვეთილის ხანგრძლივობაზე, გრაფიკის მოქნილობაზე, ანაზღაურებაზე. მკაფიო შეთავაზებები ერთ-ერთი განმსაზღვრელია იმისა, რომ მალევე დააინტერესოს დამსაქმებელი და სწავლა-სწავლებასაც დროულად შეუდგნენ.

რეპეტიტორობა როგორც განათლების პარალელური სისტემა ფორმალურ, ზოგადი განათლების სისტემასთან ჰარმონიულად თანაარსებობს. დღითიდღე იზრდება იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომელთაც პირველივე კლასიდან ან სკოლამდელი ასაკიდან ჰყავთ კერძო მასწავლებელი, თანაც არაერთი. კერძო მასწავლებლის საჭიროებას მშობლები სხვადასხვა მიზეზით ხსნიან – ამბობენ, რომ მათ შვილებს სკოლიდან არასაკმარისი ცოდნა მოაქვთ და დავალებებს დამოუკიდებლად ვერ უმკლავდებიან, ამიტომ მშობლები იძულებული ხდებიან, პირველივე კლასიდან ეძებონ კერძო მასწავლებლები, რომლებიც მათ შვილებს აკადემიური სირთულეების დაძლევაში დაეხმარებიან და სკოლაში მიღებულ ცოდნასაც განუმტკიცებენ.

ერთი დახურული ჯგუფის მაგალითით, სადაც მთავარი მიზანი ხარისხიანი განათლების მოპოვებაა, თვალწინ გადაგვეშლება სურათი მთელი ჩვენი საგანმანათლებლო სისტემისა, რომელიც დახუნძლულია სხვადასხვა პრობლემით. სწორედ ეს პრობლემები უბიძგებს მშობლებს, ეძებონ კერძო მასწავლებლები, რომლებიც მათ შვილებს დაეხმარებიან, იყვნენ ის მოსწავლეები, რომლებმაც „გაიგეს საგანი“, რომლებსაც „არ უჭირთ საგანი“, რომლებიც არ არიან „ჩამორჩენილნი“... ცხადია, ჩრდილოვანი განათლების ინსტიტუტს კიდევ უფრო აძლიერებს და კვებავს საგანმანათლებლო სისტემის სისუსტეები – როცა სათანადოდ ვერ პასუხობენ მოსწავლის ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, ვერ აძლევენ მას კონკურენტულ ცოდნას, ვერ ეხმარებიან დაბრკოლებების გადალახვაში და ვერ არწმუნებენ იმაში, რომ სირთულეთა დაძლევა შესაძლებელია ცოდნის მიღების გრძელ გზაზე.

გურამ მეგრელიშვილი

პირველი შვილობის თავგადასავალი

რომელი შვილი ხართ ოჯახში? პირველი, მეორე, მეხუთე?

გაიხსენეთ, რამდენი ფოტო გაქვთ ბავშვობისა თქვენ და თქვენს დედმამიშვილს. საინტერესო ამბავია?

რომელი შვილი ხართ ოჯახში? პირველი, მეორე, მეხუთე?

გაიხსენეთ, რამდენი ფოტო გაქვთ ბავშვობისა თქვენ და თქვენს დედმამიშვილს. საინტერესო ამბავია?

დედისერთაც პირველია და, საზოგადოდ, პირველი შვილი ყოველთვის სტრესის ქვეშ იზრდება. მასზე განსაკუთრებულად ზრუნავენ, შესაბამისად, კონტროლის ქვეშ ჰყავთ – მშობლებს, ბებია-ბაბუას, ახლო ნათესავებს. რაც უფრო დიდია ეს წრე, მით მეტი შანსია, ბავშვი საბოლოოდ მორცხვი, თავშეკავებული, შფოთვისკენ მიდრეკილი გაიზარდოს, რადგან მისკენ ათასი თვალი და ყურია მიპყრობილი და წლების განმავლობაში იღებს უფრო მეტ ქება-დიდებასაც და შენიშვნასაც, ვიდრე მის შემდეგ დაბადებულები.

ჯერ მარტო იმის ცქერა რად ღირს, როგორ დაჰკანკალებენ პირმშოს მშობლები. დღეში რამდენჯერმე უცვლიან სამოსს, აბანავებენ ფრთხილად და მოზომილად, აქაოდა, არაფერი ვავნოთო. მისი გამოკვების პერიოდი ერთი დიდი რიტუალია და ჩვილის დეფეკაცია ხომ „ვოდოს მოლოდინია“!

ბავშვზე ზრუნვა აუცილებელია, მაგრამ ჰიპერმზრუნველობით შეიძლება პიროვნება დავაზიანოთ. გამუდმებული ზრუნვა და შფოთვა: არის თუ არა წყალი საკმარისად თბილი ბანაობისთვის, ხომ არ მოშივდა პატარას, რომელმაც ოცი წუთის წინ წოვა ძუძუ, რამე ხომ არ გამორჩა მშობელს? რამდენ დედას დაუძინია ამაზე შფოთვით, რომელსაც „ზემდგომი თვალების“ ფხიზელი ყურადღება კიდევ უფრო ამძაფრებს!

პირველი შვილის ტრაგედია – ასე შეიძლება ეწოდოს ეფექტს, როდესაც ბავშვის ნარცისიზმს კონკურენტის გაჩენისას სერიოზული გამოცდა ელოდება. ვინ არის ეს პატარა მჩხავანა არსება, რომელმაც უფროსების მთელი ყურადღება დაისაკუთრა? დედა, მამა და სხვები მის ჭირვეულობას უფრო მეტად ითვალისწინებენ. პატარა მანიპულატორი გამუდმებით ტირის და ყველა მასზე იწყებს ზრუნვას, არადა, პირველმა ხომ ყველაზე უკეთესად იცის, რომ ეს ყველაფერი ყურადღების წართმევის მიზნითაა „დაგეგმილი“?!

პირველი შვილის ეჭვიანობას საზღვარი არ აქვს. ზოგიერთი ბავშვი ამას გამოხატავს (შესაძლოა, უკვე მოზრდილმა, ისევ მოითხოვოს საწოვარა. გაუჩნდეს აგრესია დედმამიშვილის მიმართ, დაეწყოს ენურეზი და სხვა), ზოგიერთი კი ვერ ან არ ამჟღავნებს, რა ხდება მის სულიერ სამყაროში და არაცნობიერში გადააქვს ტრავმა, რომელსაც „კონკურენტის“ გამოჩენა აყენებს.

ასეთი ბავშვები ცდილობენ, იპოვონ თანატოლები, რომლებთანაც ლიდერობას მოახერხებენ. ხშირად აქვთ უთანხმოება მეგობრებთან და განსაკუთრებით უჭირთ უმცროსებთან ურთიერთობა.

პირველ შვილზე განსაკუთრებული ზეწოლა მიმდინარეობს, მისგან მოითხოვენ უმცროსზე ზრუნვას, აკისრებენ დიდ პასუხისმგებლობას: „შენგან ამას არ ველოდი“, „იმედი არ გამიცრუო“, „საუკეთესო უნდა იყო“ და ასე შემდეგ. მშობლის ნარცისული ბუნება ტვირთად აწვება პატარას და რა გასაკვირია, რომ ბავშვიც მარცხის შიშით იზრდება. მისი მთავარი მოტივატორი შეცდომის დაშვების შიშია და არა წარმატების სურვილი. ყოველი წარუმატებლობისთვის, ყოველი შეცდომისთვის ის შენიშვნას იღებდა. ამან თავდაჯერება მოუსპო და კიდევ უფრო მიაჯაჭვა მშობელს.

ასეთ ბავშვებს ხშირად აქვთ „დამჯერის“ იმიჯი და ასეც ახასიათებენ: „ისეთი დამჯერია, უმცროსს კი არ ჰგავს!“

სინამდვილეში უფროსიც ბავშვია. ისიც იყო პატარა, მასაც სურდა ცელქობა, რაღაცის გაფუჭება, სამყაროს შემეცნება, მაგრამ რამდენჯერაც სცადა, დასაჯეს. იქნებ არავის მიუტყეპია, მაგრამ სითბოს ნაკლებობაც ხომ სასჯელია ბავშვისთვის? მისი თანატოლები ერთობიან, ცელქობენ, ჟრიამულობენ, ის კი დედის გვერდით ზის ერთგული ლეკვივით და თვალს აპარებს სხვებისკენ, რომლებსაც ასე ახასიათებენ უფროსები: „ისინი ბავშვურები არიან, ეს კი (პირობითად, ლუკა, ელენე, თაზო, ანასტასია...) სხვანაირად განვითარებული და გონიერია, ამიტომ უჭირს სხვებთან საერთო ენის გამონახვა“.

სინამდვილეში ლუკა, ელენე, თაზო, ანასტასია... ისეთივე ბავშვია, როგორიც სხვები. მასაც ისევე სჭირდება თამაში, როგორც მის თანატოლებს, მასაც უნდა, აურიოს, გამოიგონოს, გაერთოს, იჩხუბოს, მაგრამ ეს სურვილები სადღაც შიგნით იბოჭება, რადგან თავის დროზე სხვანაირი ფორმულა მოარგეს.

ასეთი უფროსი შვილი უფრო და უფრო კარგავს ინიციატივას. თუ შესაბამის გარემოში მოხვდა და თვითრეალიზება მოახერხა, შესანიშნავია, თუ არადა, მისი დამოუკიდებლობა მნიშვნელოვან გამოცდას გაივლის. შესაძლოა, კარგადაც ისწავლოს, შესანიშნავი მანერებიც ჰქონდეს, ფანტასტიკურად აზროვნებდეს, მაგრამ აკლდეს მთავარი – თვითმყოფადობა, თავისუფლება, გადაწყვეტილებების სითამამე და ეს მისი ცხოვრების გოლგოთად იქცევა.

დაიბადა მეორე. უფროს შვილს ეჭვიანობის მთელი გზა აქვს გასავლელი. რა ხდება მის პატარა, ფაქიზ სულში, მხოლოდ ღმერთმა უწყის, რადგან რამდენი ჩანაწერიც, რჩევაც, გამოცდილებაც უნდა წავიკითხოთ, ვოლტერის თქმის არ იყოს, „სულები უფრო განსხვავდებიან, ვიდრე სახეები“. რა შფოთვას, ტკივილს, ტანჯვას გაივლის ბავშვი ასეთ დროს, კაცმა არ იცის. რამდენ ბავშვს წარმოუდგენია, რომ მისი „დანაშაულის“ გამო, როცა მშობელი დაემუქრა, სახლიდან წავალ ან ბავშვთა სახლში ჩაგაბარებო, სასჯელის დრო დადგა – გამოჩნდა ეს პატარა „ვიღაც“, ვინც დედისა და მამის მზრუნველობა მიისაკუთრა და თუ ახლა რამეს დააშავებს, შეიძლება გააგდონ, რადგან „მეორეც ჰყავთ!“

ამ, ერთი შეხედვით, ჰიპერბოლიზებულ თხრობაში სიმართლის დიდი წილია. პატარები ძალიან, ძალიან მტკივნეულად განიცდიან უმცროსი დედმამიშვილის გაჩენას. განსაკუთრებით – უფროსი ძმა, როდესაც მეორე ბიჭი იბადება.

ბავშვთა ფსიქოლოგები წერენ, რომ ერთ-ერთი საუკეთესო გამოსავალი ამ დროს უფროსი შვილის „პროცესში ჩართვის“ მცდელობაა. ასეთ დროს უფროსი ხედავს, რომ მასაც აქვს რაღაც ფუნქცია, აკონტროლებს დედასა და მეორეს შორის არსებულ „საიდუმლო“ კავშირს,



მშობლის როლს ირგებს და ახალშობილზე ზრუნავს (ამიტომაც უფროს დებს გაცილებით იოლად გადააქვთ ეს ტრავმა, ვიდრე ძმებს, რადგან გოგონებს უფრო ბუნებრივად დაიხმარენ ხოლმე მშობლები).

მაგრამ უფროსი შვილის იმგვარად ჩართვა უმცროსის მოვლაში, რომ მას ბავშვობა წავართვათ, ფუნდამენტური შეცდომაა. ხშირად მშობელი აიძულებს შვილს, მიხედოს პატარას, ჩააცვას, გაასეირნოს, „ემსახუროს". ასეთ დროს უფროს შვილს უჩნდება ლეგიტიმური პროტესტი, რომ რაღაც უსამართლოდ ნაწილდება – ვიღაც ყოველთვის მართალია, რადგან უბრალოდ პატარაა.

რამდენჯერ დამიშვია შეცდომა და წამომცდენია უფროს შვილთან: „შენ უფროსი ხარ, მეტი გესმის, უნდა დაუთმო!" – და იქვე მიკბენია ენაზე. განა მისი სულიერი სამყარო საკმარისად მწიფეა იმისთვის, რომ გაიგოს, რას ვგულისხმობ? განა მე, 41 წლისა, ყოველთვის ვუთმობ 3-4 წლით უმცროსს, როცა ის თავხედურად და უსამართლოდ იქცევა? ვუთმობ თუნდაც გზას მანქანის მართვისას? რატომ ვთხოვ იმავეს 11 წლის მოზარდს?

დედმამიშვილები ხშირად ჩხუბობენ, ეს ბუნებრივი და ლოგიკურია. ასეთ დროს მშობელი უნდა ერიდოს რომელიმეს მხარის დაჭერას, რადგან მომხდარს ორივე თავისებურად გადათარგმნის. სამართლიანი განსჯა არაფრის მომცემია, უმჯობესია, პატარებმა თვითონ მოაგვარონ კონფლიქტი და უფრო მეტად დაახლოვდნენ. როგორც არ უნდა ავუხსნათ, ორივე ბავშვი ურყევად იქნება დარწმუნებული საკუთარ სიმართლეში.

მეორე უპატიებელი შეცდომა ორივეს დასჯაა. მშობელს სურს, სამართლიანი იყოს და გამოძიების ნაცვლად მხარეებს თანაბარ პასუხისმგებლობას აკისრებს, მაგრამ ამით უფრო მეტ ზიანს აყენებს სიტუაციას და მეტად უბიძგებს შვილებს, ერთმანეთი არ უყვარდეთ.

მესამე, ასეთივე მნიშვნელოვანი შეცდომა მოჩხუბარი ბავშვების ხელოვნურად შერიგებაა: „თქვენ ხომ ძმები ხართ!", „ნახეთ, როგორ გიყვართ ერთმანეთი!", „გადაკოცნეთ!", „უთხარით ერთმანეთს, რომ აპატიეთ და გიყვართ!" – ეს ალბათ ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში მომხდარა. ხელოვნურად შერიგებული ბავშვები წყენას გულში იტოვებენ და ზრდასრულობისას ეს ყველაფერი იმით გამოვლინდება ხოლმე, რომ თუ მანამდე საზამთროს ნაჭრისთვის ჩხუბობდნენ, ახლა შესაძლოა ქონებრივი დავის გამო ან სხვა, თითქოსდა უწყინარი მიზეზით მტრად მოეკიდონ ერთმანეთს.

მიეცით ბავშვებს ბრაზისა და სიხარულის გამოხატვის უფლება. ნუ იქცევით საკუთარი შვილების მოსამართლეებად, რადგან სინანულის განცდა ინდივიდუალური და ეგზისტენციალური აქტია. შვილები ერთმანეთზე აუცილებლად იეჭვიანებენ. ეს ბუნების კანონია. გამოხატავს თუ არა ამას რომელიმე, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ბევრი, ვინც ამ ტექსტს კითხულობს, იქნებ არც დამეთანხმოს და თქვას: „მე ასეთი არ ვყოფილვარ", – მაგრამ საკუთარი არაცნობიერის ანალიზისას შესაძლოა სულ სხვა რეალობას წავაწყდეთ.

საინტერესოა, როგორ მუშაობს ეს პრინციპი სამ და მეტშვილიან ოჯახებში. იქ, სადაც მხოლოდ უფროსი და უმცროსი იყვნენ, ახლა სამნი არიან. უფროსი შვილი აცნობიერებს თავის ადგილს ყველაზე პატარასთან შედარებისას და ხვდება, რომ მარტო აღარაა, კიდევ ვიღაც იზიარებს მის ბედს. შუათანა, რომელსაც გამოცდილი აქვს უმცროსად ყოფნის გემო, უკვე თავად არის უფროსი. ახლა დროის, ნივთებისა და სიყვარულის განაწილებაა საქმე.

როგორც უფროსი შვილის კრიზისი იყო გასავლელი, ისევეა მოსაგვარებელი ამჯერად „შუათანას კონფლიქტი". შუათანა ბავშვები ადგილის დამკვიდრებისთვის იბრძვიან, ცდილობენ, რამით გამორჩეულები იყვნენ. საკუთარი ადგილის ძიებისას ისინი უნებურად მასხარას როლსაც ირგებენ: არიან მხიარულები, ზერელეები, თაღლითებიც კი. ეს ბავშვის მცდელობაა, ისევ მიიპყროს ყურადღება, რომელიც დაკარგა. უფროსი „ჭკვიანი და დამჯერია", უმცროსი – „პატარა და სულელი, რომელსაც ყველაფერი ეპატიება". როლები განაწილებულია, ამიტომ შუათანა ეძებს რაღაც ახალს, რაც სხვებისგან გამოარჩევს. მშობლებიც ხელს ვუწყობთ ამ სტერეოტიპების ჩამოყალიბებას, როცა ბავშვებს ვურჩევთ როლებს და ვარქმევთ ისეთ სახელებს, რომლებიც ტვირთად აწვებათ. თუ უფროსებს უმცროსებზე ზრუნვას ვაიძულებთ და პასუხსაც კი ვთხოვთ მათ ნაცვლად, უმცროსებს ყველანაირი პასუხისმგებლობისგან ვათავისუფლებთ და „უმცროსის"

ყველა დედამ და მამამ უნდა გააცნობიეროს, რომ სამართლიანი მშობლობა ბავშვის თავისებურებების გათვალისწინებასა და გულწრფელობას გულისხმობს. ყველა მოზარდს სჭირდება სიყვარულის ის დოზა, ის მხარდაჭერა, რაც ოჯახსა და საზოგადოებაში მის როლს მნიშვნელოვანს გახდის.

როლში ვტოვებთ. შუათანა ასეთ დროს იცვლება. ყურადსაღებია მისი ასაკიც, განსაკუთრებით – თუ ნაბოლარას დაბადებისას შუათანა უკვე მოსაწავლეა. შესაძლოა, მან სწავლას მოუკლოს. თუ ოჯახში ერთი შვილია, მეორის დაბადებისას პირველმა შესაძლოა, პირიქით, მოუმატოს სწავლას, მაგრამ ეს „კარგი გოგოს/ბიჭის“ როლი ყოველთვის სასიხარულო არ არის.

შუათანა შვილმა მასხარას როლთან ერთად შესაძლოა სხვა, უფრო უარყოფითი როლის ძიება დაიწყოს. გააჩნია ტიპაჟს, ნატურას და „სცენაზე“ დანარჩენი ორის მიერ დაკავებულ ადგილს. ასეთ დროს მშობელი გამოცდილი რეჟისორივით ან მწვრთნელივითაა: საკმარისია, მსახიობს ან ფეხბურთელს ადგილი შეუცვალო, რომ გუნდი უკეთესად ათამაშდეს.

შუათანას ასეთ დროს განსაკუთრებული ყურადღება და მხარდაჭერა სჭირდება. არ შეიძლება მისი შეზღუდვა და გამუდმებით დასჯა „ქარაფშუტობის“, „აშვებული“ ცხოვრების სტილის გამო. როდესაც ოჯახში მესამე შვილი იბადება და პირველის ან მეორის ქცევაში ცვლილებებს ამჩნევთ, ეს წასაყრუებელი ამბავი არ არის. რაღაც ისეთი ტრიალებს მის გულში, რასაც ადვილად ვერ გამოხატავს, ვერ ამბობს, მალავს. ასეთ დროს აქცენტი ბავშვის დადებითი მხარეების წახალისებაზე უნდა დაისვას.

დასაფიქრებელია კიდევ ერთი რამ, რასაც ბავშვები წრფელი გუმანით გრძნობენ, მშობელს კი ამის გაცნობიერება უჭირს: შვილების გარჩევა ძალიან მტკივნეული, მაგრამ რეალური ამბავია. ძალიან ხშირად მშობელი ამოირჩევს ხოლმე რომელიმეს ისე, რომ თავადაც ვერ ხვდება, ან ხვდება, მაგრამ აღიარებას გაურბის. რომელიღაც შვილი მეუღლეს ან მის მშობლებს აგონებს, რომელიღაცაში კი საკუთარი ეგოისტური სურვილების განხორციელების შესაძლებლობას ხედავს; ერთი უფრო ლამაზი ჰგონია, მეორემ კი მისი იმედი ვერ გაამართლა, მაგრამ ამის აღიარება როგორია?! ასეთ დროს მშობელი თვითაღზრდის ხელოვნურ მეთოდს მიმართავს, ცდილობს, იყოს მიუკერძოებელი და სამართლიანი და უფრო მეტად აფუჭებს საქმეს. უყიდის ერთს სათამაშოს და მეორესაც ზუსტად ისეთივეს სჩუქნის, მაგრამ ბავშვები სათამაშოებით არ არჩევენ მშობლებს, ისინი ჩვენს გულს ხედავენ.

ეს „თანასწორობა“, ერთგვარი სოციალური სამართლიანობა პატარებთან არ ამართლებს. ჯერ ერთი, ორი ერთნაირი სათამაშო ნაკლებად საინტერესოა, მეორეც, ბავშვები უფრო მძაფრად ეჭვიანობენ. ისინი ხვდებიან სიტუაციის ხელოვნურობას და ყურადღებას ამახვილებენ იმ დეტალებზე, რომლებზეც სხვა დროს არ უფიქრიათ. სადაც ხელოვნურობაა, იქ ეჭვის საფუძველიც გვაქვს, რომ „რაღაც ვერაა რიგზე“.

მაშ, როგორ მოიქცეს მშობელი, როდესაც სამი შვილი ჰყავს და სამივეს დასაჩუქრება სურს? ხომ არ აჯობებს, წინასწარ შეუთანხმდეს სამივეს სასურველი ნივთის შესახებ? თუ და-ძმის საჩუქარი ბავშვს „უკეთესი“ მოეჩვენა, დააკვირდეს და ბუნებრივად გაიაროს ცდისა და შეცდომის ცნობილი გზა, აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ არჩევანზე.

ყველა დედამ და მამამ უნდა გააცნობიეროს, რომ სამართლიანი მშობლობა ბავშვის თავისებურებების გათვალისწინებასა და გულწრფელობას გულისხმობს. ყველა მოზარდს სჭირდება სიყვარულის ის დოზა, ის მხარდაჭერა, რაც ოჯახსა და საზოგადოებაში მის როლს მნიშვნელოვანს გახდის. ყველა ბავშვის გაერთმნიშვნელიანება მართებული ვერ იქნება, რადგან ადამიანი მათემატიკური ფორმულით არ დაითვლება. როცა საქმე პიროვნებებს ეხება, გურამ დოჩანაშვილის ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, „ერთს პლუს ერთი ყოველთვის ორს არ ნიშნავს“. ყველა მოზარდსა და ბავშვს თავისი წარმოდგენა აქვს მშობელზე. აბა, ჰკითხეთ ერთი ოჯახის რამდენიმე ბავშვს, როგორია მისი მშობელი – საინტერესო პასუხებს მიიღებთ. ისინი გარეგნულადაც კი სხვადასხვანაირად აღწერენ დედას და მამას. ჩვენგან, მშობლებისგან განსხვავებით, ვისაც შვილები ისეთები გვიყვარს, როგორ აზრსაც ვდებთ მათში, ბავშვებს ვუყვარვართ ისეთები, როგორებიც ვართ.

P.S. ამ წერილის წერისას გამახსენდა, როგორ მკითხა ერთხელ ჩემმა უფროსმა შვილმა მათემ ბავშვური მიამიტობით: რატომ არიან ზღაპრებსა და ლეგენდებში და ბიბლიაშიც კი უფროსი შვილები უფრო მეტად ბოროტები, უმცროსები კი – კეთილებიო?

ამ შეკითხვამ საფიქრალი გამიჩინა, გული მომიკლა და ყველა ის შეცდომა გამახსენა, რაც მისი აღზრდისას დამიშვია. მეც ხომ უფროსი შვილი ვარ და ეს გზა ხომ მეც გამოვიარე.

ლელა კოტორაშვილი

ტური ბავშვობაში

აკვირდებით, როგორ გადის თქვენი მოსწავლეებისა თუ შვილების ბავშვობის დღეები?

დარღვეული ძილის რეჟიმი, გაიშვიათებული საუბარი და სიცილი, მომატებული აგრესია, გაღიზიანება – ალბათ, ჩვენი დროის ბავშვების ყოველდღიურობა გეცნოთ. წიგნის კითხვა, მეგობრებთან ერთად ყოფნა – ბოლოს ყველა გზა მაინც მობილურ ტელეფონთან მიდის და ვფიქრობ, ყველაზე დიდი გატაცებით დროს ვირტუალურ სამყაროში ატარებენ. აკრძალვების წინააღმდეგი ვარ, თუმცა ყველაზე მეტად ის მაშფოთებს, რომ ეკრანთან დროის შეგრძნებას კარგავენ.

როგორ მოვიქცეთ?

ერთ-ერთი გზა, რომელიც, ჩემი დაკვირვებით, ბავშვს მრავალმხრივ ავითარებს და უნიკალურ გამოცდილებას სძენს, ერთად დროის გატარებაა: ქალაქში გასეირნება, მუზეუმში სტუმრობა, უბნის დათვალიერება... მთავარია, თქვენი სურვილი გადამდები იყოს, ამაში თამაშის ელემენტები ჩართოთ და მათი ინტერესებიც გაითვალისწინოთ.

თუ გსურთ, მონაწილეობა მიიღოთ დაუვიწყარი შთაბეჭდილებების დაგროვების პროცესში, მაშინ გამომყევით ბავშვობის ტურში, რომელიც ჩემი სამი შვილისა და ერთი ძმისშვილისთვის დავგეგმე.

მე და ჩემმა შვილებმა ზაფხულის რამდენიმე კვირა ჩემს მამაპაპისეულ სოფელში, ფასანაურში, გავატარეთ. ყველა ორღობე, კუთხე-კუნჭული, ასფალტიანი შარაგზაც კი თავისი სურნელით მახსენებდა თავს. მოგონებები გულს მიკუმშავდა, ძველი დროის განცდების მოხელთება მიჭირდა. ბოლოს გადავწყვიტე, ავლაპარაკებულიყავი და ბავშვებისთვის ხეების, ქვების, სახლების მეშვეობით მომეთხრო ჩემი ბავშვობა. სურვილი გავანდე თუ არა, დიდი ინტერესი გამოამჟღავნეს. შევთანხმდით, რომ ბოლოს კითხვარს შეავსებდნენ და ამ წამოწყებას „ტური ბავშვობაში“ დავარქვით.

ხეები – მსხალი, ჭანჭური, კაკალი, პანტა

ტური ეზოდან დავიწყეთ. მსხლის ხე სახლის კიბესთან დგას. დაბერდა, მაგრამ მეწლეურია და ნაყოფით წელგამოტოვებით გვახარებს. მამა მსხალს ოქტომბერში კრეფდა ხოლმე. აივანზე ან ოთახში ალაგებდა ვაშლებსა და კაკლებს შორის. გვიან შემოდგომით ხილის წასაღებად ამოსულებს ოთახი თავბრუდამხვევი სურნელით გაჟღენთილი გვხვდებოდა. ბაზარში არასდროს გამომეპარება მსხალი, რომელსაც მამა ჩვენთვის კრეფდა. გემო და კანის ფერი მაინც სულ სხვა აქვს.

– თქვენი აზრით, რატომ დაარქვეს მოგრძო ქლიავს ჭანჭური? – ვკითხე ბავშვებს, დაფიქრდნენ და პასუხიც გამცეს. ჩემმა ცხრა წლის ბიჭმა მითხრა, ალბათ ჭიებს უყვართო.

სახლის უკან ტყეში ავდივართ. კაკლის ხე ჩვენს სახლს მფარველი ანგელოზივით დაჰყურებს. ვიხსენებ, როგორ დავბოდიალობდი მარტო ტყეში. ქვების ქვეშ ჭიაყელებს ვეძებდი, ხვლიკის კვერცხებს ვაგროვებდი, საკუთარ თავთან მარტო ყოფნას ვსწავლობდი. ერთხელ კაკლის ხეზე ავძვერი და ვეღარ ჩამოვდიოდი. ახლაც ადვილად ვძვრები ხეზე. ბავშვებს უხარიათ და მერე ძლივს-ძლივობით ჩამოვყავარ ხიდან.

კაკლის ხეს ფერდობი გადმოჰყურებს. პატარა გავაკებულ ადგილას პანტა დგას. მამა ხეზე

აკვირდებით, როგორ გადის თქვენი მოსწავლეებისა თუ შვილების ბავშვობის დღეები? დარღვეული ძილის რეჟიმი, გაიშვიათებული საუბარი და სიცილი, მომატებული აგრესია, გაღიზიანება – ალბათ, ჩვენი დროის ბავშვების ყოველდღიურობა გეცნოთ. წიგნის კითხვა, მეგობრებთან ერთად ყოფნა – ბოლოს ყველა გზა მაინც მობილურ ტელეფონთან მიდის და ვფიქრობ, ყველაზე დიდი გატაცებით დროს ვირტუალურ სამყაროში ატარებენ.

მარდად ადიოდა, არხევდა და ველური მსხალი პანტაპუნტით ცვიოდა ქვებს შორის. მამაჩემის შვილიშვილებს უხარიათ პაპიკოს გაცოცხლება. მგონია, რომ ამ დღეს მამაც თან დაგვყვებოდა. ფასანაურში ყველგან მამას სულია არეკლილი.

ხავსიანი ქვა

მე და ჩემი მეგობრები მეშვიდე კლასში ვიყავით, როდესაც ფასანაურში დასასვენებლად მარტო გაგვიშვეს. ხავსიანი ქვა ეზოში ერთ ფოტოს მახსენებს, რომელზეც სამი 12 წლის გოგო ვართ აღბეჭდილი, ერთმანეთს ვეხუტებით და უდარდელი დღეებით ვტკბებით.

ალაყაფის ჭიშკარი

პაპისეული სახლი ორად არის გაყოფილი. ბიძაჩემის კუთვნილ მხარეს თეთრი ჭიშკარი აბია. პირველკურსელები ქუთაისში მივყავდით ლექტორს, ავტობუსში საკმარისი ადგილი არ აღმოჩნდა და ჩემს ჯგუფელებს ფასანაურში წასვლა შევთავაზე. ასეთია ჩვენი ფასანაურის სახლი – ჩემი და ჩემი ძმების მეგობრების საყვარელი ადგილი იყო მუდამ, ახლა კი აქ ძმისშვილები და მათი მეგობრები იყრიან თავს. მე და ჩემმა ჯგუფელებმა სამარშრუტო ტაქსი დავიქირავეთ და ფასანაურში ამოსულებს ჭიშკარი ბოქლომდადებული დაგვხვდა. სანამ რამეს მოვიფიქრებდი, ადგნენ და ალაყაფის ჭიშკარი ანჯამებიდან ჩამოხსნეს. დღეს მხიარულად ვიხსენებთ ამ ამბავს, მაგრამ მაშინ ძალიან შემეშინდა.

გზა ტყეში

ჩემი სახლიდან წყარომდე გზა ტყეში მიიკლაკნება. სახლიდან თუ მიდიხარ, აღმართი უნდა აიარო. ახლა მიკვირს, როგორ მღლიდა ეს აღმართი, რა დაუძლეველი მეჩვენებოდა. გზის პირს ანწლი, ჭინჭარი და ქვები ფარავდა. ზღაპრისეულ გზებს ჰგავს დღესაც – იდუმალსა და თავგადასავლებიანს.

წყარო

წყარო უდროოდ გარდაცვლილი ზურას სახელზე გაუმართავთ. მამა ხშირად მგზავნიდა წყაროზე. სხვადასხვა ზომისა და ფორმის ჭურჭელი გვქონდა. მომცრო ვერცხლისფერ ბიდონს ადვილად ვერეოდი. მამასთვის ცივი წყლის მოტანა დიდი პასუხისმგებლობა იყო. წყაროს წყალიც მრავალი წელია ერთგულად მოჩქეფს და ფასანაურში მყოფი ადამიანებისთვის ერთგვარ რიტუალად ქცეულა წყაროზე წასვლა.

სასაფლაო

წყაროდან სასაფლაოზე მივდივართ. ეზოში ცოლ-ქმარს ვამჩნევ. ისინიც გვაკვირდებიან. მინდა, ვკითხო, ჰეი, მამაჩემს ხომ არ იცნობდით-მეთქი? ამის ნაცვლად სასაფლაოს შესასვლელზე ვეკითხები. იქ ორი მუშა გვხვდება. აქაურები ხომ არ ხართ-მეთქი? უარი საუბრის გაგრძელების სურვილს მიქრობს. ვერავის ვპოულობ, ვისაც ბავშვების თანდასწრებით მამაზე ვესაუბრები. პაპაჩემისა და ბებიაჩემის საფლავს თვალდახუჭული მივაგნებ, – ვეუბნები ბავშვებს და ნაცნობი ადგილისკენ მივრბივარ. კატო ბაბოსა და შიო პაპას საფლავებს შორის ვჯდები და ხმამაღლა ლაპარაკს ვიწყებ.

კატო ბაბო პაპამ ცოლად რომ მოიყვანა, პირველი ქორწინებიდან ერთი შვილი ჰყავდა. ბიჭი დას დაუტოვა გასაზრდელად. პაპასთან 6 შვილი შეეძინა, სამი მცირე ასაკში სოკოთი მოეწამლა და მოუკვდა. ამის გამო სოკოს არ ვჭამ. ერთ-ერთი პირველი ქალი იყო, რომელმაც ვაჭრობა დაიწყო – ყველი ორჯონიკიძიდან გადმოჰქონდა და თბილისში ყიდიდა. ახლა შემიძლია წარმოვიდგინო მისი ქალური და დედური განცდები და მთელი გულით თანავუგრძნო.

შიო პაპას მადლობას ვეუბნები, კატო ბაბო ძალიან რომ უყვარდა. იქიდან წამოსული ვფიქრობ, რომ სასაფლაო პოეზიას ჰგავს - ორივე სხვა, ირეალურ სამყაროსთან მაახლოებს.

ფოსტა

ბავშვების წარმოსახვას ფოსტის ამბები მყისიერად აცოცხლებს. აბა, როგორია, ინტერნეტის თაობას გააგებინო, რომ თბილისში დასარეკად მე და ჩემი მეგობრები საგანგებოდ მივდიოდით ფოსტაში. ეს იყო მთელი თავგადასავალი. მოთმინებით ველოდით ჩვენს რიგს, ვაკვირდებოდით ქალებს, რომლებიც ხმამაღლა ჩასძახოდნენ ყურმილის მეორე მხარეს: „ალო, თბილისიიი,

თბილისიიი..., მლეთააა, მლეთ�ااا, დუშეთიიი, დუშეთიიი...“ ჩვენი ჯერი რომ მოვიდოდა, პატარა ჯიხურში ვიკეტებოდით და ნაცნობი ხმის გაგონებით ვხარობდით. ფოსტაში ვხვდებოდით ნაცნობებს, ვაგროვებდით მოსაყოლ ამბებს. ეს იყო მოზარდი გოგოების ყოველდღიური რიტუალი.

ფოსტის შენობა შამბნარსა და ეკალ-ბარდებში ჩაფლული დაგვხვდა. შენობის მხოლოდ სახურავი მოჩანდა. ჩემი ბავშვობის დღეებს ბოქლომი დაადეს და ფოსტისკენ მიმავალი ბილიკი ბალახით დაიფარა. ვერ მოვითმინე და ჩემს ბიჭთან ერთად ღობეზე გადავძვერი. ამდენი წლის შემდეგ ვამჩნევ, თურმე რა ლამაზი ყოფილა ფოსტის შენობა. მჭიდროდ დაკეტილი შემინული კარი მაჩერებს. მოგონებებს ვიხმობ და რენსომ რიგზის „მის პერეგრინის სახლი უჩვეულო ბავშვებისთვის“ მახსენდება. ერთ დროს ადამიანების ხმებითა და ამბებით იყო სავსე, ახლა კი გაუკაცურებულა. აქ გულის ნაწილს ვტოვებ.

ღობეზე უკან გადაბობღება მიჭირს და ბავშვებისთვის ეს დღის საყვარელ ამბად იქცევა.

ზურა ნათლიას ჭიშკარი

ფოსტის წინ ნათლიაჩემის სახლია. ადრე დაბალი ღობე ერტყა და ავლა-ჩავლისას ვხვდებოდი, ჩამოსული იყო თუ არა ნათლია თბილისიდან. ახლა მაღალი ღობე შემოუვლიათ და თვალი ვერ ეგუება. ზურა ნათლია მამას ბავშვობის მეგობარია და თავის პირველ შვილს სწორედ მისი სახელი დაარქვა. შთამბეჭდავი გარეგნობა აქვს, რუსთაველის პერსონაჟებს მაგონებს. მისი ჭიშკარიც ბოქლომდადებული დამხვდა.

სონა ბაბოს სახლი

სონა ბაბო და გოგია პაპა მამას და დედას უფროსი მეგობრები იყვნენ. მე და ჩემი გოგოები ახლა დედაჩემს გულუბრყვილობად ვუთვლით, რომ ტყეში მცხოვრებ ბავშვებს სონა ბაბოს აბარებდა. სონა ბაბოს სახლი გზისპირასაა. სახურავი ჩამონგრეულა, ფანჯრები ჩალეწილა, პატარა ეზო გავერანებულა, სახურავთან აკრულ საღებავგადაცლილ აბრაზე ძლივს იკითხება „მერაბ კოსტავას 46“, ლურჯი კარი კი ისეა გაღებული, მგონია, აი, სადაცაა, სონა ბაბო გამოჩნდება, კეთილად შემომღიმილებს, შინ შეგვიპატიჟებს და ჩაის დაგვალევინებს-მეთქი.

კლუბი

ჩემს ბავშვობაში კლუბს ფუნქცია უკვე დაკარგული ჰქონდა. მას მხოლოდ მშობლებისა და ძმების მონათხრობიდან ვიცნობ. მიამბობდნენ, რომ თბილისიდან ფილმები ამოჰქონდათ და მოუთმენლად ელოდნენ ჩვენებას. კლუბის თავმჯდომარე იყო თამარა, ნათლიაჩემის დედა, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. სტაფილოსფერი ტუჩსაცხი, საყურეები, მოკლედ შეჭრილი თმა, პრინციპული ხასიათი – ასეთი მახსოვს თამარა ბაბო, რომელიც ყოველთვის დიდი ყურადღებით მეპყრობოდა.

კლუბის კარს ქვა ჰქონდა მიყუდებული, გადავწიეთ და შევედით. დამტვერილი სკამები, ჩანგრეული იატაკი, ნაჭერგადაფარებული პიანინო და ნესტის სუნი დაგვხვდა. თანამედროვეობას კედელზე გაკრული ბავშვების ნახატები ეხმიანებოდა. კლუბის ფანჯრიდან ეზო ჩანდა და ზუსტად ის ადგილი, სადაც მამაჩემი ტყის სახლის აშენებამდე გაიზარდა. ბავშვებთან ერთად იმ ეზოში მივდივარ.

ბორია ძიას ეზო

დაკეტილი ჭიშკრების გაღების დღეა და ბორია ძიას ეზოშიც თამამად შევდივართ. მამას ხშირად დავყავდი მასთან და მუდამ ხალხმრავლობა მხვდებოდა. ახლა აქ აღარავინ ცხოვრობს. ყველა

თუ გსურთ, მონაწილეობა მიიღოთ დაუვიწყარი შთაბეჭდილებების დაგროვების პროცესში, მაშინ გამომყევით ბავშვობის ტურში, რომელიც ჩემი სამი შვილისა და ერთი ძმისშვილისთვის დავგეგმე.

ქალაქშია. ბავშვებს ვაჩვენებ იმ ადგილს, სადაც მამა გაიზარდა. უცნაური დუმილით მხვდება ბავშვობისეული ადგილები.

სკოლა

გზად გვხვდება სკოლა, რომელსაც რამდენიმე წლის წინ უწერის სკოლის მოსწავლეებთან ერთად ვესტუმრე – გოდერძი ჩოხელის მოთხრობების მიხედვით სპექტაკლი გავმართეთ. იმ დროს ჩემი გოგონაც უწერის სკოლის მოსწავლე იყო და სპექტაკლში ისიც მონაწილეობდა. ამბობს, რომ ბუნდოვნად ახსოვს ყველაფერი და მთხოვს, მისი კლასისთვისაც დავდგა სპექტაკლი.

ბინდდება. სკოლა უჩვეულოდ ცარიელი და მდუმარეა. წარმოიდგინეთ, რომ სკოლას ჩაუარეთ და ხედავთ, რომ მისი ფანჯრებიდან სხვადასხვა ფერის სინათლე და მუსიკა იღვრება. როგორ გააგრძელებდით ამბავს? – ვკითხე ბავშვებს და მათ წერის სურვილი გაუჩნდათ.

დანგრეული სასტუმრო

ფასანაურში ერთ დროს სასტუმრო იყო. არ ვიცი, ოდესმე თუ ჰქონდა დასრულებული სახე. მე მუდამ დანგრეული მახსოვს. სასტუმროს ეზოში თანატოლებთან ერთად ბადმინტონს ვთამაშობდი. ჩემი ძმისშვილი გვეუბნება, რომ ზოგჯერ აქ გორგოლაჭებით სრიალებს. ჩვენ ფოტოებს ვიღებთ და გზას ვაგრძელებთ.

ირმები

ფასანაურის შემოსასვლელში ირმების მონუმენტია. დავინახავდი თუ არა, თავი შინ მეგონა. ალბათ, ბევრი ადამიანისთვის ნაცნობი განცდაა. გზას შიშით მივუყვებით. მანქანები ვიწრო გზაზე სწრაფად დადიან და ხშირად ერთმანეთს უსწრებენ. ამასობაში დაგვიღამდა. ირმებიდან ორად დატოტვილი, მთებით შემოსაზღვრული ფასანაური მოჩანს. იქვე ახლოს თეთრ არაგვს შავი არაგვი უერთდება. ჩემი სამი წლის გოგო ხმამაღლა ჩამძახის, რანაირი თვალი აქვს ირემსო. აქამდე ასე ახლოს არასდროს დავკვირვებივარ ირმის თვალსა და რქებს.

საგზაო და ვაშლის ხე

შინ დაბრუნებისას მარკეტში საყვარელ შოკოლადებს ვყიდულობთ. ძველ სახლებს შორის ბნელ ორღობეს მივუყვებით. ტყის სახლში საგზაოს გავლით მივდივართ. აქაც ყველა კუთხე-კუნჭული რაღაცას მახსენებს, მაგრამ თხრობას ვაშლის ხით ვასრულებ.

ჩემს ბავშვობის მეგობრებს, რომლებთან ერთადაც არაერთი ზაფხული გამიტარებია ფასანაურში, ძალიან უყვარდათ მჟავე ვაშლი და ანანურიდან თუ არაგვიდან დაბრუნებისას ხელს გამოაყოლებდნენ ხოლმე. მე კი ჩემი შვილებისთვის დიდი სიყვარულით ვიხსენებ იმას, რაც ჩემს მეგობრებს უყვარდათ და ზუსტად ვიცი, დრო რომ გავა, ასეთი ამბები ისევე დაილექება მათ სამყაროში, როგორც ჩემსას შემორჩნენ მამას მოყოლილი ზღაპრები, ამბები და ადამიანები.

კითხვარი

დღიურში რამდენიმე კითხვა ჩამოვუწერე და წერილობით უპასუხეს:

- სამი რამ, რაც დამამახსოვრდა.
- რით იყო განსაკუთრებული ეს ტური შენთვის?
- მიამბე შენი ბავშვობის ერთი ადგილის შესახებ.
- ერთი კითხვა, რომელიც დამეზადა.

ფოტოამბავი

თითოეულ ადგილს, რომლის შესახებაც ვუამბობდი ბავშვებს, ფოტოს ვუღებდი. ინტერესის გასაღვივებლად გადავწყვიტე, ფოტოკითხვარი ავკინძო. საინტერესოა, როგორ მოისმინეს და რა დაამახსოვრდათ.

ტური ბავშვობაში დაუვიწყარ თავგადასავლად გვექცა. სამსაათიან სეირნობას თხრობა, მოსმენა, ამბის ფოტოზე ასახვა, წერილობითი აქტივობა დავუკავშირეთ, ერთად ყოფნით გავიხარეთ და, რაც მთავარია, ბავშვებთან ერთად მეც ნაყოფიერად გავატარე დრო.

ფასანაურში ყოფნისას კიდევ ერთი წიგნი, ხუან რულფოს „პედრო პარამო“, მახსენდებოდა. მაგიური რეალიზმის ჟანრის რომანში მთავარი პერსონაჟი მამის მოსაძებნად სოფელში მიდის. ტექსტთან რამდენჯერმე მიბრუნება დამჭირდა იმის აღმოსაჩენად, რომ მამის საპოვნელად სოფელში ჩასულ ბიჭს ყველა გარდაცვლილი ხვდება. მიცვალებულები საფლავებიდან ლაპარაკობენ. რომანში რეალურ და ირეალურ სამყაროებს შორის ზღვარი ისეა დარღვეული, რომ გგონია, ასეც უნდა იყოს. ფასანაურიდან გამქრალი ადამიანების ხმების გასაგონად როგორ უნდა მოვიქცე-მეთქი, ვეკითხებოდი საკუთარ თავს და ისეთი განცდა მეუფლებოდა, თითქოს ისინი არსად წასულან.

ქეთევან კობალაძე

როგორი შვილების აღზრდა სურს მშობელს

ძვირფასო მკითხველებო, განვაგრძობ თქვენთვის საინტერესო ახალი ავტორების წარდგენას. ამჯერად გაგაცნობთ ამონარიდებს ებრაელი ავტორის ეინატ ნათანის წიგნიდან „როგორი მშობელი მინდა ვიყო, როგორი შვილების აღზრდის იმედი მაქვს“. ეინატ ნათანი ბავშვთა აღზრდის საკითხების ექსპერტი და ბესტსელერების ავტორია; აქვს თელ-ავივის უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი სამართალმცოდნეობაში. ის ხუთი შვილის დედაა.

წიგნის შესავალში ავტორი აღნიშნავს: „მშობლებთან ჩატარებული თითქმის ათასამდე ინტერვიუ, პირადი გამოცდილება და დაგროვილი პროფესიული ცოდნა უფლებას მაძლევს, მოვუყვე მკითხველებს ბავშვთა აღზრდის რთულ პროცესზე“.

„ყველა მშობელი ოცნებობს, ისეთი შვილები აღზარდოს, რომლებიც საკუთარ გრძნობებში გარკვევას ცდილობენ, – ვკითხულობთ წიგნში, – ცდილობენ, მიიღონ საკუთარი ნაკლოვანებები, ცხოვრებისეულ პრობლემებში თავადვე გაერკვიონ, რათა მომავალში პიროვნული ღირსებები საზოგადოების წინაშე წარმოაჩინონ. ამ ოცნების ასასრულებლად მშობლებმა შვილების მოსმენა უნდა ისწავლონ. ახალშობილი სამყაროსთან ტირილის საშუალებით ურთიერთობს. გარემომცველი სოციუმი მეყსეულად პასუხობს ჩვილის მოთხოვნებს, რაც მას სიმშვიდისა და სტაბილურობის განცდას უჩენს. მინდა აღვნიშნო, რომ უდიდესი განსხვავებაა დედებს შორის. ერთნი ცდილობენ, ზედმიწევნით აკონტროლონ შვილის კვებისა თუ ძილის რეჟიმი და თავად ბავშვის მოთხოვნილებებს ყურადღებას თითქმის არ აქცევენ, მეორენი კი ბავშვის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე ფიქრობენ. ყურადღებიანი მშობელი ისაა, ვინც უსმენს შვილს. მისი რეაქცია ეუბნება პატარას: „შენთან ვარ, გავარკვევ, რა გჭირდება და აუცილებლად მოვაგვარებ პრობლემას. გშია? გეძინება? განაგრძე საუბარი, მე მუდამ მოგისმენ“.

„არა უშავს“, „მალე გაგივლის“, „ერთი ციცქნა ნაკაწრია“, – ამ ფრაზებს მშობლები ყოველდღიურად ამბობენ, როდესაც მათი პატარა, მაგალითად, ეცემა... მაგრამ ბავშვს სტკივა. ტკივილს კი მოსმენა სჭირდება. არც წარუმატებლობას, სევდას, უგუნებობას, ეჭვიანობას და ბავშვების მრავალ სხვა ფიზიოლოგიურ თუ ფსიქოლოგიურ წუხილს უხდება წაყრუება ან გაუბრალოება. მშობლების პირველი ინსტინქტური სურვილია, თავი დაიმშვიდონ, რომ დიდი არაფერი მომხდარა, რომ ყველაფერი რიგზეა. უფროსებისთვის ყველაფერი რიგზე იყო მაშინაც, როდესაც სკოლაში მათ შვილს არავინ დაელაპარაკა, მაშინაც, როდესაც სიმსუქნის გამო დასცინეს ან მასწავლებელმა დასაჯა, ან სულაც ქუჩაში წაიქცა და მუხლი გადაიტყავა. ქვეყანა არც მაშინ დაქცეულა, როცა სოციალურ ქსელში დამამცირებელი სიტყვები მისწერეს... სინამდვილეში არაფერიც არ არის რიგზე. როდესაც მშობლები ამბობენ, რომ დიდი არაფერი მომხდარა, ისინი უნებურად ანგრევენ სამყაროს მიმართ ბავშვის ნდობას. მე არ მოვუწოდებ მშობლებს, შვილებთან ერთად იტირონ და

ბავშვებს და მოზარდებს ცხოვრებაში მრავალგვარი ტკივილი ხვდებათ. ნუ ეცდებით სევდიანი და გულნატკენი შვილის გამხნევებას მისი ღირსებებისა და ძველი წარმატებების შეხსენებით. ნურც წარუმატებელი გასული სასწავლო წლის გამო წამოაძახებთ საყვედურს. უბრალოდ, დაუსვით მართებული კითხვები – კითხვები, რომლებიც თქვენს შვილს საკუთარ სამყაროში ჩაახედებს.

მშობლებს დიდხანს ჰგონიათ, რომ მათი შვილები ჯერ ისევ პატარები და უგუნურები არიან. ასეთ მშობლებს ხშირად მოსდით შეცდომები. სინამდვილეში ყოველდღიური ოჯხური საუბრები ბევრი საინტერესო ინფორმაციის შემცველია. ბავშვები უამრავ რამეს იგებენ მშობლებზე, ცხოვრებასა და საკუთარ თავზე.

ივიშვიშონ. თავდაპირველად ისიც საკმარისია, არ უარყონ მომხდარი ფაქტი. მერე კი, უბრალოდ, დაათვალიერონ ფიზიკური ჭრილობა და ყურადღებით მოუსმინონ სულიერ იარას“.

„მშობლებს სურთ, უამრავი რამ ასწავლონ შვილებს, – განაგრძობს წიგნის ავტორი, – ისინი ოცნებობენ, ბავშვებმა შეითვისონ უფროსების იდეები და პრინციპები. საგულისხმოა, რომ როდესაც პატარას სურს, თავისი პრობლემა, იმედგაცრუება, წარუმატებლობა უფროსს გაუზიაროს, მას არ სჭირდება დამრიგებლური ტექსტების მოსმენა. საკუთარი დარდის გაზიარება ბავშვისთვის სავსებით საკმარისია. მისთვის ეს დიდი შვებაა. შეწუხებული, დაჩაგრული ბავშვის მშობლები ხშირად ერთადერთ რჩევას აძლევენ შვილს: „თუ ვინმემ დაგარტყა, ხურდა დაუბრუნე!“ ზრდასრული ახალგაზრდა, რომელიც მცირე ასაკში მსგავს რჩევებს იღებდა, მაგრამ მაინც ვერ ახერხებს „ხურდის დაბრუნებას“, კიდევ ერთი სირთულის წინაშე აღმოჩნდება – მას შეაწუხებს, რომ მშობლებს მოლოდინი გაუცრუა. ამიტომ, როდესაც საჭიროდ მიიჩენევთ, შვილს რჩევა მისცეთ, ჰკითხეთ, მისი აზრით, რისი გაკეთება შეიძლება ამ სიტუაციაში. მერწმუნეთ, როდესაც ბავშვები უცხო თვალით უყურებენ პრობლემას, შესანიშნავი იდეები ებადებათ, რომლებიც შესაძლოა საუკეთესო გამოსავლად იქცეს.

კიდევ ერთი: რჩევის მიცემამდე ჰკითხეთ ბავშვს, სჭირდება თუ არა მინიშნება, მერე კი აუხსენით, რომ შესაძლოა, პრობლემის მოგვარების მრავალი ვარიანტი არსებობდეს და შესთავაზეთ რამდენიმე ალტერნატიული სცენარი.

ბავშვები საკუთარ ამბებს და შეგრძნებებს უზიარებენ უფროსებს. ეს მათი პირადი ისტორიები და განცდებია, რომლებიც ზოგჯერ მარტივია, ზოგჯერ – რთული, ხან მსუბუქი, ხანაც მძიმე. ეს მათი ცხოვრების ნაწილია. ყოველ-

თვის, როდესაც უფროსები გადაჭარბებულ თანაგრძნობას გამოხატავენ შვილების მიმართ, ეს გარემოება ბავშვს დამატებით ტვირთად აწვება, რაც შემდგომ, დიდი ალბათობით, უფროსებისადმი ნდობას დააკარგვინებს.

მშობლებს ისიც უნდა ახსოვდეთ, რომ ბავშვისადმი გადაჭარბებული სიბრალულის გამოხატვით პატარას საკუთარი თავის სიბრალულისკენ უბიძგებენ. უფროსების ზედმეტი შფოთვა და გადაჭარბებული მზრუნველობა ბავშვებს აფიქრებინებს, რომ სამყარო ძალიან საშიშია.

რჩევა მშობლებს: როდესაც თქვენი შვილი რაიმეს გიყვებათ, ეცადეთ წარმოიდგინოთ, რომ მთხრობელი თქვენი მეზობლის შვილია. მოუსმინეთ გულდასმით, მაგრამ ეცადეთ, ზედმეტად არ ჩაერთოთ და არ გამოთქვათ თქვენი სუბიექტური მოსაზრებები.

მშობლებს დიდხანს ჰგონიათ, რომ მათი შვილები ჯერ ისევ პატარები და უგუნურები არიან. ასეთ მშობლებს ხშირად მოსდით შეცდომები. სინამდვილეში ყოველდღიური ოჯახური საუბრები ბევრი საინტერესო ინფორმაციის შემცველია. ბავშვები უამრავ რამეს იგებენ მშობლებზე, ცხოვრებასა და საკუთარ თავზე. როცა მშობლებს მათ ცხოვრებაში მომხდარ „მძიმე ისტორიას“ უზიარებენ, ისინი მშვიდდებიან და პრობლემას უკვე სხვა თვალით უყურებენ.

მაშ ასე, ბავშვი თავის უსიამოვნებაზე ჰყვება, დედა კი დამაზუსტებელ კითხვებს უსვამს: „ძალიან გტკივა თუ ცოტათი გეწვის?“; „ესე იგი, მაგიდის უჯრა იყო გამოღებული, შენ ვერ შეამჩნიე და დაეჯახე?“ მსგავსი დეტალები დამატებით ინფორმაციას არ იძლევა, მაგრამ ბავშვს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევს. უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ პატარა გრძნობს ისეთი ადამიანის სიახლოვეს, რომელსაც მისი ესმის და მზად არის, დაეხმაროს.

სხვათა შორის, არის შემთხვევები, როცა უმნიშვნელოდ დაშავებული ბავშვი, ნაცვლად იმისა, რომ მშობელს შესჩივლოს, ამჯობინებს, წამოდგეს და თამაში განაგრძოს. ასეთი საქციელი მშობლების მიმართ უპატივცემულობის გამომხატველი კი არ არის, არამედ იმაზე მიანიშნებს, რომ უფროსი მართებულად მოიქცა, რადგან შვილს საშუალება მისცა, დამოუკიდებლად გამკლავებოდა საკუთარ დარდს.

მშობელმა უნდა დაიმახსოვროს, რომ სანამ შვილს მზა რეცეპტს მიაწვდიდეს ან შესთავაზებდეს: „მოდი ჩემთან, ჩაგეხუტო და ყველაფერი გაგივლის“, „მოდი, ერთად მოვაშოროთ ის საზიზღარი უჯრა“, „მოდი, შოკოლადს მოგცემ“, – ჰკითხოს: „რით შემიძლია დაგეხმარო?“. მერე, როდესაც პატარა დამშვიდდება და თამაშს დაუბრუნდება, ყურში ჩასჩურჩულოს: „რა ყოჩაღი ხარ, რომ მომიყევი, რაც შეგემთხვა. კიდევ იმიტომ ხარ ყოჩაღი, რომ თავად მიხვდი, როგორ მოქცეულიყავი და წყენის, ტკივილისა და სირცხვილის დამარცხება მოახერხე“.

ბავშვებს და მოზარდებს ცხოვრებაში მრავალგვარი ტკივილი ხვდებათ. ნუ ეცდებით სევდიანი და გულნატკენი შვილის გამხნევებას მისი ღირსებებისა და ძველი წარმატებების შეხსენებით. ნურც წარუმატებელი გასული სასწავლო წლის გამო წამოაძახებთ საყვედურს. უბრალოდ, დაუსვით მართებული კითხვები – კითხვები, რომლებიც თქვენს შვილს საკუთარ სამყაროში ჩაახედებს. შეისვენეთ, დაფიქრდით და უთხარით, რომ ძალიან კარგად გესმით, როგორ უჭირს. დაინტერესდით, აქვს თუ არა რამე იდეა სიტუაციის გამოსასწორებლად და შეძლებთ თუ არა მის დახმარებას. შვილების მოსმენა აუცილებელია, რათა მომავალში ისინი კარგი მეგობრები, მშობლები და ადამიანები გახდნენ“.

თინათინ ზარდიაშვილი

მაგალითები ბიოლოგიის სწავლებისთვის

მაგალითებით სწავლების მიზანია, მოსწავლეს რთული პრობლემის გადაჭრა ასწავლოს. მეთოდი საშუალებას გვაძლევს, საკითხი რეალურ სიტუაციას დავუკავშიროთ და მოსწავლეს კონკრეტული საკითხის სწავლის საჭიროება დავანახოთ.

მაგალითებით სწავლების მიზანია, მოსწავლეს რთული პრობლემის გადაჭრა ასწავლოს. მეთოდი საშუალებას გვაძლევს, საკითხი რეალურ სიტუაციას დავუკავშიროთ და მოსწავლეს კონკრეტული საკითხის სწავლის საჭიროება დავანახოთ.

ჩემი წერილი ეხება საკვების შემადგენელ ქიმიურ ნივთიერებებს, მათ აგებულებას, ფუნქციასა და როლს ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებაში. გათვლილია მეათე კლასის მოსწავლეებზე.

ვამუშავებთ შემდეგ სამიზნე ცნებებს:

ჯანმრთელობა და დაავადება (სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები):

- ჯანმრთელობა არის ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობა, რომლის დროსაც შენარჩუნებულია ჰომეოსტაზი და შრომისუნარიანობა;
- ავადმყოფობა არის ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობა, რომლის დროსაც ჰომეოსტაზი და შრომისუნარიანობა დარღვეულია;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დარღვევა იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებას და ხელს უწყობს სხვადასხვა დაავადების განვითარებას.

სასიცოცხლო თვისება (სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები):

- სასიცოცხლო თვისებებია: ზრდა-განვითარება, გამრავლება, მეტაბოლიზმი (კვება, სუნთქვა, გამოყოფა), გაღიზიანებადობა, მოძრაობა, მემკვიდრეობითობა, ცვალებადობა.

მოსწავლეები გაეცნობიან ქეისს „დიეტის დილემა“:

ლუკა კოლეჯის სტუდენტია. მის მამას უკვე რამდენიმე წელია მეორე ტიპის დიაბეტი დაუდასტურდა. ამ ტიპის დიაბეტის შემთხვევაში შესაბამისი რეცეპტორები ვერ რეაგირებს ჰორმონ ინსულინის ზემოქმედებაზე. ორგანიზმში შაქრის დონის რეგულაცია არ ხდება, გლუკოზა სისხლიდან უჯრედებში არ გადადის. შედეგად უჯრედები შესაძლოა დაზიანდეს.

დიაბეტის მკურნალობა შესაძლებელია ინსულინის ინექციის გზით, რასაც თან უნდა ახლდეს საკვები რაციონის სწორი შერჩევა. დიაბეტი ბოლომდე არ იკურნება.

ლუკას მამას ტერფის ნერვები აქვს დაზიანებული (ნეიროპათია), რის გამოც ფეხები უბუჟდება და ვერ გრძნობს, როგორ უზიანდება კანი. შედეგად რამდენჯერმე სერიოზული ინფექციაც კი შეხვდა.

ლუკას ჭარბი წონა აქვს და იცის, რომ ეს ზრდის დაავადების მემკვიდრეობით გადაცემის რისკს. მას უნდა, რამენაირად თავიდან აიცილოს დაავადება, რომლითაც მამამისი ასე იტანჯება, ამიტომ დაიწყო ფეხით სიარული და ყოველდღიური ვარჯიში და რამდენიმე ხანში წონაც დაიკლო. ლუკას სურს, შეიმუშაოს ისეთი დიეტა, რომ მეტი წონა დაკარგოს და დიაბეტის განვითარების რისკი მინიმუმამდე დაიყვანოს, თუმცა ინტერნეტიდან და ადამიანებისგან იმდენი ინფორმაცია მიიღო, რომ თავგზა აებნა და აღარ იცის, რა ქნას.

მამა ლუკას ურჩევს, შეზღუდოს ნახშირწყლები, მაგალითად, თეთრი პური და ბრინჯი – ამ გზით სისხლში შაქრის სტაბილური დონის შენარჩუ-

ნებას შეძლებს. მეგობრები ურჩევენ, ცხიმები შეზღუდოს და ნახშირწყლები მიიღოს, ინტერნეტში კი წაიკითხა, რომ დაუმუშავებელი და ქიმიური ნაერთებისგან სუფთა საკვების მიღება წონის დაკლებაში დაეხმარება.

ერთადერთი, რაზეც ყველა თანხმდება, ის არის, რომ ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად საჭიროა საკმარისი რაოდენობის წყლის სმა.

ეს რჩევები შესაძლოა ცოტა მოსაწყენია, მაგრამ მნიშვნელოვანია, კარგად გაიგო და გაიაზრო, როგორია დიაბეტთან ერთად ცხოვრება და რა მნიშვნელობა აქვს კვების რაციონს ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ამის გასაგებად კი საკვების ქიმიური შემადგენლობის ცოდნაა აუცილებელი.

ქიმია გაცილებით მეტია, ვიდრე ქიმიური რეაქციები, რომლებიც სინჯარებში ტარდება - ქიმიაა ატომები, მოლეკულები და რეაქციები, რომელთა საშუალებითაც ორგანიზმი ცოცხალია და განსაზღვრული ფუნქციების შესრულება შეუძლია. საკვები მთავარი ნედლეულია ორგანიზმის ასაშენებლად და ენერგიის მისაღებად.

თავის მიმოხილვა: სიცოცხლის ქიმია

თუ ინფორმაციას ყურადღებით გაეცნობი, დაინახავ კავშირს საკვების ქიმიურ შემადგენლობასა და ჯანმრთელობის შენარჩუნებაში მის როლს შორის. ამისთვის უნდა იცოდე:

- რა თვისებები აქვს ქიმიურ ნივთიერებებს, მათ შემადგენლობაში შემავალ ატომებსა და მოლეკულებს;
- როგორია ბიოქიმიური ნაერთების სტრუქტურა და ფუნქცია, მათ შორის - ნახშირწყლების, ლიპიდების, ცილებისა და ნუკლეინის მჟავებისა (დნმ და რნმ);
- რა არის ქიმიური რეაქცია, რა როლს ასრულებს ენერგია ქიმიური რეაქციების წარმართვის პროცესში, როგორ აჩქარებს ფერმენტი ქიმიურ რეაქციას, რა სახის ბიოქიმიური გარდაქმნები მიმდინარეობს ცოცხალ ორგანიზმში;
- რა თვისებები აქვს წყალს და რა როლს ასრულებს ის ბიოქიმიურ პროცესებში;
- რა არის pH და რა მნიშვნელობა აქვს მის მუდმივობას, რომელი ბიოქიმიური პროცესები მონაწილეობს pH-ის ჰომეოსტაზში.

ინფორმაციის დამუშავებისას იფიქრე ლუკას მდგომარეობაზე. იმსჯელე, როგორ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ქიმიას.

ეცადე, უპასუხო შემდეგ კითხვებს:

1. რატომ ჰგონია ლუკას, რომ მამის დიაბეტი მისთვის დაავადების ჩამოყალიბების რისკ-ფაქტორს წარმოადგენს?
2. რა განსხვავებაა მარტივ და რთულ ნახშირწყლებს შორის? რა საფრთხეს უქმნის რაფინირებული ნახშირწყლები დიაბეტით დაავადებულ ადამიანებს?
3. ინსულინი პეპტიდური ჰორმონია. ბიოქიმიური კომპონენტების კლასიფიკაციისას რომელ კატეგორიაში გააერთიანებდი მას? რატომ?
4. რა მნიშვნელობა აქვს წყლის მიღებას ჯანმრთელობისთვის? დღის განმავლობაში საკმარის წყალს სვამ?

ქიმია გაცილებით მეტია, ვიდრე ქიმიური რეაქციები, რომლებიც სინჯარებში ტარდება – ქიმიაა ატომები, მოლეკულები და რეაქციები, რომელთა საშუალებითაც ორგანიზმი ცოცხალია და განსაზღვრული ფუნქციების შესრულება შეუძლია. საკვები მთავარი ნედლეულია ორგანიზმის ასაშენებლად და ენერგიის მისაღებად.

5. რატომ მიაჩნიათ, რომ საკვები ქიმიურ ნივთიერებებს არ უნდა შეიცავდეს? შენი აზრით, ასეთი საკვები არსებობს?

მოსწავლეები დაამუშავებენ შესაბამის საკითხებს.

ქეისის ანალიზი: „დიეტის დილემა“

პარაგრაფებში მოცემული საკითხების დამუშავებისას მეტ კავშირს დაინახავდი ქიმიას, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შორის.

ლუკას შემთხვევაში მამის დიაბეტის, ლუკას რისკჯგუფში ყოფნის, ცხოვრების ხარისხის გაუარესების მიზეზი ქიმიური ნივთიერებების ცვლილებებია.

ტიპი 2 დიაბეტის მიზეზი ის არის, რომ ორგანიზმი არ რეაგირებს ჰორმონ ინსულინზე, რის გამოც სისხლში გლუკოზის დონის რეგულაცია არ ხდება.

ინსულინი პეპტიდია. ის ამინმჟავების ჯაჭვს წარმოადგენს, ამიტომ ცილებს მიეკუთვნება. ლუკას დიაბეტით დაავადების რისკი მაღალია, რადგან აქ მემკვიდრეობითი ფაქტორებია ჩართული.

დნმ ქიმიური ნივთიერებაა, რომელსაც ნუკლეინის მჟავა ეწოდება. დნმ-ს შვილები მშობლებისგან იღებენ. ის შეიცავს ინფორმაციას ცილების პირველადი სტრუქტურის შესახებ.

გენი ნუკლეოტიდების თანმიმდევრობაა. გენის ცვლილება დაავადების განვითარების მიზეზად იქცევა. მაგალითად, თუ ადამიანის გენები მეორე ტიპის დიაბეტით არის დატვირთული, იმატებს ამ დაავადების ჩამოყალიბების რისკი.

მაგრამ გენეტიკა მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია დიაბეტის რისკის მომატებისა და არა ერთადერთი. თავად სიმსუქნე უკვე რისკფაქტორია და ცხოვრების სტილთან არის დაკავშირებული. სიმსუქნის გამომწვევია არასრულფასოვანი კვება და მცირე ფიზიკური აქტივობა. ამ ფაქტორებმა შესაძლოა პროვოცირება გაუწიოს დიაბეტს.

ალბათ იცი, რომ მარტივი ნახშირწყლები უფრო ადვილად და სწრაფად იშლება მომნელებელ სისტემაში, ვიდრე რთული მოლეკულები, რომლებიც მარცვლეულისა და ბოსტნეულის შემადგენლობაში შედის. შედეგი დიაბეტით დაავადებულებისთვის განსაკუთრებით დრამატულია, რადგან მათი ორგანიზმისთვის შაქრის დონის კონტროლი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

ახლა ალბათ ხვდები, რატომ არ იღებს ლუკას მამა რაფინირებულ ნახშირწყლებს.

სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია, რომ მარტივი ნახშირწყლების შეზღუდვა მნიშვნელოვნად ამცირებს დაავადების გამწვავების რისკს.

მეგობარმა ლუკას ურჩია, წონის დასაკლებად ნაკლები ცხიმი და მეტი ნახშირწყალი მიეღო, მაგრამ რომელი ნახშირწყალი, მარტივი თუ რთული?

თეთრი პურისა და ბრინჯის მიღება ლუკას დიაბეტის რისკის შემცირებაში ვერ დაეხმარება, ჯანსაღი კვება კი წონის დაკლებასაც შეუწყობს ხელს და დიაბეტის განვითარების რისკსაც შეამცირებს. რა ტიპის კვება უფრო ეფექტური იქნება, ეს მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგალითად, სხეულის აგებულებაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ცხოვრების სტილსა და მიღებული საკვების შემადგენლობაზე. ლუკამ უნდა გაიაროს ექიმის კონსულტაცია საკვებისა და ფიზიკური აქტივობის გეგმის შესახებ, რომელიც ყველა სპეციფიკური სიტუაციის გათვალისწინებით შედგება და მუდმივად იმყოფებოდეს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

საკმარისი რაოდენობის წყლის მიღება ნებისმიერი ადამიანისთვის სასარგებლოა, განსაკუთრებით – თუ წყლით ჩანაცვლდება შაქრიანი და გაზიანი სასმელები.

ახლა უკვე იცი, რომ წყალი მნიშვნელოვანია ორგანიზმში მიმდინარე მრავალი ქიმიური რეაქციისთვის. თუმცა ზედმეტი წყალი მორბენლებში დაავადების ჩამოყალიბების რისკს ზრდის.

როგორც უკვე მიხვდი, ორგანიზმის შინაგანი გარემოს მუდმივობა, ჰომეოსტაზი, ძალიან მნიშვნელოვანია ცოცხალი ორგანიზმის ჯანმრთელობისთვის.

იმასაც მიხვდებოდი, რომ ყველა ქიმიური ნივთიერება არ არის საშიში, ტოქსიკური. ყველა სხეული ნივთიერებებისგან შედგება. მაგალითად, ადამიანის სხეული, თევზი და ბოსტნეული წყალს შეიცავს. როცა ადამიანები მხარს უჭერენ ქიმიური ნაერთებისგან „სუფთა“ საკვებს, ისინი სინთეზურად მიღებულ ნაერთებს გულისხმობენ, მაგალითად, კონსერვანტებს. ყველაფერი მოლეკულებისგან, ატომებისგან ან იონებისგან შედგება, მათი თვისებები კი ნაწილაკების ურთიერთგანლაგებასა და ატომებს შორის ქიმიურ ბმებზეა დამოკიდებული.

ინა იმედაშვილი

ყოჩაღ, შენ ნამდვილად იმსახურებ დაფნის გვირგვინს!

და აი, მოსწავლემ ძალიან კარგად შეასრულა თქვენი, მასწავლებლის დავალება. დროა, შეაქოთ – ზეპირი განმავითარებელი კომენტარი ხომ ასე მნიშვნელოვანია მისი მოტივაციისა და თვითშეფასების ამაღლებისთვის. როგორც წესი, ვამბობთ ხოლმე: ყოჩაღ! ძალიან კარგია! სუპერ! შენ მშვენივრად გაართვი თავი დავალებას! შესანიშნავია! ბრწყინვალეა!

და აი, მოსწავლემ ძალიან კარგად შეასრულა თქვენი, მასწავლებლის დავალება. დროა, შეაქოთ – ზეპირი განმავითარებელი კომენტარი ხომ ასე მნიშვნელოვანია მისი მოტივაციისა და თვითშეფასების ამაღლებისთვის. როგორც წესი, ვამბობთ ხოლმე: ყოჩაღ! ძალიან კარგია! სუპერ! შენ მშვენივრად გაართვი თავი დავალებას! შესანიშნავია! ბრწყინვალეა!

გთავაზობთ კიდევ ერთ ძალიან საინტერესო ფორმულირებას: ყოჩაღ, შენ ნამდვილად იმსახურებ დაფნის გვირგვინს!

მოსწავლე აუცილებლად მოგიბრუნდებათ და გკითხავთ: რას ნიშნავს, მას, დაფნის გვირგვინი? - და თქვენ იწყებთ:

- თუ ოდესმე ვინმე გეტყვის: ყოჩაღ, შენ ნამდვილად იმსახურებ დაფნის გვირგვინს! - შეგიძლია, საკუთარი თავით იამაყო, რადგან დაფნის გვირგვინი ძლევამოსილების, დიდების, გამარჯვებისა და მშვიდობის სიმბოლოა.

დაფნის გვირგვინი ძველი ბერძნული კულტურიდან იღებს სათავეს და სინათლის, მეცნიერების, მკურნალობისა და ხელოვნების ღმერთს – აპოლონს უკავშირდება, ამიტომ ძველი ბერძნები აპოლონის ტაძრებს დაფნით რთავდნენ და ალამაზებდნენ.

არსებობს ბერძნული მითი აპოლონისა და უმშვენიერესი დაფნეს სიყვარულის შესახებ. დაფნემ აპოლონის გრძნობები არ გაიზიარა და ღმერთებს მისგან განრიდება სთხოვა, ამიტომ ღმერთებმა ის დაფნის ხედ აქციეს.

ბერძნები დაფნის გვირგვინით ამკობდნენ ისეთი პროფესიის ადამიანებს, რომელსაც, მათი წარმოდგენით, აპოლონი მფარველობდა: პოეტებს, მუსიკოსებს, მოცეკვავეებს.

გავიდა დრო, დაფნის გვირგვინი არ დაივიწყეს და ძვ. წ. აღ. V საუკუნეში, რომში, ის რომის იმპერატორის ძლევამოსილებისა და სამხედრო წარმატების სიმბოლოდ იქცა. თუ საბერძნეთში დაფნის გვირგვინს ოლიმპიურ ჩემპიონებს ადგამდნენ, რომში მისით იმპერატორები და მთავარსარდლები იწონებდნენ თავს. დაფნის გვირგვინი ტრიუმფის მთავარ სიმბოლოდ იქცა. იმპერატორებსა და მთავარსარდლებს გამარჯვების შემდეგ დაფნის გვირგვინით იუპიტერის ტაძარში ამკობდნენ.

იულიუს კეისარი გამუდმებით ატარებდა დაფნის გვირგვინს და ამით საკუთარ დიდებულებას, დაუმარცხებლობას უსვამდა ხაზს.

კიდევ გავიდა დრო. საბერძნეთსა და რომში დაფნის გვირგვინით ახლა უკვე ნეფე-პატარძალსაც ამკობდნენ.

მრავალი ქვეყანა დაფნის გვირგვინს საკუთარ გერბზეც გამოსახავს.

„ლაურეატი“ ლათინური სიტყვაა და სწორედ „დაფნისგვირგვინოსანს“ ნიშნავს. ლაურეატია ადამიანი, რომელსაც მინიჭებული აქვს საგანგებო პრემია მნიშვნელოვანი დამსახურებისთვის მეცნიერებისა თუ ხელოვნების რომელიმე დარგში.

დაფნის გვირგვინი ასტერიქსის შესახებ კომიქსების სერიის მე-

როგორ ფიქრობ, ვის დაადგამდი დაფნის გვირგვინს? რომელ სპორტსმენს, მწერალს, მეფეს, საზოგადო მოღვაწეს, მსახიობს, მომღერალს? წარმოიდგინე და ჩახატე ჩარჩოში დაფნის გვირგვინით. მიუწერე, ვინ არის და რატომ, რა დამსახურებისთვის ადგამ დაფნის გვირგვინს.

18 წიგნის თემაა. მასში მოთხრობილი ისტორიების ავტორია რენე გოსინი, ხოლო მხატვარი – ალბერ უდერზო.

ასტერიქსი, ობელიქსი, მათი ბელადი აბრარაკურსიქსი და მისი თანამეცხედრე ბონემინა სტუმრად მიდიან ბონემინას ძმა ჰომეოპატიქსთან, რომელიც საკუთარი ქონებით ამაყობს. სიმთვრალეში აბრარაკურსიქსი პირობას დებს, რომ გაუმასპინძლდება რაგუთი, რომლის ერთ-ერთი ინგრედიენტი იქნება იულიუს კეისრის დაფნის გვირგვინი.

ლექსიკონი

იმპერატორი – მბრძანებელი, მონარქი.

ტრიუმფალური – საზეიმო, სადღესასწაულო, რასაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

იუპიტერის ტაძარი – უზარმაზარი ტაძარი ძველ რომში. ის ძვ. წ. 200 წელს ააგეს და იუპიტერსა და მის თანმხლებ ღმერთებს, იუნონასა და მინერვას მიუძღვნეს.

გერბი – ემბლემა, ნიშანი. მასზე გამოსახულია ფიგურები და საგნები, რომლებსაც სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება და მფლობელის ტრადიციებს, ისტორიასა და დამოკიდებულებებს გამოხატავს.

პრემია – ფულადი ან ნივთიერი ჯილდო რაიმე სფეროში, დარგში წარმატებისთვის.

რაგუ – წვრილად დაჭრილი ხორცისა და ბოსტნეულისგან მომზადებული კერძი.

კეისარი – ძველი რომის იმპერატორების ტიტული.

ინგრედიენტი – რამის შემადგენელი ნაწილი.

როგორ ფიქრობ, ვის დაადგამდი დაფნის გვირგვინს? რომელ სპორტსმენს, მწერალს, მეფეს, საზოგადო მოღვაწეს, მსახიობს, მომღერალს? წარმოიდგინე და ჩახატე ჩარჩოში დაფნის გვირგვინით. მიუწერე, ვინ არის და რატომ, რა დამსახურებისთვის ადგამ დაფნის გვირგვინს.

ტექსტი დაკვირვებით წაიკითხე და ჩამოწერე ის ეტაპები, რომლებიც დაფნის გვირგვინმა გაიარა ისტორიულად.

დახატე კომიქსი ასტერიქსისა და ობელიქსის ამბავზე. ტექსტში მოცემულ ამბავს დასასრული შენ მოუფიქრე.

ლექსიკონში მოცემული სიტყვებით დაწერე პატარა ამბავი, რომლის პერსონაჟები იქნებიან იმპერატორი და ძველი ბერძნული მითოლოგიის ღმერთი აპოლონი. ტექსტს აუცილებლად მოუფიქრე სათაური, გამოყავი დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული. დაურთე ილუსტრაცია.

დაფნის გვირგვინს სხვებად მიუწერე წინადადებები, რომლებშიც ამ იდიომს გამოიყენებ.

ტექსტიდან ამოარჩიე ერთმარცვლიანი სიტყვები და ჩაწერე სახლის პირველ სართულზე. ორმარცვლიანები – მეორეზე. სამმარცვლიანები – მესამეზე. სართულებზე დახატე ბინადრებიც.



ნინო ლომიძე

როგორ დავწეროთ ანალიზი-გზამკვლევი, ნიმუშები

პროზაული ან პოეტური ტექსტის მხატვრული ანალიზი საშუალო საფეხურის ლიტერატურის კურსის კურიკულუმის სავალდებულო შემადგენელია.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მოსწავლეებს ხშირად უჭირთ იმის გაგება, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს კარგად შესრულებული მხატვრული ანალიზი.

დეტალურად მიმოვიხილავთ ანალიზის რაობას. წარმოგიდგენთ ნიმუშებს.

რას ნიშნავს მხატვრული ანალიზი?

მხატვრული ანალიზი არის მხატვრული ტექსტის კვლევა-შესწავლის მეთოდი, რომლის დროსაც ნაწარმოები განიხილება ცალკეულ ნაწილებზე, დეტალებზე, თვისებებზე დაკვირვების გზით. დაკვირვების შედეგად შემსწავლელის ცნობიერებაში ყალიბდება გარკვეული მოსაზრებები, წარმოდგენები, დასკვნები, განსჯა. ანალიზი მოიცავს ამ მოსაზრებების მოწესრიგებას, ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემას, დასაბუთება-არგუმენტირებას.

ანალიზის პროცესში:

ნაწარმოებზე დაკვირვება იწყება შემადგენელ ნაწილებად მისი დაყოფით. ანალიზის დროს ხდება: ნაწილებს შორის კავშირის ან მიმართების გამოყოფა; სტრიქონებში გაცხადებული თუ დაფარული აზრის აღმოჩენა-ახსნა; მიზეზშედეგობრივი კავშირების ძიება; არსებული წინარე ცოდნის (გარე ცოდნა, *ექსტრატექსტუალური* ცოდნა) გამოყენებით საინტერესო დასკვნების გამოტანა; გამოთქმული მოსაზრებების დასაბუთება-არგუმენტირება.

ჩნდება ლეგიტიმური კითხვა: რაში მჭირდება, რას მმატებს ეს სამუშაო?

ანალიზის უნარის განვითარება მნიშვნელოვანია აზროვნების განვითარებისთვის. ეს გახლავთ გაგების, აღქმა-გააზრების, კვლევის, დაკვირვების, შეცნობისა და შემეცნების უნარების განმავითარებელი მეთოდი. ყველა ეს უნარი ადამიანს სჭირდება სოციალიზაციისა და თვითრეალიზაციის ნებისმიერ გამოვლინებაში.

ეტაპები დეტალურად:

ობიექტზე დაკვირვება – დააკვირდით ყურადღებით. ნაწარმოები/საანალიზო მონაკვეთი წაიკითხეთ სულ მცირე, სამჯერ. მოიმარჯვეთ წარმოსახვითი ლუპა. „გადაბარგდით“ იმ რეალობაში, რომელსაც ნიმუში გთავაზობთ. კითხვისას წარმოსახვით აჰყევით წაკითხულს, დახატეთ გონებაში ილუსტრაციები.

დაკვირვების შედეგების, მოსაზრებებისა და ფიქრების მოწესრიგება – პირველ ეტაპზე ეს იყოს სამუშაო ფურცელზე მოსაზრებების გადმოტანა ნებისმიერი მოხერხებული ფორმით: „რის თქმას ვაპირებ“, „რა აზრი მიჩნდება“, „რა მახსენდება“.

ყველაფერს უნდა ჰქონდეს სამხილი, დასტური, საბუთი. ანალიზი გამოძიებასავითაა. უბრალოდ ვერაფერს „დააბრალებ“ ტექსტს. მაგალითად, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „ცისა ფერს“ ანალიზისას მოსწავლე ასკვნის, რომ ლექსი

ანალიზის უნარის განვითარება მნიშვნელოვანია აზროვნების განვითარებისთვის. ეს გახლავთ გაგების, აღქმა-გააზრების, კვლევის, დაკვირვების, შეცნობისა და შემეცნების უნარების განმავითარებელი მეთოდი. ყველა ეს უნარი ადამიანს სჭირდება სოციალიზაციისა და თვითრეალიზაციის ნებისმიერ გამოვლინებაში.

დაკვირვების შედეგად შემსწავლელის ცნობიერებაში ყალიბდება გარკვეული მოსაზრებები, წარმოდგენები, დასკვნები, განსჯა. ანალიზი მოიცავს ამ მოსაზრებების მოწესრიგებას, ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემას, დასაბუთება-არგუმენტირებას.

პოეტის სატრფოს, ეკატერინე ჭავჭავაძეს ეძღვნება. კითხვაზე: სადაა „სამხილი“? – არგუმენტად ლექსიდან სტრიქონის მოშველიება შეუძლებელია, რადგან ლექსში სატრფიალო, სასიყვარულო მოტივი საერთოდ არ არის წამყვანი.

ანალიზი არ არის მხოლოდ აღწერა. „რა გავიგე“– ამის წარმოჩენა აღწერის (გაგების) დონეა. ანალიზისთვის ეს საკმარისი არ არის. მაგალითად:

> ლექსის „ცისა ფერს“ ლირიკულ გმირს ეს ფერი ურჩევნია ყველა სხვა ფერს. მისთვის ეს ფერი ბავშვობიდანვე გამორჩეულია. მაშინაც კი, როდესაც თავს ცუდად გრძნობს, როდესაც დაცლილია ემოციებისგან, გრძნობებისგან, უსიცოცხლო და უენერგიოა („როს სისხლი მაქვს გაციებული“), ამ ფერისადმი ინარჩუნებს ძლიერ განცდას. ლექსში გვესმის წინასწარმეტყველური ფრაზაც – ბარათაშვილი მართლაც უცხოობაში მოკვდება.

ამ აბზაცში გამოთქმული მოსაზრებები მართებულია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი და ანალიზად ვერ ჩაითვლება.

შეადარეთ:

> „ლირიკული გმირისთვის ცხოვრება ვნებებს მოკლებულია, სისხლის მჩქეფარება მინავლებულია, ეიფორიას შინაგანი სიცარიელე ჩაენაცვლა. ცხოვრების ამ ეტაპზე ის უსიცოცხლო, შინაგანად მკვდარი, უემოციო, უგრძნობია, მაგრამ მაინც არ ღალატობს საყვარელ ფერს. ცის ფერითაა მოცული, შეპყრობილი. „ახლაც, როს სისხლი მაქვს გაციებული, ვფიცავ, მე არ ვეტრფო არ ოდეს ფერსა სხვას“, – ამბობს პოეტი და მკითხველი ხვდება, რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის ეს კავშირი ცისფერთან. და მაინც, რას ნიშნავს ცისფერი? რისი გამოხატულებაა? იქნებ მარტოსული, სევდიანი, უსიცოცხლო ყოფის სიმბოლოა? მაგრამ თუ გავიხსენებთ რომანტიზმისთვის სახასიათო ლტოლვას უსაზღვროებისკენ, დაუოკებელ სურვილს ბედის საზღვრის გადალახვისა, თუ გავიხსენებთ ბარათაშვილის სხვა ლექსებში გამოხატულ გრძნობებს მილმიერ სამყაროსთან შეერთებისა, გასაგები გახდება, რომ ცის ფერში ის ერთგვარ თავშესაფარს, ნავსაყუდელს, სიმშვიდესა და ნეტარებას გულისხმობს და ილტვის, „ეშხით დამდნარი“ შეერთოს ამ იდილიურ, იდეალურ სამყაროს“.

ანალიზის დროს აუცილებელია საინტერესო დაკვირვებების დაჯგუფება, აბზაცებისა და სტრუქტურის გათვალისწინება.

გააზრების დონის წარმოსაჩენად საჭიროა *ექსტრატექსტუალური* (გარე, წინარე) ცოდნის გააქტიურება და ადეკვატურად გამოყენება. კავშირი უნდა იყოს მკაფიო, ლოგიკური.

> „ცა რომანტიკოსებისთვის იყო უსასრულობის სიმბოლო. მილმიერ სამყაროში გასვლა, უსაზღვროებისკენ ლტოლვა მათთვის სახასიათო მოტივია. ბარათაშვილის ლექსში „ცისა ფერს“ ამის გამოხატულებაა სტრიქონები „ფიქრი მე სანატრი მიმიწევს ცისა ქედს, რომ ეშხით დამდნარი შევერთო ლურჯსა ფერს“. ეს დაუოკებელი სწრაფვა, საზღვრებისა და ჩარჩოების არაღიარება, ცხოვრების საზრისის

ძიება დაუმორჩილებელ მარადიულ რბოლაში „მერანშიც“ გვხვდება და „შემოღამებაშიც“. აქვე მახსენდება ფრიდრიხის ნახატი „მოგზაური“ . კაცი გაჰყურებს სივრცეს, რომელსაც არ აქვს ჰორიზონტი, იცქირება უსასრულობისკენ, მის სახესა და ემოციებს მნახველი ვერ ხედავს, მაგრამ ნახატის კომპოზიცია, ფერები, ზოგადი განწყობა ისეთია, როგორიც ჩვენი ლექსის მთავარი სათქმელი – „ეშხით დამდნარი შევერთო ლურჯსა ფერს“ – „ისმის“ ნახატიდან“.

თანდართული ნიმუშები

(გამოყენებულია ამონარიდები მეთერთმეტეკლასელთა ნაშრომებიდან)

ნიმუში 1 – აღწერა (არ არის საკმარისი):
„მერანის“ ლირიკული გმირი გაურბის შავ ყორანს, ის უგზო-უკვლოდ მიექანება და არანაირ დაბრკოლებას არ უშინდება. მერანს აგულიანებს, შეუჩერებლად რბოლას სთხოვს, არანაირი გამოწვევის წინაშე არ ანელებს ამ გიჟურ რბოლას. მიქრის იქითკენ, სადაც ბედის სამძღვარი ეგულება. უნდა, რომ გადალახოს. მისი მიზანია, გაიაროს უვალი გზა და დაეხმაროს მოძმეს.

ნიმუში 2 – ანალიზის ელემენტები:
„მერანის“ ლირიკული გმირი განწირული სულისკვეთებით მიაჭენებს მერანს იქითკენ, საითაც მისთვის ღირებული ეგულება. მიაჭენებს ბედისწერისგან გასარიდებლად, თავდასაღწევად, მიაჭენებს ბნელი ფიქრებისგან. ცდილობს, არ შეეგუოს ბედს და არ დანებდეს. უნდა, თავისი კვალი დატოვოს ცხოვრებაში. აქვს იმედი, რომ მის მიერ გაკვალული იქამდე უვლელი გზა „მოძმესა თვისსა“ დაეხმარება ოდესმე. კაცთმოყვარეობის, ჰუმანიზმის ამგვარი გამოვლინება სწორედ ისაა, რაც ამ სამყაროს უკეთესს ხდის. ადამიანები ზოგჯერ ფიქრობენ, რომ მხოლოდ დიად და მსოფლიო მასშტაბის საქმეებს აქვს აზრი, საზრისი. მაგრამ ავიწყდებათ, რომ სამყაროს ცვლილება საკუთარი თავით იწყება. მცირედის კეთებითაცაა შესაძლებელი საკაცობრიო სასიკეთო ცვლილებები. „თუ გინდა, შეცვალო სამყარო, დაიწყე საკუთარი თავით“, – მაჰათმა განდის ეს სიტყვები თითქოს „მერანის“ მხედარზეა დაწერილი.

კითხვები გასააზრებლად:

ანალიზის რომელი ელემენტები აკლია პირველ ნიმუშს?

სტატიაში მიმოხილული ანალიზის ელემენტებიდან რომელი გხვდება მეორე ნიმუშში?

შესრულებულ ნაშრომში დასახელებული/მიმოხილული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

- ავტორი, სათაური (დაწერის თარიღი, თუკი ცნობილია/გვახსოვს);
- შექმნის ისტორია (ვის მიეძღნა ტექსტი, არის თუ არა რაიმე საინტერესო ფაქტი ცნობილი დაწერის მიზეზსა თუ მიზანზე);
- მიეკუთვნება თუ არა ავტორი რომელიმე ლიტერატურულ დაჯგუფებას, მიმდინარეობას და ჩანს თუ არა ტექსტში/ამონარიდში ამ ლიტერატურული დაჯგუფებისთვის/მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი ნიშნები;
- თემა, იდეა, ძირითადი აზრი – მოკლედ, რაზეა ტექსტი. შესაძლებელია მოკლე პერიფრაზი ან საკვანძო ადგილების ციტირება.
- მხატვრული საშუალებები – ტროპი (ეპითეტები, შედარებები, გაპიროვნება, მეტაფორა, ჰიპერბოლა...);
- მხატვრული ხერხები (ალიტერაცია, ალეგორია, ალუზია...)
- პროტაგონისტი, მთავარი გმირი, მოქმედი გმირი, პერსონაჟი, ლირიკული გმირი (ავტორი თავადაა თუ ვისიმე პირით გადმოსცემს სათქმელს) – რომელ პირშია თხრობა? გმირის რა სულიერ-ემოციური მდგომარეობაა გადმოცემული?
- ტექსტის ფორმა, სტრუქტურა, გარეგნული საბურველი (თუ ლექსია – რითმა, რიტმი...) – დაყოფილია თუ არა ტექსტი თავებად, არის თუ არა ქვესათაურები და ა.შ.

მზა ენობრივი ფორმულები:

ხშირად მოსწავლეებს უჭირთ აბზაციდან აბზაცზე გადასვლა, თანმიმდევრობის შენარჩუნება ან სულაც დაწყება. მსგავსი ენობრივი ფორმულების გაცნობა მათ ამ სირთულეების დაძლევაში დაეხმარება: ტექსტში (ლექსში, პოეტურ ნაწარმოებში, ლირიკულ ნაწარმოებში) საუბარია... აღწერილია... ავტორი ეხება... აღწერს... საუბრობს... მოგვითხრობს... გვიყვება...

ლევან ალფაიძე

როგორ სწავლობენ თანამედროვე მონადირე-შემგროვებელთა საზოგადოებაში მცხოვრები ბავშვები სკოლის გარეშე

ადამიანთა კულტურა უპრეცედენტოა, რადგან იგი დაგროვებითი და თანმიმდევრულია. ჩვენ ვაგროვებთ ცოდნას არსებული უნარებისა და ინფორმაციის შეკრებით და განვითარებით, ვიყენებთ ამ ცოდნის კომბინაციებს და ვშობთ ახალს.

დაახლოებით 10-12 ათასი წლის წინათ, დედამიწაზე სასოფლო-სამეურნეო წესის გაჩენამდე, ადამიანები თავს მონადირეობითა და საკვებად გამოსადეგი მცენარეულობის შეგროვებით ირჩენდნენ. როგორც წესი, ესენი იყვნენ მცირე (20-დან 100 კაცამდე) მომთაბარე ჯგუფები, რომლებიც ტროპიკული და ზომიერი სარტყლების ტყეებში, ველებზე, უდაბნოებში და გარე სამყაროსგან წყლის დიდი მასით იზოლირებულ კუნძულებზე მოიპოვებდნენ საკვებს (ხორცეულს, თევზეულს, მცენარეთა ნაყოფს, სოკოებს). მონადირე-შემგროვებელთა ეს ჯგუფები მთლიანად იყვნენ დამოკიდებულნი, ერთი მხრივ, საცხოვრებელ ტერიტორიაზე, მის რესურსებზე, მეორე მხრივ კი საკუთარ ცოდნაზე, უნარებსა და ინსტინქტებზე. მათ იცოდნენ ნადირობა, სანადირო იარაღის დამზადება, ცხოველებისა და მცენარეების ბუნება, ადგილის გეოგრაფია, კლიმატის თავისებურებები... აკვირდებოდნენ, სწავლობდნენ და ამ ცოდნას ახალ თაობას გადასცემდნენ.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაწყებამ ყველაფერი ძირფესვიანად შეცვალა. მიწათმოქმედებსა და მესაქონლეებთან მონადირე-შემგროვებელთა გახშირებულმა კონტაქტებმა ათასწლეულების განმავლობაში მკვეთრად შეამცირა ნადირობაზე დამოკიდებული ჯგუფების რაოდენობა. ზოგი მეცნიერი მათ სრულ გაქრობასაც კი წინასწარმეტყველებდა საზოგადოებაში ახალი სამეურნეო წესების დამკვიდრების გამო, თუმცა ასე არ მოხდა: ეკვატორულ აფრიკაში, ბრაზილიაში, პერუსა და ვენესუელაში, ახალ გვინეაში და ფილიპინებზე, ავსტრალიისა და აფრიკის სავანებსა და უდაბნოებში, კანადისა და გრენლანდიის ყინულოვან ნაპირებზე დღესაც ასეულობით ტრადიციული ჯგუფია, რომლებიც წინაპრებისგან გადმოცემული წესებითა და ტრადიციებით ცხოვრობენ.

საინტერესოა, რომ, თანამედროვე ანთროპოლოგიური თეორიებისა და დედამიწის სხვადასხვა ადგილას მოპოვებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით, მონადირე-შემგროვებელთა პრაქტიკა შესაძლოა ორი მილიონი წლის იყოს(!), ეს კი პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ადამიანის ევოლუციური განვითარება, მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტიპები, ძირითადი ინსტინქტები, უნარები და ისტორიული ცოდნა მონადირე-შემგროვებელთა წესებთან უფრო მეტად არის დაკავშირებული, ვიდრე ისტორიულად სულ მცირე ხნის წინ გაჩენილ სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებასა და მის თავისებურებებთან.

„ჩვენ შეიძლება სიბრალული ვიგრძნოთ მონადირე-შემგროვებელთა მიმართ მათი დროში გაყინული უბრალოების გამო, მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ ცდებით. ტრადიციულ ხალხებს ჰქონდათ უზარმაზარი ცოდნა, მათ იცოდნენ თავიანთი მიწისა და მასზე მობინადრე ცხოველების ყველა საიდუმლო, ჰქონდათ მდიდარი და მრავალფეროვანი ცხოვრება. ჩვენ ეს იქიდან ვიცით, რომ საფრთხის გაჩენისთანავე მათ თავდაუზოგავი ბრძოლა დაიწყეს და ბოლომდე იბრძოდნენ ცხოვრების წესის გადასარჩენად. სამწუხაროა, რომ ჯერ კიდევ არსებული მონადირე ტომების ხალხებს ემუქრება მემაღაროეების, ტყისმჭრელების, მესაქონლე ფერმერებისა და მიწათმოქმედების შეჭრა მათ მიწებზე, რადგან მომხდურებისთვის ფული უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე ადამიანობა... და ეს, სავარაუდოდ, ჩვენი კულტურის ყველაზე თვალში საცემი თვისებაა“, – ამბობს კარლ საფინა, ეკოლოგიის დოქტორი, მწერალი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის, ლონგ-აილენდის უნივერსიტეტისა და ფილადელფიის დრექსელის კვლევითი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

ქვემოთ გთავაზობთ ამონარიდებს თანამედროვე თურქი ანთროპოლოგის, ბრიტანეთის აკადემიის სტიპენდიატის გულ-დენიზ სალალის სტატიიდან თანამედროვე მონადირე-შემგროვებლებსა და სწავლების მათთან გავრცელებულ წესებზე.

როდესაც კონგოს ეკვატორულ ტყეში მცხოვრები ცამეტი თვის ეტენი ცდილობს, ბასრი დანით დაჭრას ნანადირევის ხორცი, ამას არავინ უშლის. მეტიც, ეტენს ხშირად ნახავთ ბასრი საგნებით მოთამაშეს – ის ცდილობს, მიბაძოს ცხრა წლის დეიდას ბვაკას, რომელიც უკვე ოსტატურად ხმარობს მაჩეტეს ველური იამსის ან ჯუნგლების ბუშის ასაჩეხად.

ეტენისა და ბვაკას ურთიერთობა ერთმანეთთან და მათი ტომის სხვა წევრებთან გვიჩვენებს, როგორ გამოიმუშავებენ *მბენჯელეს* ტომის მონადირე-შემგროვებლების ბავშვები იმ უნარებს, რომლებიც აუცილებელია ეკვატორულ ტყეებში თავის გადასარჩენად.

მე როგორც ევოლუციური ანთროპოლოგი დაინტერესებული ვარ მონადირე-შემგროვებლების ბავშვების სწავლების პროცესით. ეს ჩვენ, თანამედროვე ადამიანებს, გვეხმარება გავერკვიოთ, როგორ გადასცემდნენ ადამიანები ერთმანეთს ცოდნასა და უნარებს სოფლის მეურნეობის გაჩენამდე. მონადირე-შემგროვებლებზე დაკვირვებით შესაძლებლობა გვეძლევა, გავიზიაროთ მათი ცოდნა გარემოს შესახებ და თვალი მივადევნოთ კულტურის ჩამოყალიბებას მონადირე-შემგროვებელთა ტრადიციულ საზოგადოებებში.

ადამიანთა კულტურა უპრეცედენტოა, რადგან იგი დაგროვებითი და თანმიმდევრულია. ჩვენ ვაგროვებთ ცოდნას არსებული უნარებისა და ინფორმაციის შეკრებით და განვითარებით, ვიყენებთ ამ ცოდნის კომბინაციებს და ვშობთ ახალს. ეს პროცესი დროთა განმავლობაში გვაძლევს კომპლექსურ მოვლენებს, მაგალითად, ისეთს, როგორიცაა ინტერნეტი. თავდაპირველად იყო ენა და მეტყველება, შემდეგ გაჩნდა დამწერლობა და ბეჭდვა, რადიო- და სატელეფონო კომუნიკაცია, რასაც კომპიუტერები და ინტერნეტი მოჰყვა. მაგრამ კულტურა გროვდება და ვითარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ინფორმაციის სწორად, ფაქიზად გადაცემა ხდება.

ჩვენი კვლევისთვის მე და ჩემმა კოლეგებმა ასზე მეტი ვიდეო ვნახეთ *მბენჯელე-ბაიაკას* პიგმეების ცხოვრების შესახებ, რათა მონადირე-შემგროვებელთა ბავშვებისთვის ცოდნის გადაცემის წესებს გავცნობოდით; გაგვეგო, როგორ სწავლობენ ბავშვები დანის გამოყენებას, პატარების მოვლა-პატრონობას და საკვებად ვარგისი მცენარეების შეგროვებას.

მბენჯელეს ტომის ბავშვები ფეხის ადგმისთანავე იწყებენ ამ უნარების დასწავლას გარემოში თავისუფლად გადაადგილების, სხვებზე დაკვირვებისა და მიბაძვის საშუალებით. სწავლის ეს გზა – დაკვირვება და მიბაძვა – საუკეთესოა უნარების ზუსტად, უშეცდომოდ დასასწავლად და ნათლად გვიჩვენებს, რომელ კონცეფციებსა და პროცესებს სწავლობს ბავშვი პირველ რიგში ან რაგვარი კომუნიკაცია მიმდინარეობდა პრეისტორიული ხანის მონადირე-შემგროვებლებს შორის.



ვფიქრობ, ჩვენ ბევრი რამ გვაქვს სასწავლი მონადირე-შემგროვებლებისგან. მათი საზოგადოებების შესწავლა მხოლოდ იმას კი არ გვიჩვენებს, როგორ ყალიბდება კულტურა, არამედ ბავშვების განათლების, მათთვის ცოდნის გადაცემის პროცესსაც სხვა თვალით დაგვანახებს.

[მცირეწლოვანი ბავშვებისთვის] აღნიშნული უნარების სწავლება კიდევ ერთი დიდებული მეთოდია, ის ინფორმაციის ზედმიწევნით გადაცემას უზრუნველყოფს, თუმცა თუ ამ პროცესს შევადარებთ სწავლების, ვთქვათ, დიდ ბრიტანეთში დამკვიდრებულ წესებს, სადაც ფორმალური განათლება მოსწავლესა და მასწავლებელს შორის მკაცრად განსაზღვრულ იერარქიას გულისხმობს, აღმოვაჩენთ, რომ *მბენჯელეს* ტომის მონადირე-შემგროვებლებს შორის მასწავლებელი ან სწავლების ფორმალური პროცესი უბრალოდ არ არსებობს. ზრდასრულები ხელს უწყობენ ბავშვების მიერ თვითმართვად სწავლება-სწავლას და იშვიათად ერევიან მათ აქტივობებში. ეს იმიტომ, რომ დამოუკიდებლობა მათ გარემოში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ადამიანს იქ ყოველდღე უწევს საკვების მოპოვება.

მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ სწავლება აუცილებელი არ არის? არა და არა! დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სწავლება უნივერსალური პროცესია. ეს პროცესი ნებისმიერი ტიპის საზოგადოებაში კულტურის განვითარებასთან ერთად იდგამს ფეხს. როდესაც ცოდნა და უნარები რთული და კომპლექსური ხდება, სწავლების აუცილებლობა წარმოიშობა, რადგან შეუძლებელია, მაგალითად, მათემატიკის სწავლა მხოლოდ მათემატიკოსზე დაკვირვებით.

დღეს *მბენჯელეს* ხალხში სწავლებას მიმართავენ მხოლოდ აბსტრაქტული ინფორმაციის გადასაცემად. მაგალითად, იმისა, როგორ უნდა მოექცე სხვებს. ნაცვლად პირდაპირი ინსტრუქციების მიცემისა, მონადირე-შემგროვებლების „მასწავლებლები“ ხშირად სწავლებისთვის საჭირო გარემოს ქმნიან და თვალყურს ადევნებენ ბავშვების აქტივობებს. მაგალითად, საკუთარი თვალით მინახავს, თანაბრად როგორ უნაწილებდა საკვებს მოზარდი ბიჭი დასახლების ყველა წევრს, ზრდასრული კი ამ პროცესს მხოლოდ მეთვალყურეობდა და მზად იყო, საჭიროების შემთხვევაში რჩევა მიეცა ბავშვისთვის პროცესის სწორად წარსამართავად.

ბავშვობისა და თამაშის მნიშვნელობა

ჩვენ, ადამიანებს, განსაკუთრებით გრძელი ბავშვობის პერიოდი გვაქვს. საშუალოდ, ცხოვრების თითქმის თვრამეტ წელს ვატარებთ ისე, რომ სხვების მიერ მოწოდებულ საკვებზე ვართ დამოკიდებული. შიმპანზეები, მაგალითად, საკვებს დამოუკიდებლად მოიპოვებენ დედის ძუძუს მიტოვების შემდეგ, ხუთი-ექვსი წლიდან. ბევრი თანხმდება, რომ ასე ჩამოყალიბდა ევოლუციურად, რათა ბავშვს საკმარისი დრო ჰქონოდა იმ კომპლექსური უნარების განსავითარებლად, რომლებიც აუცილებელია მონადირისა და შემგროვებლისთვის.

დღეს საზოგადოებათა უმეტესობაში ეს ფუნქცია სკოლებმა იტვირთეს, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ათასობით წლის განმავლობაში ადამიანებს ფორმალური სკოლები არ ჰქონდათ. *მბენჯელეს* ტიპის ტრადიციულ საზოგადოებებში ბავშვები დროის უმეტეს ნაწილს თამაშში ატარებენ. იმის გამო, რომ ამ საზოგადოებებში ბავშვების ჯგუფები შერეული ასაკისაა, იქმნება საკმაოდ ხელსაყრელი გარემო, რათა მათ ერთმანეთისგან ისწავლონ.

კვლევამ გვიჩვენა, რომ უნარების სწავლებისა და ცოდნის გადაცემის დაახლოებით 60% ბავშვების სათამაშო ჯგუფებში ხდება. ერთ-ერთი თამაშის დროს *მბენჯელეს* ტომის ბავშვები იმეორებდნენ ტყის სულებთან დაკავშირებულ იმ რიტუალებს, რომლებსაც უფროსები ასრულებენ ხოლმე. ამ დროს ქალები მღერიან და ტაშს უკრავენ, რათა ტყის სულები ბანაკში მოიწვიონ. მამაკაცები, რომლებიც ამბობენ, რომ ტყეში სიარულისას სულები დაიჭირეს, ტანს ველური ფოთლებით იფარავენ და საიდუმლო ბილიკით ბრუნდებიან ბანაკში, რათა საბოლოოდ ყველას თვალწინ შეასრულონ რიტუალური ცეკვა. რიტუალების იმიტირებით ბავშვები ითვისებენ თავიანთი ხალხის კულტურულ პრაქტიკას და არსებულ გენდერულ როლებს.

მე, თურქეთში გაზრდილი ბავშვი, ბედნიერად ვიხსენებ იმ წლებს, როცა ბავშვებთან ერთად ქუჩაში თამაშის საშუალება მქონდა. საოცარი იყო ის თავისუფლების განცდა, რომელიც ახლდა *მბენჯელეს* ტომის ბავშვების თამაშს და შემოქმედებითი ნიჭი, რომელიც ჩანდა მათ მიერ ტყიდან მოტანილი ნაირ-ნაირი მასალის სათამაშოდ ქცევასა და გამოყენებაში.

ვფიქრობ, ჩვენ ბევრი რამ გვაქვს სასწავლი მონადირე-შემგროვებლებისგან. მათი საზოგადოებების შესწავლა მხოლოდ იმას კი არ გვიჩვენებს, როგორ ყალიბდება კულტურა, არამედ ბავშვების განათლების, მათთვის ცოდნის გადაცემის პროცესსაც სხვა თვალით დაგვანახებს.

ცირა ბარბაქაძე

მეტაფორული ბარათები და დრუდლები სწავლებაში

შემოქმედებითი სწავლება

სამყარო ერთი დიდი მეტაფორაა, რომელსაც ყველა თავისებურად ხსნის. არ არსებობს ერთი განმარტება, რომელიც ყველასთვის უნივერსალური იქნება – ერთი გაგებით, მნიშვნელობით შემოსაზღვრული. სწორედ ამიტომ არის სამყარო და ადამიანი დღემდე საინტერესო. ჩვენც, ადამიანებიც, როგორც მეტაფორები, ისე ვარსებობთ და ვცდილობთ, შემეცნებით გავიფართოოთ ცნობიერება და დამატებითი მნიშვნელობები მივანიჭოთ საგნებს, ფაქტებს, მოვლენებს, სამყაროს და საკუთარ თავს. რაც უფრო მეტად ვიძიებთ, მით მეტად ამოდის ზედაპირზე ჩვენი აისბერგის დაფარული ნაწილი; უხილავი ხდება ხილული. მთავარია, სწორად დავზუმოთ დეტალები, რომლებიც ჩვენთვის საინტერესოა, რომლებსაც ჩვენი ცნობიერება „წამოედო“ სწორედ იმისთვის, რომ გამოიკვლიოს და გააცნობიეროს.

ჩვენი ცნობიერების აისბერგის დაფარული ნაწილი ძალიან ჰგავს ფილმს, რომელიც ჯერ არ გაგვიშვია ეკრანზე. გაცნობიერება კი ხილულს ხდის ჩვენს დაფარულს. ამისთვის მოვიმარჯვოთ კინოპროექტორი და თეთრ ეკრანზე გავუშვათ ჩვენი ფილმი. მაგრამ როგორ მოვახერხოთ ეს, თუ ისიც კი არ ვიცით, რომ ფილმები/ამბები სადღაც, ქვეცნობიერის რომელიღაც უჯრაშია ჩაკეტილი?

ამისთვის არსებობს ისეთი უნიკალური საშუალება, როგორიცაა **მეტაფორული ბარათები.** სწორედ მათზე ხდება ჩვენი ფილმის პროეცირება და უხილავი ხილული ხდება. ადამიანი გარე სამყაროში, მოვლენებსა და სხვა ადამიანებში პროეცირდება და ხედავს „თავის ფილმს“, თუმცა დარწმუნებულია, რომ რასაც ხედავს, მისი შინაგანი სამყაროს პროექცია კი არა, რეალობაა. ამ გაგებით, ყველა ადამიანი თავის სუბიექტურ რეალობაში, თავის სამყაროში ცხოვრობს. მეტაფორული ასოციაციური ბარათები გვეხმარება, შევაღწიოთ საკუთარ და სხვის არაცნობიერში და ჩაბნელებული უბნები გავანათოთ.

მეტაფორული ასოციაციური ბარათები (შემოკლებით MAC) არის სურათების/ნახატების ნაკრები ცხოვრებისეული სიტუაციებით, პერსონაჟებით, საგნებითა და ცხოველებით. ერთი სიტყვით, ჟანრობრივად ძალიან მრავალფეროვანია. ამ ბარათებს უწოდებენ მეტაფორულ ასოციაციურ ბარათებს, რადგან თითოეული ნახატი/ფოტო არის ასოციაცია ან მეტაფორა ადამიანის აზრებისა, გრძნობებისა, მოგონებებისა ან გამოცდილებისა. მეტაფორული ბარათები პროექციული ტექნიკაა, ერთგვარი კინოპროექტორი, რომელიც პირდაპირ არაცნობიერიდან უშვებს „ჩვენს ფილმებს“.

მეტაფორული ბარათების შექმნა 1975 წლიდან იწყება. პირველი კრებული ელი რამანმა, კანადელმა ხელოვნებათმცოდნემ გამოუშვა. თავიდან ბარათებს საერთოდ არ ჰქონდა ფსიქოლოგიური დანიშნულება. მათი ფუნქცია მასების კულტურული განათლება იყო. მოგვიანებით შემუშავებულმა მიდგომამ კი შესაძლებელი გახადა მეტაფორული ბარათების ფსიქოლოგიურ პრაქტიკაში გამოყენება.

რამანის პირველ ბარათებს ერქვა „Oh-Cards“. მისი კონცეფციით, ხელოვნება გალერეებიდან და საგამოფენო დარბაზებიდან გარეთ უნდა გასულიყო. ბარათების იდეა კი ის გახლდათ, რომ ნამუშევარი ხელისგულზე უნდა დატეულიყო, მაყურებელთან ახლოს („ხელოვნება ხელისგულზე“). რამანის აზრით, ასე უფრო ადვილი იყო ადამიანზე ზემოქმედება და რეფლექსიის გამოწვევა.

წიგნში „მარწყვი ფანჯარასთან“ ვალტრაუდ კირშკე წერს: „ხელოვნება სრულიად განსხვავებულ, უფრო ხელმისაწვდომ ფორმებს იღებს ბანქოს კომპაქტურ ფორმატში, როცა ის მაქსიმალურად ახლოსაა ჩვეულებრივ ადამიანებთან. თუ ადამიანი მონუმენტურ ტილოებზე ჭვრეტის დროს პასიურ როლს ასრულებს, ნაწარმოების ბანქოს/ბარათების ჭვრეტამ მასში შეიძლება გააღვიძოს შემოქმედებითი იმპულსი... ხელოვნების ნიმუში იბადება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ავტორი ქმნის მას, არამედ ყოველთვის, როცა მას აღიქვამს კონკრეტული მაყურებელი, რომელიც უერთდება ქმნადობის პროცესს“.

Oh-Card-ები ორი კრებულისგან შედგებოდა: 88 ბარათი-რეპროდუქციისა და 88 ბარათი-სიტყვისგან. ადამიანი იღებდა ნახატიან ბარათს და მეორე ნაკრებში ეძებდა შესაბამის სიტყვას, ბარათისა და სიტყვის დაკავშირება კი ქმნიდა საინტერესო სიუჟეტებს, აღვიძებდა ფანტაზიას და შთააგონებდა ადამიანებს.

მეტაფორული ბარათები წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ სწავლებაში – იმისათვის, რომ მოსწავლეებს/სტუდენტებს გაუჩნდეთ მოტივაცია და ხალისით ჩაერთონ სასწავლო პროცესში. მეტაფორული ბარათების გამოყენება ქმნის

სანდოობის ატმოსფეროს, განაწყობს მოსწავლეებს თვითანალიზისთვის, რეფლექსიისა და გადაწყვეტილებების ძიებისთვის. მასწავლებელს/ლექტორს, თავისი ამოცანებიდან გამომდინარე, შეუძლია შეარჩიოს შესაბამისი ბარათები – სასწავლო მასალებზე დაფუძნებული ან ნებისმიერი სხვა.

ასოციაციური/მეტაფორული აზროვნების განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია სასკოლო ასაკში, რადგან სწორედ სკოლაა ის ადგილი, სადაც უპირატესობა ლოგიკურ-ანალიტიკური უნარების გამომუშავებას ენიჭება, ხოლო შემოქმედებითობა „იჩაგრება". ყველას გქონიათ ის გამოცდილება, როდესაც შემთხვევით ობიექტს, გამოსახულებას, სიტყვას ან ფრაზას თქვენში განსაკუთრებული რეფლექსია გამოუწვევია. თუ ამ მოვლენას გაცნობიერებულად გამოვიყენებთ მეტაფორული ასოციაციური ბარათების დახმარებით, შედეგიც შესაბამისი იქნება.

შემოქმედებითი ადამიანები ხშირად სარგებლობენ ასოციაციური ბარათებით შთაგონებისთვის. მაგალითად, ცნობილი მწერალი ფილიპ პულმანი წერდა, რომ მას წერასა და სიუჟეტების მოფიქრებაში მირიორამა (myriorama) ეხმარებოდა. მირიორამა – ეს არის დამოუკიდებელი სურათების ნაკრები, რომლებისგანაც შეიძლება სხვადასხვა სიუჟეტი ააწყო.



მეტაფორულ ბარათებთან ერთად, შემოქმედებითი უნარების განსავითარებლად ძალიან პოპულარულია ე.წ. დრუდლები. ესენია მარტივი ორაზროვანი ნახატები, რომლებსაც ერთმნიშვნელოვნად ვერ გაშიფრავ. ამიტომ ყველა თავისას ხედავს, ეს კი ფანტაზიას ავითარებს.



დრუდლები მას შემდეგ გახდა პოპულარული შეერთებულ შტატებში, რაც ამერიკელმა კომიკოსმა როჯერ პრაისმა 1953 წელს გამოსცა წიგნი „Droodles" მარტივი სურათების კრებულით – სურათების მნიშვნელობა თავად უნდა გამოგეცნოთ. ავტორმა ნახატებს სახალისო და მოულოდნელი წარწერები გაუკეთა, რათა მკითხველისთვის დამოუკიდებელი და შემოქმედებითი ძიებისკენ ებიძგებინა. ამერიკელებმა ტელეშოუც კი გადაიღეს ამ თემაზე, იმდენად საინტერესო გახდა ის მაყურებლისთვის.

სხვათა შორის, დრუდლებს ჯერ კიდევ სენტ-ეგზიუპერის „პატარა უფლისწულში" აღმოაჩენთ. ალბათ ყველას გახსოვთ ეს ფრაგმენტი:

„ექვსი წლის რომ ვიყავი, ერთ წიგნში, რომელშიც უღრან ტყეებზე იყო ლაპარაკი და რომელსაც „ნამდვილი ამბები" ერქვა, ერთ შესანიშნავ ნახატს წავაწყდი: მახრჩობელა გველი რომელიღაც ნადირს ყლაპავდა. წიგნში ეწერა: „მახრჩობელა გველები თავიანთ მსხვერპლს მთლიანად, დაუღეჭავად ყლაპავენ. ამის შემდეგ მათ განძრევის თავიც კი არა აქვთ და ექვსი თვე სძინავთ, რომ საჭმელი მოინელონო".

მე ძალიან ბევრს ვფიქრობდი ჯუნგლების ხიფათით აღსავსე ცხოვრებაზე და ფერადი ფანქრით სურათი დავხატე. ეს იყო ჩემი ნახატი ნომერი 1.

ჩემი შედევრი დიდებს ვუჩვენე და ვკითხე, თუ შეგეშინდათ-მეთქი. „განა ქუდი საშიშია?" – მომიგეს მათ. მაგრამ ჩემი ნახატი ქუდი არ იყო. ეს გახლდათ მახრჩობელა გველი, რომელიც გადაყლაპულ სპილოს ინელებდა. და მაშინ მე შიგნიდან დავხატე მახრჩობელა გველი, რომ დიდებს ნათლად დაენახათ ყველაფერი. მათ ხომ ყველაფერი უნდა აუხსნას კაცმა! ჩემი ნახატი ნომერი 2 ასეთი იყო:

ძვირფასო მასწავლებლებო, ვფიქრობ, თქვენს გაკვეთილებს შემოქმედებითს გახდის შემოთავაზებული ტექნიკები თქვენი ინტერპრეტაციით და მასალაზე მორგებით.

ჩვენც, ადამიანებიც, როგორც მეტაფორები, ისე ვარსებობთ და ვცდილობთ, შემეცნებით გავიფართოოთ ცნობიერება და დამატებითი მნიშვნელობები მივანიჭოთ საგნებს, ფაქტებს, მოვლენებს, სამყაროს და საკუთარ თავს.

ჩვენი ცნობიერების აისბერგის დაფარული ნაწილი ძალიან ჰგავს ფილმს, რომელიც ჯერ არ გაგვიშვია ეკრანზე. გაცნობიერება კი ხილულს ხდის ჩვენს დაფარულს. ამისთვის მოვიმარჯვოთ კინოპროექტორი და თეთრ ეკრანზე

გავუშვათ ჩვენი ფილმი. მაგრამ როგორ მოვახერხოთ ეს, თუ ისიც კი არ ვიცით, რომ ფილმები/ამბები სადღაც, ქვეცნობიერის რომელიღაც უჯრაშია ჩაკეტილი?

ირმა კახურაშვილი

საშიშია თუ არა ბავშვისთვის ბლოგერობა

იუთუბზე ყველაზე მეტი აქტივობა საბავშვო არხების წილად მოდის. 13 წლამდე ბავშვების მიერ გადაღებულ ვიდეოებს სამჯერ მეტი ნახვა აქვს, ვიდრე სხვა დანარჩენს. მეტიც, ათი უმდიდრესი YouTube-არხიდან ხუთი ბავშვების საკუთრებაა.

ვიდეობლოგები ჩვენი დროის ტრენდია და მათი პოპულარობა დღითიდღე იზრდება. ამიტომ ბავშვისთვის მათი აკრძალვა შეუძლებელია, მაგრამ მშობლებს უნდა აინტერესებდეთ, რომელ ბლოგებს უყურებს მათი შვილი, რა მოსწონს, YouTube-ის რომელ ვარსკვლავს სურს ჰგავდეს და თავად რა ბლოგს უძღვება.

თუ ბავშვმა ბლოგერობა მოისურვა, ერთადერთი, რაც მშობლებს მოეთხოვებათ, შვილის მხარდაჭერაა. მხარდაჭერა და რწმენა ყველაზე ღირებული რამაა, რისი მიცემაც მშობლებს შეუძლიათ. ფსიქოლოგები გვირჩევენ, არ ჩავუხშოთ ბავშვს თვითგამოხატვის სურვილი, არ დავცინოთ მის საყვარელ გასართობს. პირიქით, მივცეთ შანსი, ამ ასპარეზზეც მოსინჯოს თავისი ძალები. იქნებ ცნობილი ბლოგერი არ გახდეს, მაგრამ ბევრ სასარგებლო უნარს შეიძენს, რადგან ვიდეობლოგინგი არა მხოლოდ რთული შემოქმედებითი პროცესია - ის რთულია ტექნოლოგიური თვალსაზრისითაც: ბავშვმა უნდა ისწავლოს გადაღება, დაეუფლოს ვიდეოს მონტაჟისა და დამუშავებისთვის განკუთვნილ პროგრამებს, თავი გაართვას YouTube-ზე ვიდეოს გამოქვეყნების სირთულეებს.

ბავშვისთვის ბლოგინგი უმეტესად ჰობია. ამ ჰობის, ისევე როგორც გატაცებების უმეტესობას, აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ფსიქოლოგები გვირჩევენ, ბავშვი მარტო არ შევატოვოთ თავის ჰობის. იდეალურ შემთხვევაში, მშობლები უნდა დაეხმარონ მას და გარკვეული მიმართულება მისცენ.

არცთუ იშვიათად მშობლები უკრძალავენ შვილს საკუთარი YouTube-არხის შექმნას მხოლოდ იმიტომ, რომ მცდარი წარმოდგენა აქვთ ამ საქმიანობის ზოგიერთ ასპექტზე. მოდი, დავამსხვრიოთ ყველაზე გავრცელებული მითები ბლოგინგის შესახებ:

მითი #1. ბლოგინგი პროფესია ვერ გახდება

სწორედაც რომ გახდება. ცნობილი ბლოგერები დღეს სერიოზულ ჰონორარს იღებენ თავიანთ არხებზე რეკლამისთვის. ეს ბავშვებსაც ეხება. მაგალითად, 7 წლის ამერიკელმა რაიანმა თავისი არხით სათამაშოების რეკლამისთვის 2018 წელს 22 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. მაშინ სათამაშოების მიმოხილვას 19 მილიონი ადამიანი ადევნებდა თვალს. საინტერესოა, რომ მშობლებმა ბავშვისთვის არხი გასართობად 2015 წელს შექმნეს.

თუ ბავშვი ბლოგით ცხოვრობს, თუ მეტისმეტად არის ამ საქმიანობით გატაცებული, სურვილის შემთხვევაში, შეძლებს, ის პროფესიად აქციოს. მთავარია, სწორი ნიშა იპოვოს.

მითი #2. ბლოგერები იღებენ არაფრის მომცემ ვიდეოებს, რომლებსაც პრაქტიკული გამოყენება არ გააჩნია

YouTube-ზე მართლაც უამრავი ინფორმაცია იტვირთება, რომლის შინაარსი ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა, თუმცა პოპულარული ხდება გამოსადეგი არხები. მაგალითად, მაყურებელი ხშირად ეძებს სასარგებლო რჩევებს, გარდერობის არჩევით დაწყებული, სადილის მომზადებით დამთავრებული. მეორე მხრივ, ბლოგერები ტესტავენ სათამაშოებს, მიმოიხილავენ ახალ ტექნოლოგიებსა თუ ფილმებს, გვირჩევენ, რა წავიკითხოთ, რა ვითამაშოთ.

მითი 3. ბლოგებს ზარმაცი, არაფრის გამკეთებელი თინეიჯერები უყურებენ

სინამდვილეში YouTube-ს დღეს თითქმის ყველა ბავშვი და მოზარდი უყურებს. სხვა საქმეა, რას უყურებენ და რამდენს. თუ ბავშვი ბლოგებიდან მიღებულ ინფორმაციას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს, ეს უკვე აღარ არის დროის კარგვა.

გარდა ამისა, ცნობილი ბლოგერების გამომწერები ქმნიან ჯგუფებს, სადაც ისინი მხარს უჭერენ ერთმანეთს და კრეატიულ იდეებს უზიარებენ.

ონლაინ-ცხოვრება დღეს რეალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ამას ვერ გავექცევით. ამიტომ ექსპერტები მშობლებს ურჩევენ, მიუდგნენ მას, როგორც რაღაც ისეთს, რაც მათი შვილისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია.

ვიდეობლოგები ჩვენი დროის ტრენდია და მათი პოპულარობა დღითიდღე იზრდება. ამიტომ ბავშვისთვის მათი აკრძალვა შეუძლებელია, მაგრამ მშობლებს უნდა აინტერესებდეთ, რომელ ბლოგებს უყურებს მათი შვილი, რა მოსწონს, YouTube-ის რომელ ვარსკვლავს სურს ჰგავდეს და თავად რა ბლოგს უძღვება.

რითაა სასარგებლო ბლოგერობის გამოცდილება? უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიები წარმატებული მომავლის გასაღებია. რაც უფრო მეტ პროგრამას დაეუფლება ბავშვი, მით უკეთესი. გარდა ამისა, ინგლისურის ცოდნასაც გაიუმჯობესებს.

საზოგადოდ, ბავშვის სურვილს, გადაიღოს ვიდეო ან გაუძღვეს საკუთარ ბლოგს, შემდეგი დადებითი ასპექტები აქვს:

- ბლოგინგი შესანიშნავი საშუალებაა კომუნიკაციისა და წერის უნარების დასახვეწად. მომავალში ბავშვს გაუადვილდება საჯაროდ გამოსვლა.
- ბლოგინგი ავითარებს შემოქმედებით აზროვნებას. ზოგიერთი ბავშვი სხვისი იდეების გამეორებით იწყებს ვიდეოების გადაღებას, მაგრამ შემდეგ საკუთარ ფორმატსაც აგნებს.
- საკუთარი არხი ბავშვისგან სისტემურ მუშაობას მოითხოვს. ეს არის დაგეგმვა (კონტენტის გეგმის შექმნა, სცენარისა და გადაღების ადგილებზე ფიქრი), იდეების გენერირება (ტენდენციების ანალიზი, პოპულარული არხები), გადაღება და მონტაჟი (პროგრამებთან მუშაობა).
- ბლოგინგი უდავოდ ავითარებს ლიდერის თვისებებს. ბავშვები სწავლობენ საკუთარი აზრის გამოხატვას და დაცვას.
- სოციალური ქსელებისთვის ფოტოების გადაღება, პოსტების წერა ძალიან პროდუქტიული გზაა სკოლის შემდეგ თავისუფალი დროის გასატარებლად.
- ბლოგერები ბევრს ურთიერთობენ როგორც ონლაინ, ასევე რეალურ ცხოვრებაში. ისინი ხშირად აერთიანებენ სხვა კრეატიულ ადამიანებს ერთობლივი პროექტებისთვის. თანამშრომლობა – ეს უნარი დღეს დიდებსაც სჭირდებათ და არასრულწლოვნებსაც.
- თუ ბავშვი საინტერესო ვიდეოებს იღებს, ადრე თუ გვიან ის შეძლებს ფულის გამომუშავებას - მას ან რეკლამის განთავსებას შესთავაზებენ, ან დასაქმების თაობაზე მიიღებს წინადადებას.

რაც შეეხება უსაფრთხო ბლოგინგის წესებს:

- აუცილებელია, ბავშვს თავიდანვე ავუხსნათ, რისი გაკეთება არ შეიძლება ინტერნეტში. უთხარით, რომ არ უნდა ილაპარაკოს თავის საცხოვრებელ ადგილზე, სკოლაზე და სასურველია, არ გაამჟღავნოს თავისი ნამდვილი სახელი და გვარი. უმჯობესია, ფსევდონიმი აირჩიოს. აუხსენით, რომ არ უნდა მოყვეს საჯაროდ, სად და როდის აპირებს წასვლას. ასევე არ შეიძლება ინტერნეტში გაცნობილებთან შეხვედრა თქვენთან მოთათბირების გარეშე.
- პრობლემაა უარყოფითი კომენტარებიც. ბავშვს უნდა ესმოდეს, რომ რაც არ უნდა აკეთოს, ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც ეცდებიან, შეურაცხყოფა მიაყენონ და გააუფასურონ მისი შრომა. თუ თქვენი შვილი ისწავლის, რეაგირება არ მოახდინოს ცუდ კომენტარებზე, ეს მომავალში ძალიან დაეხმარება. აუხსენით, რომ ცხოვრების გზაზე დროდადრო ყველა ვხვდებით არასასიამოვნო ადამიანებს.

თუ ბავშვი ტოპ ბლოგერების ისტორიებს გავეცნობით, დავინახავთ, რომ მათ მშობლები ეხმარებოდნენ. რა თქმა უნდა, სხვაგვარად შეუძლებელია წარმატებული არხის შექმნა, რომელსაც მილიონზე მეტი გამომწერი ეყოლება. ყველაზე ცნობილი არხები ყოველთვის მშობლებისა და შვილების ერთობლივი ნამუშევარია.

თუ ამის გაკეთება არ გსურთ, უბრალოდ, მხარი დაუჭირეთ თქვენს შვილს და დაეხმარეთ ამ პროცესის რთული მომენტების გაგებაში. შესაძლოა, ვიდეოკამერის შეძენა მოგიწიოთ, თუ ბავშვი ბლოგერობამ სერიოზულად გაიტაცა.

საბავშვო კონტენტს YouTube-ზე ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. მას ხშირად აკრიტიკებენ. ბევრი ბლოგერის მშობლებს შვილების ექსპლუატაციაში ადანაშაულებენ. მიუხედავად ამისა, საბავშვო არხების რაოდენობა დღიდან დღემდე იმატებს, ხოლო არასრულწლოვანი ბლოგერები სულაც არ გამოიყურებიან დაჩაგრულებად. პირიქით, ღიმილით აგრძელებენ ცხელ-ცხელი ვიდეოებით გამომწერთა აღფრთოვანებას.

ონლაინ-ცხოვრება დღეს რეალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ამას ვერ გავექცევით. ამიტომ ექსპერტები მშობლებს ურჩევენ, მიუდგნენ მას, როგორც რაღაც ისეთს, რაც მათი შვილისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია.